

საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი—აგვისტო

1968 წელი

გამოცემის XV წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

ზინაარსი

მოწინავე. — ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 15 წელი	3
ა. აბესაძე — საბჭოთა კანონი მოქალაქეთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე	7
ი. ხიონიძე — სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში გაფლანგვა-მტაცებლობის თავიდან აცილების ზოგიერთი საკითხი	15
ს. ქველიძე, ლ. ზაიჩიკი — გავაძლიეროთ ბრძოლა უსაფრთხოების ტექნიკის წესების დანაშაულებრივ დარღვევებთან	24
ნ. ლორთქიფანიძე — შრომის საქმეების აღძვრა სასამართლოში	30
მ. მაჭავარიანი — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების კომპეტენციის გაფართოების შესახებ	39
ს. კუპრეიშვილი — მტკიცედ დავიცვათ ახალი ვეტერინალური წესდების მოთხოვნები	46

საქართველოს აღვოკატურის ისტორიიდან

ვ. სიღამონიძე — მოსე ქიქოძე, ლუარსაბ ლოლუა	50
ა. ლომინაძე — იუსუფ ცივაძე	69

მოწინავეთა პორტრეტები

ლ. ისაყაძე — პროკურორი ხირსელი	75
--	----

მოთხრობა

გ. ციმაკურიძე — „სული“ ტოვებს კვალს	77
---	----

ჩვენი ინტერვიუ

აღ. ი. ბერგამენტი სტუმრად ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციაში	86
ინფორმაცია	89
მოკლე ცნობები	95
გ. ხარატიშვილი — გელა გარდაფხადის ხსოვნისათვის	96

10755-1



СО ДЕРЖАНИЕ

Передовая — 15-летие журнала «Сабчота самартали»	3
А. Абесадзе — Советский закон на страже защиты интересов граждан	7
И. Хиониди — Некоторые вопросы предупреждения хищения в системе потребительской кооперации	15
С. Квелидзе, Л. Зайчик — Усилить борьбу против преступного нарушения правил по технике безопасности	24
Н. Лорткипанидзе — Возбуждение трудовых дел в суде	30
М. Мачавариани — О расширении компетенции Советов Министров союзных республик	39
С. Купреишвили — Прочно соблюдать требования нового ветеринарного устава	46

ИЗ ИСТОРИИ АДВОКАТУРЫ ГРУЗИИ

В. Сидамонидзе — Моисей Кикодзе, Луарсаб Лолуа	50
А. Ломинадзе — Июсуф Цивадзе	69

ПОРТРЕТЫ ПЕРЕДОВЫХ ЛЮДЕЙ

Л. Исакадзе — Прокурор Хирсели	75
--	----

РАССКАЗ

Г. Цимакуридзе — «Дух» оставляет следы	77
--	----

НАШИ ИНТЕРВЬЮ

Ал. И. Пергамент в гостях в редакции журнала «Сабчота самартали»	86
Информация	89
Краткие заметки	95
Г. Харатишвили — Памяти Гела Гардапхадзе	96

სარედაქციო კოლეგია

შპს № 2977
ტირაჟი 12.576
შპ 06:97

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშაძე,
თ. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი,
თ. დადიანი, გ. ინწკირველი, მ. ლომიძე,
გ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-52

გადაეცა წარმოებას 12/VIII-68 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/X-68 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 15 წელი

შესრულდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ გამოცემის 15 წელი. მისი პირველი ნომერი ამავე სახელწოდებით გამოვიდა 1926 წლის 20 მარტს. ჟურნალი წარმოადგენდა საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და იურიდიული საზოგადოების ორგანოს, მოცულობა 24 გვერდს შეადგენდა. ტირაჟი კი 750 ეგზემპლარი იყო. ამ წელს ჟურნალის მხოლოდ ეს ერთადერთი ნომერი გამოვიდა. 1928 წელს იგი ორკვირეულ გამოცემად იქცა და მკითხველმა მიიღო უკვე 24 ნომერი. 1929 წელს გამოვიდა ჟურნალის 8 ნომერი, რის შემდეგაც მან არსებობა შეწყვიტა.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ გამოცემის განახლება, რაც განხორციელდა 1957 წლის დასასრულს საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით უდავოდ წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას, პირველ რიგში, ჩვენი იურიდიული საზოგადოებრიობისათვის და, საერთოდ, ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში.

მისი აღდგენა მრავალი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ჯერ ერთი, მხედველობაში იყო მისაღები ქართული იურიდიული აზროვნების მაღალი დონე იმ დროისათვის. ამას გარდა მეტად ინტენსიური საკანონმდებლო საქმიანობა, რაც უკანასკნელი 15 წელია მიმდინარეობს საკავშირო მასშტაბით და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში მოითხოვდა, რომ იურიდიული ფრონტის თეორიულ და პრაქტიკულ მუშაეებს ჰქონოდათ თავისი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც გარკვეულ როლს შეასრულებდა საკანონმდებლო აქტების სრულყოფასა და შემდგომ მათ განმარტება-კომენტარებში, რაც ასე აუცილებელია პრაქტიკული მუშაეებისათვის. დასასრულ, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნები, რაც ბოლო წლებში პარტიამ დაუსახა სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებს მართლ-საჯულების სწორად განხორციელებისათვის; სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ამოცანები ასევე მწვავედ აყენებდა რესპუბლიკაში იურიდიული ჟურნალის დაარსების საკითხს.

ჟურნალის გამოცემის განახლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს აგრეთვე მოსახლეობაში საბჭოთა კანონების პროპაგანდისათვის და დამნაშავეობის წინააღმდეგ საზოგადოებრიობის დარაზმებისათვის, ამ საქმეში მათი როლის ამაღლებისათვის.

ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ აღდგენილ იქნა, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო. განახლების დროისათვის მისი პერიოდულობა შეადგენდა ორ თვეში ერთ ნომერს, მოცულობა 6,0 თაბახს, ტირაჟი 3.000 ეგზემპლარს. ჟურნალის მატერიალური შესაძლებლობანი მეტისმეტად განსაზღვრული იყო. ჟურნალმა ფუნქციონირებაშიმე პირობებში დაიწყო. ამ სიძნელეებმა განაპირობეს გამოცემის დასაწყისიდანვე ჟურნალის მოცულობის ხელოვნური შეზღუდვა. უმეტეს შემთხვევაში ჟურნალი გამოდიოდა 4,5 თაბახის ოდენობით 6-ის ნაცვლად. იყო შემთხვევა, როდესაც ჟურნალის მოცულობამ შეადგინა დაგეგმილის ნახევარი, ანუ 3,0 თაბახი.



ჟურნალის განახლებისათვის სარედაქციო კოლეგია 7 კაცს აერთიანებდა. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ფრონტის ყველაზე საუკეთესო ძალები. შემდეგში სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა გაიზარდა თერთმეტ კაცამდე. კოლეგიის წევრები მონაწილეობას იღებდნენ, როგორც მასალების შეფასებაში, ისე ჟურნალის სხვა საქმიანობაში.

უკანასკნელ ხანს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ჟურნალის სრულყოფისათვის. მიღებული იქნა ზომები ჟურნალის ტირაჟის მკვეთრი გადიდებისათვის. ამჟამად ჟურნალი იბეჭდება საშუალოდ 14 000 ეგზემპლარის რაოდენობით.

განვილოთ წლებში დიდი ღონისძიებები განხორციელდა ჟურნალის ტექნიკური სრულყოფისათვის, მისი ფართობის უფრო რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებისათვის. ფართო გამოყენება ჰპოვა ე. წ. ეკონომიურმა შრიფტებმა, რაც იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ჟურნალში გაცილებით მეტი მასალა მოთავსდეს.

წლიდან წლამდე ჟურნალის რედაქცია რესპუბლიკის ყველა რაიონიდან ასეულობით შეკითხვას იღებს მოსახლეობისაგან კანონების განმარტების თაობაზე, იძლევა იურიდიულ კონსულტაციას. ასე მაგალითად, 1959 წელს რედაქციაში შემოვიდა 28 შეკითხვა, 1960 წელს—106, 1961 წელს—111, 1962 წელს—225, 1963 წელს—300-დე, 1964 წელს—600-დე და ა. შ. იურიდიული კონსულტაცია მეტად შრომატევადია და გარკვეულ სიძნელებებთან არის დაკავშირებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე პასუხი გაცემულია 5.000-მდე შეკითხვაზე, აგრეთვე იმასაც, რომ ჟურნალის შტატში კონსულტანტი არა გვყავს და ყველაფერი კეთდება საზოგადოებრივ საწყისებზე, ეს მუშაობა აუცილებლად დამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს.

მნიშვნელოვანად ამაღლდა ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების პროფესიული და იდეურ-პოლიტიკური დონე. ჟურნალი კარგად ეხმაურება ჩვენს პარტიაში, სახელმწიფოში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, თარიღებს.

ჟურნალის საქმიანობა სათანადო მიმოხილვის შემდეგ დადებითად შეაფასა საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულმა ჟურნალმა „საქართველოს კომუნისტმა“ და საკავშირო იურიდიულმა ჟურნალმა „სოციალისტიჩესკოე ზაკონნოსტმა“.

რესპუბლიკაში 60-მდე მეცნიერების კანდიდატი და 15-ზე მეტი დოქტორია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ისინი გამოსული არიან „საბჭოთა სამართლის“ ფურცლებზე. ჟურნალის ფურცლები დაეთმო აგრეთვე სამ უცხოელ მეცნიერს, რომლებმაც სტატიები მოამზადეს ჟურნალის დაკვეთით. დაიბეჭდა რამდენიმე სტატია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებისა, რომლებმაც წერილები ასევე მოამზადეს სპეციალური დაკვეთით და რომლებშიც საკითხები განხილული იყო საქართველოს სსრ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

ჟურნალის ფურცლები დაეთმო აგრეთვე სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლებს, რომელთა სტატიები „საბჭოთა სამართლის“ პროფილს შეესაბამებოდა.

თავის ფურცლებს ჟურნალი ხშირად უთმობს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, რომლებიც აშუქებენ საბჭოთა, პარტიული და საზო-

გადობრივი ორგანიზაციების მუშაობას კანონიერების განმტკიცებისათვის. ჟურნალში დაიბეჭდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. ძოწენიძის, საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის პ. როდიონოვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ზ. კვაჭაძის, პარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის, აგრეთვე ლანჩხუთის, მახარაძის რაიკომის მდივნების სტატიები და სხვ.

ხშირად იბეჭდება მხატვრული ნარკვევები, რომლებიც არა მარტო ჟურნალის მკითხველების, არამედ სხვა ბეჭდვითი ორგანოების ჟურნალდებსაც იპყრობს. მხატვრული ნარკვევები, რომლებიც ჟურნალში დაიბეჭდა გადაბეჭდილი იქნა შემდეგში რესპუბლიკის სხვადასხვა საქალაქო და რაიონულ გაზეთებში.

ჟურნალის ფურცლებზე განახლების შემდეგ სულ გამოვიდა 302 სხვადასხვა ავტორი, ანუ თითოეულ ნომერზე მოდის თითქმის 5 ახალი ავტორი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალი დიდი რაოდენობით ბეჭდავს ნორმატიულ მასალას, კოდექსების პროექტებს, კანონებს, პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილებებს და იმასაც, რომ აღდგენის შემდეგ ჟურნალის მხოლოდ 67 ნომერი გამოიცა, ეს შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნეს მიჩნეული.

გასული წლის ნომრების დადებითი მოვლენაა ისიც, რომ ჟურნალის ფურცლებზე ახლად იქნა გამოყვანილი 42 ახალი ავტორი, რომლებსაც საერთოდ ჟურნალში არ უთანამშრომლიათ. ეს რიცხვი შეადგენს ავტორთა იმ რაოდენობას, რომლებმაც საერთოდ ითანამშრომლეს ჟურნალში 1958 წელს.

თვალს ვავლებთ რა ჟურნალის მიერ გაწეულ საქმიანობას, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ჟურნალს ჯერ კიდევ აქვს დიდი ნაკლოვანებები. ძალიან ბევრი რამ რაც კეთდება რედაქციის მხრივ გაუმჯობესებას მოითხოვს, რიგ შემთხვევაში კი ჟურნალი კრიტიკას ვერ უძლებს.

ჟურნალი ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ეხმარება იურისტ-პრაქტიკოსებს. საკმარისია ითქვას, რომ ისეთი მნიშვნელოვანი განყოფილება, როგორცაა სასამართლო პრაქტიკა და საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა, ვერ დგას სათანადო დონეზე. ჟურნალის აღდგენის პირველ პერიოდში მასალები, რაც სასამართლო პრაქტიკისათვის ირჩეოდა, სანიმუშო იყო. ბოლო ხანებში ეს განყოფილება ჩამორჩა. ხშირად ჟურნალი ისე გამოდის, რომ სასამართლო პრაქტიკა სულ არ არის. ეს კი დაუშვებელია.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია მასალების ლიტერატურული და მუშაების დონეც.

ჟურნალის ფურცლებზე ნაკლებად თანამშრომლობენ ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკული მუშაკები, განსაკუთრებით პერიფერიებიდან. არასაკმაოდ წარმოებს სასამართლო—პროკურატურის მუშაობის დადებითი გამოცდილების გაზიარება. ჟურნალი ჯერ კიდევ ვერ ახერხებს გამოვიდეს რაიონული, საქალაქო პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა გაბედული პრინციპული კრიტიკით.

ბევრი თეორიული სტატია, რომელიც ჟურნალში იბეჭდება, სუსტია, არ ღვას იურიდიული მეცნიერების თანამედროვე განვითარების დონეზე.

ჟურნალი, მისი სარედაქციო კოლეგია და კოლექტივი მოვალენი არიან განახორციელონ ღონისძიებანი ჟურნალის იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მისი ქმედობისათვის, აუცილებელია კიდევ უფრო გაფართოვდეს ავტორთა აქტივის წრე და გაუმჯობესდეს მასალების ლიტერატურული და პროფესიული დამუშავების დონე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ კიდევ უფრო მეტ დახმარებას გაუწევს ქართველ იურისტებს იმ კეთილშობილურ საქმიანობაში, რაც მათ დავალებული აქვთ მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ.

საბჭოთა კანონი მოქალაქეთა ინფორმაციის დასაცემი სალაქაჯოზა

ა. აბესაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საბჭოთა მოქალაქის უფლებების, სოციალისტური მართლწესრიგის დაცვისა და სრულყოფის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს. სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობისა და საბჭოთა დემოკრატიის ყოველმხრივი სრულყოფის შესაბამისად კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფო ორგანოებისადმი მშრომელთა მიმართვის ამ ფორმებს. ამის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს ახალი ბრძანებულება „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 12 აპრილს მიიღო.

მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების შესახებ ახალი ბრძანებულების გამოცემა ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. დღემდე მოქმედებდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის 13 აპრილის დადგენილება „მშრომელთა საჩივრების განხილვისა და მათ გამო საჭირო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.“ აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 14 დეკემბრის დადგენილება „მშრომელთა საჩივრების გარჩევის საქმის ვითარების შესახებ“ და მისი დამატება, რომელიც შეტანილი იქნა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1937 წლის 7 მაისის განმარტების საფუძველზე. ყველა ეს ნორმატიული აქტი საგრძნობლად იყო მოძველებული და ვალახლისებას მოითხოვდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებამ შეავსო ეს ხარვეზი და მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების მიღება-განხილვის ორგანიზაციის საქმეში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისადმი მოქალაქეთა მიმართვის იურიდიული ფორმებიდან წინადადებანი, განცხადებანი და საჩივრები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. ისინი წარმოადგენენ ხალხთან პარტიის კავშირის განმტკიცებისა და გაფართოების, სახელმწიფო საქმეებში მოსახლეობის მონაწილეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფორმას, საზოგადოებრივი აზრის გამოთქმის საშუალებას, ქვეყნის ცხოვრების შესახებ ინფორმაციის წყაროს. განსაკუთრებული დანიშნულება აქვს საჩივრის უფლებას, რომლის გამოყენებით მოქალაქეს ერთი მხრივ შესაძლებლობა ეძლევა აღიღინოს დარღვეული უფლება, ხოლო მეორეს მხრივ, საჩივრის გადაწყვეტას შედეგად მოსდევს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება, შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამომწვეურება და აღმოფხვრა, ხარვეზების შესწავ-

ბა კანონმდებლობაში და ა. შ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „აუცილებლად უნდა მივაჩვიოთ მოსახლეობა იმას, რომ საფუძვლიან საჩივარს სერიოზული მნიშვნელობა აქვს და მას სერიოზული შედეგი მოსდევს.“¹

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებამ დააკონკრეტა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისადმი მოქალაქეთა მიმართვის ფორმები და აღნიშნა მათი განსაკუთრებული როლი და დანიშნულება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში. ასე მაგალითად, მოქალაქეთა წინადადებანი პოლიტიკური, ეკონომიური ცხოვრების, კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე, აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენენ. საჩივრებისაგან განსხვავებით მშრომელთა განცხადებები შეიცავენ არა მითითებას დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ, არამედ მიუთითებენ მოქალაქის, როგორც საბჭოთა საზოგადოების წევრის სოციალურ-კულტურული, სამინაო-საყოფაცხოვრებო და სხვა უფლებების დაკმაყოფილების საჭიროებაზე, რომლის შეუსრულებლობასაც მოსდევს სწორედ მშრომელთა საჩივრების წარმოშობა.

წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრის შეტანის უფლება წარმოადგენს მოქალაქის სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის სპეციფიკურ ფორმას, რომელიც პიროვნების აქტიური, დადებითი ქცევით მიიღწევა. ეს უფლება სოციალისტური რევოლუციის უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ მონაპოვარს წარმოადგენს და საბჭოთა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობაში, აქტიური ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფო აპარატზე, ებრძოდოს ბიუროკრატიზმსა და კანონიერების ყოველგვარ დარღვევას.

საბჭოთა კანონმდებლობით, პირთა წრე, რომელთაც სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირის არაკანონიერი აქტის ან მოქმედების გასაჩივრება შეუძლიათ, არ არის შეზღუდული. განცხადებისა და საჩივრის უფლების სუბიექტი შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე. საჩივრის უფლება აქვს არა მარტო ინდივიდუალურ პირს, არამედ პირთა ჯგუფსაც. სახელმწიფო მმართველობის სფეროში საჩივრის შეტანა შეუძლია არა მარტო იმ მოქალაქეს ვისი ინტერესებიც არის დარღვეული, არამედ დაინტერესებულ მოქალაქესაც. ბრძანებულებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ მისი მოქმედება არ ვრცელდება მოქალაქეთა იმ საჩივრებზე, განცხადებებსა და წინადადებებზე, რომლებიც განიხილება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, შრომის დავის გაჩივრის წესის შესახებ დებულებით, აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ დებულებებით და სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საერთო-სახალხო დემოკრატიის პირობებში წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების უფლება გაცდა პირადი ინტერესების დაკმაყოფილების სფეროს და პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მოიპოვა. თავისი შინაარსით იგი იქცა პიროვნების სამართლებრივი დაცვის ეფექტურ ფორმად, რო-

¹ Ленинский сборник XIX, стр. 227.

მელშიც ერთმანეთს ერწყმის პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი. მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებების, და საჩივრების განხილვა აღვიძებს მასების აქტივობას, ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. სწორეთ ამით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ არა მარტო გამოაცხადა საჩივრის უფლება, არამედ უზრუნველყო კიდევ ამ უფლების შესრულება ორგანიზაციული-სამართლებრივი ღონისძიებების მთელი სისტემით, რომელთა უმეტესობა ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით იქნა შემუშავებული.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობის თანმიმდევრული გაუმჯობესება, მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება იწვევს მოქალაქეთა საჩივრების რიცხვის შემცირებას. მაგრამ დამახინჯებანი და დარღვევები ჯერ კიდევ ბევრია. მაგალითად, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს არ შეუსწავლია და კოლეგიის სხდომაზე არ არ მოუხმენია საკითხი მშრომელთა განცხადებების და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ, როგორც 1966, ისე 1967 წელს. ხშირად ირღვეოდა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის კანონით დაწესებული ვადები. შემოწმებული 242 განცხადებიდან 61-ზე პასუხი ვაცემული იყო 1-დან 5 თვემდე დაგვიანებით, ხოლო 1967 წლის იანვრიდან დეკემბრამდე მიღებული 27 განცხადება დატოვებული იყო ყოველგვარი რეაგირების გარეშე.² ასეთივე სურათს აქონდა ადგილი ოჩამჩირის რაიონის მილიციის განყოფილებაში, სადაც მოქ. ჩერქეზიას განცხადება მისი ეზოდან კოლმეურნეობის კუთვნილი ხარის მოპარვის შესახებ არ იყო გატარებული რეგისტრაციაში და ამ განცხადების შემოწმება გაკვირვებულა 4 თვე.³ ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტურის განყოფილების გამგემ ვ. ჯალაღონიამ მოქალაქე აკ. ხომასურაძის განცხადებას პასუხი ვასცა 14 თვის შემდეგ და სხვ.⁴

სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ზოგჯერ თავს არიდებენ წინადადებათა, განცხადებათა და საჩივართა გამო გადაწყვეტილებების გამოტანას, პირადად არ იღებენ მოქალაქეებს. ეს იმას მოწმობს, რომ „მშრომელთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ წამოაყენა ხალხის მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის განვითარების, მოსახლეობის ყოველდღიური საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი ყურადღების გაძლიერების დარგში. ბევრი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანო ანალიზს არ უკეთებს წერილების არსსა და ხასიათს, არ იღებს ქმედით ზომებს იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოსახლეობის საჩივრებს იწვევენ, სუსტად ზრუნავს მნიშვნელოვან წინადადებათა დროულად განხილვისათვის.

მოთხოვნებისა და საჩივრებისადმი უყურადღებო დამოკიდებულება იწვევს წერილების ავტორთა უკმაყოფილებას და აიძულებს მათ მიმართონ ცენტრალურ პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს იმ საკითხებზე, რომლებიც შეი-

² საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 12 (323), 1967.

³ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 30 (299), 1965 წ.

⁴ ვაზ. „კომუნისტი“, 1968 წ. 30 მაისი.

ძლგება ადგილებზე წყდებოდეს და უნდა წყდებოდეს კიდევ.⁵ ეს ზრდის საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობას, რაც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო ორგანოთა მუშაობის ხარისხზე. მეორეს მხრივ, სახელმწიფო აპარატის სირთულე, ნაკლოვანებანი კადრების შერჩევაში წარმოშობენ ისეთ სამართალდარღვევებს, რომელთა დროული შემჩნევა და აღმოფხვრა მართლ პროკურატურის ან სხვა სახელდამხედველო, ზემდგომი ორგანოების მიერ შეუძლებელი ხდება. ასეთ დროს პირადი დაინტერესება, რაც საჩივრის ან განცხადების ფორმაშია გამოხატული, ეფექტური საშუალებაა მოქალაქის დარღვეული უფლების აღსადგენად.

მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დღემდე მოქმედ წესს გააჩნდა მთელი რიგი ორგანიზაციული ხასიათის ხარვეზები, სუსტად წარმოებდა კონტროლი მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების მიღება-განხილვის მდგომარეობაზე, სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი საჩივრის შემტანი პირის გარანტიები, რადგანაც საჩივარი ზოგჯერ განსახილველად ეგზავნებოდა იმ პირს, ვის მოქმედებასაც უჩიოდნენ. სუსტად იყენებდნენ პასუხისმგებლობის ზომებს იმათ მიმართ, ვინც არღვევდა მოქალაქეთა ინტერესებს. ეს მაშინ, როცა ვ. ი. ლენინი საჩივრების თაობაზე სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრისგან მოითხოვდა გადამჭრელი ზომების მიღებას. „რომელ დაწესებულებაში შეიტანეთ თქვენ ეს საჩივარი,—მიმართავდა იგი კომუნისტებს,—თურმე არც ერთში, ამავე დროს საჩივარი უნდა ეგზავნებოდეს სასკომსაბჭოსაც და სრულიად რუსეთის ცაკსაც, ე. ი. გამოყენებული უნდა იქნეს ჩვენი კონსტიტუციით მინიჭებული ყველა უფლება. საქმის გაჭიანურებისათვის სამართალში აძლევდით? სად არის სახალხო სასამართლოების განაჩენები იმისათვის, რომ მუშა ან გლეხი, რომელიც იძულებულია ოთხჯერ თუ ხუთჯერ მივიდეს დაწესებულებაში, ბოლოს იღებს ფორმალურად რაღაც სწორს, მაგრამ არსებითად კი აბუჩად აგდება გამოდის. თქვენ ხომ კომუნისტები ხართ, რატომ არ უგებთ ხაფანგს ამ ვაჟბატონ ბიუროკრატებს, მერე რატომ არ მიათრევთ მათ სახალხო სასამართლოში და საპყრობილეში საქმის ამ გაჭიანურებისათვის?“⁶

სამწუხაროდ, ბიუროკრატების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერაც არ დგას სათანადო სიმაღლეზე. მშრომელები კი მოითხოვენ, რომ ასეთ პირებს მკაცრად მოეთხოვოთ პასუხი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი ფორმალური და უსულგულო დამოკიდებულებისათვის.⁷

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წ. 12 აპრილის ბრძანებულებამ სპეციალურად მიუთითა, რომ აკრძალულია მოქალაქეთა საჩივრების გაგზავნა გადასაჭრელად იმ თანამდებობის პირთათვის, რომელთა მოქმედებასაც უჩივიან. ადრე ამ გარემოებაზე კანონი გამოკვეთილად არ უთითებდა, რასაც მოსდევდა საჩივრებისა და განცხადებების დიდი დაგვიანებით და არაობიექტურად განხილვა. რაც შეეხება სახელმწიფო იძულების ზომების გამოყენებას, ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ „მოქალაქეთა წინადადებების, განც-

⁵ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“. გაზ. „კომუნისტი“, 1967 წ. 20 სექტემბერი.

⁶ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 545.

⁷ «Правда», 18 мая 1967 г.

ზადებებისა და საჩივრების განხილვის დადგენილი წესის დარღვევა-გაჭიანურებისა და ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის დამნაშავე თანამდებობის პირებს ეკისრებათ დისციპლინალური პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ოგივე ქმედობისათვის, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ინტერესებს, ან მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე იმისათვის, რომ დევნიან მოქალაქეებს საჩივრების განცხადების შეტანისათვის, თანამდებობის პირებს ეკისრებათ დისციპლინალური პასუხისმგებლობა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების თანამდებობრივი დანაშაულის მუხლების შესაბამისად. პასუხისმგებლობის სახის შერჩევა დამოკიდებულია თანამდებობის პირის ბრალზე, მის მიზანსა და მოტივზე. მხედველობაში მიიღება აგრეთვე დარღვეული უფლების ხასიათი.

სახელმწიფო ორგანოებში წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების შეტანის უფლების პრაქტიკული განხორციელებისა და მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განცხადებისა და საჩივრის ფორმას, იმ ორგანოზე მითითებას, სადაც შეიტანება ისინი და დადგენილ ვადებს, რომლის განმავლობაშიაც უნდა მოხდეს წინადადების, განცხადების და საჩივრის განხილვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებაში ყველა ეს საკითხი დეტალურად არის რეგლამენტირებული. აღნიშნულია, რომ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საჭირო პირობები იმისათვის, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებმა განახორციელონ მინიჭებული და გარანტირებული უფლება — მიმართონ წინადადებით, განცხადებით და საჩივრით, წერილობითი თუ სიტყვიერი ფორმით.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა კანონმდებლობა არ აწესებს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების სტანდარტულ ფორმებს. ისინი შეიძლება შეტანილი იქნას როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. მშრომელთა დაპუტატების საბჭოების აღმასკომების საერთო განყოფილებები, სამინისტროების და სხვა საბჭოთა უწყებებისა და დაწესებულებების, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრის ბიუროები ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ ყველა შემოსული საჩივარი და მისცენ მას მსვლელობა.

მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს სახელმწიფო ორგანოები წყვეტენ თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის კონსტიტუციით, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სსრ კავშირის ორგანოები წყვეტენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სსრ კავშირის გამგებლობაში შეძველულ საკითხებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ერთობლივ გამგებლობაში შეძველულ საკითხებზე სსრ კავშირის ორგანოები მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს წყვეტენ მაშინ, როცა ეს საკითხები შედის საკავშირო ორგანოების კომპეტენციაში, აგრეთვე მაშინ, როცა მოკავშირე რესპუბლიკე-

ბის ორგანოები მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების გამო მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რაც არ შეესაბამება სსრ კავშირის კანონმდებლობას.

სხვა საკითხებზე მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გამო გადაწყვეტილება გამოაქვთ მოკავშირე რესპუბლიკის ორგანოებს.

მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საკითხში კანონმდებლობის მიერ სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციის ზუსტი გამიჯვნა პირველ რიგში მშრომელთა უფლებების განუხრელად დაცვისაკენ არის მიმართული. აღნიშნული წესის დაუცველობა ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებს აიძულებს შეკრიბონ შესაბამისი ცნობები ადგილებზე და ამრიგად დააყოვნონ განცხადებათა და საჩივართა განხილვა. საჩივრის ან განცხადების ზუსტი ადრესატის ცოდნა კი მოქალაქეს უადვილებს სწრაფად მიაშუროს სათანადო ორგანოს და მიაღწიოს თავისი განცხადებისა თუ საჩივრის საფუძვლიან განხილვას.

საჩივარს განსახილველად მიიღებს ის ორგანო, ვისაც საჩივარში აღძრული საკითხი გადაჭრა ევალება. მოქალაქის წინადადების, განცხადებისა და საჩივრის გადაწყვეტაში პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი უწყების ხელმძღვანელს. საჩივარი შეიტანება იმ ორგანოში ან იმ თანამდებობის პირთან, რომელსაც უშუალოდ ექვემდებარება სახელმწიფო ორგანო, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია ან თანამდებობის პირი, რომელთა მოქმედებასაც უჩივიან.

სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი თანამდებობის პირები, რომელთა გამგებლობაში არ შედის წინადადებებში, განცხადებებსა თუ საჩივრებში დასმული საკითხების გადაჭრა, გზავნიან მათ შესაბამის დაწესებულებებში არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა და ამის შესახებ აცნობებენ განმცხადებელს, ხოლო პირადად მიღების დროს განუმარტავენ, ვის უნდა მიმართონ მოქალაქეებმა წინადადებით, განცხადებითა თუ საჩივრით.

დეტალურად აყალიბებს რა სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა დაწესებულებებში მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციულ წესსა და საჩივრებისა და განცხადებების საფუძვლიანი განხილვის პირობებს, ბრძანებულება ადგენს იმ ვადებს, რა დროშიც უნდა მოხდეს მშრომელთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა. აღნიშნულია, რომ განცხადებებისა და საჩივრების გამო გადაწყვეტილებანი ყველა ორგანომ უნდა გამოიტანონ ერთ თვემდე ვადაში, ხოლო იმ განცხადებებისა და საჩივრების გამო, რომლებიც არ მოითხოვენ დამატებით შესწავლასა და შემოწმებას — დაუყოვნებლივ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს 15 დღისა იმ ორგანოში მათი მიღების დღიდან, რომელსაც ევალება საკითხის არსებითად გადაჭრა. როგორც გამოჩანს, დაშვებულია საჩივრისა და განცხადების გადაწყვეტის ვადის გაგრძელება ერთ თვემდე, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელსა და საჩივრის შემტან პირს.

განხილვა-გადაწყვეტის შემცირებული ვადებია დაწესებული სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. სსრ კავშირისა და რესპუბლიკურ ორგანოებში მათი საჩივარი იხილება შეტანიდან 15 დღის ვადაში, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში—7 დღის ვადაში.

ბრძანებულება ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს სისტემატიურად

შეამოწმონ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების მდგომარეობა მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, განახორციელონ ღონისძიებანი იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იწვევენ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევას, განმეორებით განცხადებებსა და საჩივრებს, რაც სახელმწიფო ორგანოს მუშაობის ხარისხის პირდაპირი მაჩვენებელია. ამ საქმეში დიდი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც პარტიულ ისე საბჭოთა და სამეურნეო ზემოქმედებებს, რომლებიც მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში ვალდებულნი არიან ჩააბან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, სახალხო კონტროლის აქტივი, მოწინავე მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები. „პარტია,-მიუთითებდა ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის XIX კონფერენციაზე,-ენდობა რა თავის კადრებს, სრულად სთხოვდა და კვლავაც მოსთხოვს თვითეულს მინდობილი საქმისათვის, სასტიკად დასჯის პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის, რა პოსტიც არ უნდა ეკავოს და რა დამსახურებაც უნდა ჰქონდეს“.⁸

იღებს რა ვადაპირველ ზომებს მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დამრღვევთა წინააღმდეგ, ბრძანებულება საეკსპედიციო კანონზომიერად ანსხვავებს მუშრომელთა საჩივრებს ცილისმწამებლური ცნობებისაგან. მოქალაქეს, რომელიც საჩივარს ან განცხადებას შეიტანს ცილისწამების მიზნით, ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გვხვდებიან ისეთი მოქალაქეებიც, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ განემარტათ შეტანილი განცხადების ან საჩივრის უსაფუძვლობა, მაინც განაგრძობენ წერას. მაგალითად, თბილისის კალინინის სახელობის რაილმასკომის საერთო განყოფილებაში 1966 წელს განმეორებითი წერილების რაოდენობა აღწევდა 1020-ს, რომელიც 417 მოქალაქის მიერ იყო დაწერილი. მოქ. ეგიაზაროვა (მცხ. რუსთაველის პროსპ. №40) საცხოვრებელი ბინით რიგგარეშე დაკმაყოფილების შესახებ სხვადასხვა ინსტანციაში შეიტანა 33 განცხადება, ხოლო მოქ. მთვრალაშვილი მცხ. მთაწმინდის ქ. №1) — 30. განცხადებათა დიდი ნაწილი ეგზავნებათ ცენტრალურ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, მაშინ როცა აღნიშნული საკითხის მოგვარება შედის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაში.

მსგავსი მოვლენების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება თუ აღმოიფხვრება ნაკლოვანებანი ცალკეულ სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურაში. კადრების შერჩევაში, სახელმწიფო აპარატის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებაში და თუ ორგანიზებულად წარიმართება საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდა. პროპაგანდის საქმეში სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ღონისძიებებთან ერთად დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პრესასა და ტელევიზიას. ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების სარედაქციო კოლეგები მოვალენი არიან სისტემატიურად აქვეყნებდნენ მკითხველთა წერილებს, გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საჩივრებსა და სიგნალებზე, მათში დასმული საკითხების შემოწმებისა და განხილვის კონკრეტული შედეგების ჩვენებით, აშუქებდნენ წერილებზე მუშაობის დადებით გამოცდილებას, აუმჯობესებდნენ განცხადებათა განხილვას რედაქცია-

⁸ გაზ. „კომუნისტი“, 1968 წ. 30 მარტი.

ში, რაც სამწუხაროდ, ყველგან და ყოველთვის არ კეთდება. ჩვენს პრესაში იშვიათი გამონაკლისის სახით იბეჭდება კვალიფიციური წერილები საბჭოთა კანონმდებლობის საჭირობოტო საკითხებზე. სათაურში—„სასამართლოს დარბაზიდან“ ძირითადად მოთხრობილია მცირე მნიშვნელობის საქმეებზე, მაშინ როდესაც საქმეები, რომელთა განხილვა ზოგჯერ თვეობით გრძელდება — არ შუქდება ჩვენს პრესაში, ეს მაშინ, როცა ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ „ჩვენ გვესაჭიროება სრული და მართალი ინფორმაცია. სიმართლე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმისგან, ვისაც იგი უნდა ემსახუროს“.⁹

საერთო-სახალხო დემოკრატიის პირობებში კიდევ უფრო იზრდება საბჭოთა პრესის როლი. გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებიდან მიღებული მოქალაქეთა წინადადებანი, განცხადებები და საჩივრები, აგრეთვე მათ გადაწყვეტასთან დაკავშირებული გამოსვლები და პრესაში გამოქვეყნებული სხვა მასალები განიხილება ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული წესით და ვადებში.

ამრიგად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულება „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც სოციალისტურ საზოგადოებაში პიროვნების ყოველმხრივი განვითარების მაჩვენებელია. ბრძანებულების ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო გაზრდის პიროვნების უფლებათა გარანტიებს და რეალურად უზრუნველყოფს სოციალიზმის მიერ დამკვიდრებული საბჭოთა მოქალაქის ყველაზე დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების განუხრელად შესრულებას.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში გაფლანგვა-გვახვებლობის თავიდან აცილების ზომიერითი საკითხი

ი. ხოინიძე,

საქართველოს სსრ პროკურორის უფროსი თანაშემწე

პარტიას კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია ყოველმხრივ გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ. მისი განხორციელებისათვის ტარდება მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებანი. მიუხედავად ამისა მთელი რიგი უწყებებში, მათ შორის სამომხმარებლო კოოპერაციაში არადაამაკმაყოფილებლად წარმოებს სოციალისტური საკუთრების დაცვა, რაც ხაზგასმით აღინიშნა რწმუნებულთა სრულიად საქვეშირო მეექვსე და მეშვიდე ყრილობებზე.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში გაფლანგვა-მტაცებლობის დროულად გახსნასა და თავიდან აცილებაში დიდი როლი ენიჭება ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებისა და ფორმების მეცნიერულ დამუშავებას. ეს კი უნდა განხორციელდეს საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკის ღრმად შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე.

ეს თემა საბჭოთა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში სათანადოდ არ არის დამუშავებული. დღემდის გამოქვეყნებული არ არის სპეციალური მონოგრაფია ან სერიოზული ნაშრომი. წინამდებარე სტატიას არა აქვს ამ ხარვეზის შევსების პრეტენზია. მასში მოკლედ განხილულია სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ზოგიერთი საკითხი, რომელთაც უმეტესად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

გაფლანგვა-მტაცებლობის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის აუცილებელია მისი გამომწვევი კონკრეტული მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ყოველმხრივი შესწავლა და გამოკვლევა. ამის გარეშე ლაპარაკი პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაზე ზედმეტია.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში გაფლანგვა-მტაცებლობის ხელშემწყობი პირობების დადგენისათვის საჭიროა სისტემატურად განზოგადდეს საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკა, შესწავლილ იქნას ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები, აგრეთვე საკონტროლო-სარევიზიო ორგანოებისა და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანოების მასალები.

გაფლანგვა-მტაცებლობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლის აუცილებელ საკითხთა წრე მოიცავს დანაშაულის ჩადენის ხერხების დადგენას სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სტრუქტურულ თავისებურებათა გათვალისწინებით. ამ თავისებურებების გარკვევის გარეშე შეუძლებელია გაფლანგვა-მტაცებლობის ხელშემწყობი პირობების სრულყოფილად გამოვლენა.

სოციალისტური საკუთრების დატაცების საქმეთა საგამომძიებლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ დანაშაულის ჩადენის ხერხი, როგორც წესი მდგომარეობს შემდეგში: დანაშაულები ქმნიან დატაცებისათვის განკუთვნილ

მატერიალური ფასეულობის ან ფულადი თანხების რეზერვს, რის შემდეგ დებულობენ ზომებს შექმნილი რეზერვის მითვისებისათვის ან დატაცებით გამოწვეული დანაკლისის მიჩქმალვისათვის.

სისხლის სამართლის საქმეზე ამ მონაცემების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ გაირკვეს გაფლანგვა-დატაცების ხერხი კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ბევრჯერ გამოძიების დასაწყისში გაფლანგვა-დატაცების ხერხი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. ყველა ვითარებაში გამოძიებელმა უნდა იცოდეს როგორ და სად შეიძლება აღმოჩენილი იქნას მტკიცებები, რომლებიც მიუთითებენ გაფლანგვა-დატაცების ამა თუ იმ ხერხზე.

ზოგიერთი მონაცემი ან ნიშანი, რომელთა დახმარებით გამოძიებელმა შეიძლება განსაზღვროს ესა თუ ის ხერხი, ზოგჯერ საქმის პირვანდელ მასალებშიც არის. (მაგ. შესაბამისი მონაცემები რევიზიის აქტში, უსაქონლო ფაქტურები, არაკანონიერი ოპერაციები და სხვა.) ასეთი მონაცემები ხშირად იძლევიან საფუძველს დაისახოს ვერსია თუ რა ხერხები იქნა გამოყენებული დამნაშავეების მიერ გაფლანგვა-დატაცებისათვის.

არ შეიძლება ამა თუ იმ ვერსიის განსაზღვრის დროს დავეყრდნოთ მხოლოდ ცალკეულ მონაცემებს. აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ნიშნებიცა და მონაცემების მთელი კრებადობა.

სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში გაფლანგვა-დატაცების ხერხი შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს, მაგალითად, მიღებული საქონლის შემოსავალში გაუტარებლობა, ფაქტიური დოკუმენტების შედგენა, სიყალბე გასავლის ხედვებულში, ფულადი ოპერაციების წარმოებაში და ა. შ.

ამ კატეგორიის საქმეებში სიყალბე დოკუმენტებში, როგორც არის შესწორება, წაშლა, ამოფხეკა, უფრო ნაკლებად გვხდება, ვიდრე ფაქტიური დოკუმენტების შედგენა. ამ შემთხვევაში არც რევიზიას, არც სასამართლო საბუღალტრო ექსპერტს არ შეუძლია დაადგინოს დოკუმენტის სიყალბე. ამ ამოცანის შესრულება მთლიანად გამოძიებელს ეკისრება.

მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ თბილისის ხე-ტყის საწყობის გამყიდველის ბრალდების საქმე, რომელიც წარმატებით გაიხსნა გამოძიებლის მიერ. ამ საწყობიდან ხე-ტყის მასალის გაცემის სისწორის შემოწმების დროს გამოძიებელმა გამოიძახა ხე-ტყის მასალების მყიდველები და მოითხოვა, რომ მათ წარმოედგინათ ხე-ტყის მასალის შეძენის ქვითრის ასლები. შემდეგში ხდებოდა ამ ასლების შედარება დედანთან, რომელიც ინახებოდა საწყობის ბუღალტერიაში.

ამ გზით გამოძიებლის განკარგულებაში აღმოჩნდა სამი საბუთი, ერთი და იგივე ნომრით, ერთი და იგივე თარიღით, 29 მან. და 55 კაპ. ღირებული 0,5 კმ ხე-ტყის შესყიდვისა ა-ს სახელზე და ორი ასლი იგივე ქვითრის ერთი პირის, მეორე კი მ-ს სახელზე. ე. ი. ორი ასლი ერთი და იგივე ქვითრისაგან. გამოძიებელი მიხვდა, რომ ასეთი რამ არ შეიძლება იყოს და ეს ორი ასლი დედანს მიაკრა. შემოწმებით მან დაადგინა, რომ ქვითრის ასლები გვარის გარდა დაწერილი იყო გადასაღები ქაღალდის მეშვეობით, გვარი კი შემდეგ ჩაეწერათ.

როდესაც მან შეადარა ისინი ქვითრის დედანს, სურათი ნათელი გახდა. ქვითარში აღნიშნული იყო ტკეხის ვაყიდვა 1 მანეთად. გამოძიებელმა სწორი

დასკვნა გამოიტანა, რომ გამყიდველმა ამ ქვეთრით სალაროში შეიტანა 1 მანეთი, ასლი კი გამოიყენა ხე-ტყის მასალის გასაყიდად მ-ს სახელზე. განსხვავება 28 მან. 55 კაპ. მიითვისა. შემდგომში ძნელი აღარ იყო გამომძიებელს გაერკვია ბრალდებულის კომბინაციები მთელ რიგ სხვა ქვეთრებზე.

ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკა მეტყველებს, რომ დატაცების შემთხვევათა მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოუვლინებელი რჩება ან ვლინდება დაგვიანებით. სახალხო დოვლათის დამტაცებლები მიმართავენ გაფლანგვა-მტაცებლობის კვალის დაფარვის მოქნილ ხერხებს, ქმნიან დიდ ორგანიზებულ ჯგუფებს და მათში ითრევენ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ბუღალტერ-რევიზორებს, ე. ი. იმ პირებს, რომლებსაც აკისრიათ ვალდებულება კონტროლი გაუწიონ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა საქმიანობას.

ეს ქმნის სიძნელეს ამ დანაშაულთა დროული გამომჟღავნების საქმეში. სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა ცალკეული ჯგუფები ზოგჯერ ახერხებენ დაუსჯელად იმოქმედონ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ზოგჯერ გაფლანგვა-მტაცებლობის ფაქტის გამომჟღავნება ხდება შემთხვევით, ხოლო იმ ორგანოთა ღონისძიებები, რომლებსაც აკისრიათ ამ დანაშაულთა გამომჟღავნება ნაკლებად ეფექტურია.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა-მტაცებლობათა თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემის დამუშავება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ გარემოებათა გამორკვევასთან, რომლებიც ხელს უწყობენ ამ დანაშაულთა ჩადენას. სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკის განზოგადება საფუძველს იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ ყველაზე ტიპიური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ გაფლანგვა-მტაცებლობათა ჩადენას შემდეგია:

1. საბუღალტრო აღრიცხვის საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. წარმოება-დაწესებულებებში ფულად და მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობაზე სათანადო კონტროლის არარსებობა ხელს უწყობს გაფლანგვა-მტაცებლობას. ეს ხდება მატერიალურ ფასეულობათა შემოსავალში არასრულად აღების გზით, ან ზენორმატიულ ხარჯებსა და გაფუჭებაზე შედგენილი ყალბი აქტების შედგენით შემდეგში ამ ფასეულობათა გასავალში ჩამოწერის გზით. საბუღალტრო დოკუმენტების გაფორმების დროს თუნდაც დარღვევების დაშვება ქმნის მატერიალურ საშუალებათა დატაცების შესაძლებლობას.

პრაქტიკა ვვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ორგანიზებულ გაფლანგვა-მტაცებლობას ხელს უწყობს მრეწველობასა და ვაჭრობაში პირველადი საბუღალტრო აღრიცხვის ბლანკების (ზედდებულების, ანგარიშგების, ფაქტურების და სხვ.) აღრიცხვის გარეშე დამზადება და უკონტროლო გამოყენება.

სარგებლობენ რა იმით, რომ ამ ბლანკების შოვნა შეიძლება ყველგან ბაზრებზე, საწყობებზე და ბუღალტერიებში, დამტაცებლები წარმოებებიდან აღურიცხველი პროდუქციის გამოტანის და სავაჭრო ქსელში მისი რეალიზაციის დროს იყენებენ ყალბ დოკუმენტებს. დატაცებული საქონლის გასაღების შემდეგ ხდება ამ დოკუმენტების განადგურება, ნავაჭრი თანხებიდან გარკვეული ნაწილი ამოიღება და ამგვარად დანაშაულის კვალი იფარება.

ასე მაგალითად, ზნაურის სოფლის კოოპერატივის სასადილოს გამგემ მ. ჯიგაევმა გორის ღვინის ჩამომსხმელი ქარხნის მზა პროდუქციის საწყობის გამგის — ლ. ტეტუნაშვილისაგან მიიღო აღრიცხვის გარეშე დატოვებული 1772

ნახევარლიტრიანი არაყი. თითოეულში გადაიხადა 2 მან. და 15 კაპ., ხოლო სა-სადილოში გაყიდა 4 მან. და 20 კაპ. დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ლ. ტეტუნაშვილმა გამოწერა ფიქტიური ზედდებულები, რომლებიც არყის რეალიზაციისა და ფულადი ანგარიშსწორების დამთავრების შემდეგ მოსპო. ამ საქონლის ტარა მ. ჯიგაევმა საბუთების გაფორმების გარეშე ჩააბარა უშუალოდ გორის ღვინის ჩამომსხმელ ქარხანას, აუარა რა გვერდი ტარის ცენტრალურ საწყობს.

ზოგიერთ დამამზადებელ ორგანიზაციებში უხეშად ირღვევა საკასო დისციპლინა. მათი ხელმძღვანელები და მთავარი ბუღალტრები დამამზადებლებს ზოგჯერ აძლევენ დიდ საქვეანგარიშო თანხებს, ისე რომ არ თხოვენ ანგარიშებს ადრე მიღებული თანხების დახარჯვაზე, არ ამოწმებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩამბარებლებთან ანგარიშსწორებას, რაც ქმნის გაფლანგვა-მტაცებლობის შესაძლებლობას. დანაშაულის ჩადენა იმიტაც ადვილდება, რომ საქონლის შესყიდვის ქვითრები არ აღირიცხება როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტები.

მ. უტიაშვილი (გურჯაანის სამომხმარებლო კოოპერაცია), რომელიც ადრე ორჯერ იყო ნასამართლები, მუშაობდა რა სოფლის მეურნეობის პროდუქტების შტატგარეშე დამამზადებლად რამდენიმე სოფლის კოოპერატივში, 1961-63 წლებში ადგენდა უსაქონლო და ფაქტიურ ზედდებულებს, ცვლიდა მათზე თარიღებს და ამ ყალბ დოკუმენტებს აბარებდა ბუღალტერიას მასზე რიცხული საქვეანგარიშო თანხების დასაფარავად.

სოფლის კოოპერატივის ხელმძღვანელები და ბუღალტრები მ. უტიაშვილს სისტემატურად აძლევდნენ მსხვილ საქვეანგარიშო თანხებს (6.000, 8.000 მან.), იმ დროს, როცა მასზე ირიცხებოდა ადრე გაცემული თანხების დიდი ნაშთი. მ. უტიაშვილმა რამდენიმეჯერ მიიღო 5 ათასი მანეთი საქვეანგარიშო თანხა, როდესაც ერთ შემთხვევაში მასზე ირიცხებოდა 38.774 მანეთის დავალიანება, მეორე შემთხვევაში — 45.167 მანეთისა, მესამეში კი — 38.774 მანეთისა.

„ცეკაშვირის“ გამგეობამ გურჯაანის რაიკოოპკავშირის მეშვეობით მ. უტიაშვილს მისცა დავალება გაეგზავნა დიდი რაოდენობის კასრები იმ დროს, როცა რაიკოოპკავშირის საერთოდ არ ჰქონდა კასრების დამზადების გეგმა.

ისარგებლა რა ყოველივე ამით, მ. უტიაშვილმა მიითვისა 117.760 მანეთი.

სამომხმარებლო კოოპერაციის მთელ რიგ საწარმოებში ნედლეულისა და მასალების, მზა პროდუქციის გამოსავლიანობის და ბუნებრივი დანაკარგების ნორმირების საქმე ჯერ კიდევ არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ნაკლოვანებებს ამ საქმეში ბოროტმოქმედები იყენებენ და ამით სახელმწიფოს აყენებენ დიდ მატერიალურ ზარალს. დატაცებისათვის რეზერვის შექმნის მიზნით დამნაშავენი ხშირად პროდუქციის დამზადებისას არღვევენ დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს, მოქმედ ნორმატივებს, აკლებენ პროდუქციას ამა თუ იმ კომპონენტს, ან დეფიციტურ კომპონენტებს ცვლიან იაფფასიანით, უშვებენ უხარისხო (ან გაუარესებულ) პროდუქციას. „ზედმეტობის“ შექმნის ასეთი ხერხი განსაკუთრებით გავრცელებულია რძის, ხორცის, კვების და მსუბუქ მრეწველობაში.

2. ბევრ ორგანიზაციაში არ არის შექმნილი მატერიალურ ფასეულობათა შენახვის პირობები, რის შედეგადაც ქონება ფუჭდება, ქურდობისა და დატაცების ობიექტი ხდება. დატაცებას, განსაკუთრებით კი წვრილმან დატაცებას, ხელს უწყობს სერიოზული ნაკლოვანებები სასაწყობო მეურნეობის ორგანიზა-



ციაში, რასაც უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი: ა) ქონების შენახვა საწყობის გარეთ — პირდაპირ ღია ცის ქვეშ, ბ) მზა პროდუქციის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების საწყობებზე ღია მოედნების გამოყენება, რომლებსაც დაცვა არა ჰყავს, გ) სასაწყობო ნაგებობების გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით, დ) ქონების შენახვა მოუხერხებელ შენობებში, ე) საქონლის უწყესრიგო შენახვა და საწყობების ავსება ბარგი-ბარხანით, ვ) ღიდი რაოდენობის არამექანიზებული, შუალედი პატარა საწყობების არსებობა, რაც იწვევს ხშირ გადაზიდვებს, დატვირთვა-გადმოტვირთვებს, ამას კი, თავის მხრივ მიყვებართ დანაკარგების წარმოშობასთან, მტაცებლობასა და სხვა ბოროტმოქმედებასთან, განსაკუთრებით, თუ მატერიალური ფასეულობა არ არის მოქცეული სათანადო ტარაში, ზ) საქონლის და მასალების საწყობში სათანადო ტარის მიტანა შეფუთვის გარეშე, რაც აგრეთვე ხელს უწყობს დანაკარგების წარმოშობას და დატაცებას.

3. ერთ-ერთი გავრცელებული პირობა, რომელიც ხელს უწყობს გაფლანგვა-მტაცებლობას, არის საწარმოებსა და მშენებლობებზე სოციალისტური საკუთრების დაცვის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია; ა) დაცვის არარსებობა მთელ რიგ საწარმოებში, ბ) ყარაულებად არასაიმედო პირების მიღება, რომლებიც ნდობას არ იმსახურებენ, ზოგჯერ ნასამართლობაც კი აქვთ, გ) დაცვის ფუნქციების მინდობა მოხუცებისა და ინვალიდებისათვის, დ) ერთი ყარაულისათვის რამდენიმე ობიექტის დაცვის მინდობა, იმ დროს, როცა ამ ობიექტების შემოვლას ღიდი დრო სჭირდება. დაცვა ასეთ შემთხვევაში ატარებს ფორმალურ ხასიათს.

ასე მაგალითად: დასახლება ბედიანის № 2 მაღაზიის ყარაულად მუშაობდა 66 წლის ი. გაბრელიძე, რომელიც დაცვის ფუნქციას ასრულებდა ფორმალურად. პოსტს ხშირად ტოვებდა ისარგებლეს რა ამით ბოროტმოქმედმა ა. მინთიევმა და სხვებმა, ღამით 1967 წლის 17 იანვარს გაძარცვეს მაღაზია და წაიღეს 5.276 მანეთის მატერიალური ფასეულობა.

მარნეულის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის № 1 ფარდულში ყარაულად მუშაობდა 60 წლის მ. გაჯიევი, რომელმაც 1967 წლის 7 იანვარს ღამით დატოვა პოსტი, დაწვა დასაძინებლად კოოპერატივის კანტარაში, რითაც იმავე დამნაშავეებს საშუალება მისცა მოეპარათ მაღაზიიდან 3.621 მანეთის საქონელი.

4. უკონტროლობა და სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება საწარმოებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მხრივ, აგრეთვე საბუღალტრო-საადრინცხო დარგის მუშაკთა მხრივ ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას, რომელიც ხელს უწყობს გაფლანგვა-მტაცებლობას.

გაგრის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის № 6 და 17 მაღაზიებში, სადაც მატერიალურად პასუხისმგებელ პირად და გამგედ მუშაობდა მ. ნანიკაშვილი, დატაცებულ იქნა 60 ათას მანეთზე მეტი თანხა. დანაშაულის ჩადენას ხელი შეუწყო იმან, რომ კოოპერაციის მთავარი ბუღალტერი ფორჩხაძე უკონტროლს არ უწყევდა ამ მაღაზიებში ჩატარებულ ინვენტარიზაციებს, ანდობდა მათ ერთსა და იმავე პირებს, თვითონ კი არ ღებულობდა მათში მონაწილეობას, არა აწყობდა საკონტროლო-შერჩევით შემოწმებებს ჩატარებული ინვენტარიზაციების სისწორის დასადგენად და სხვ.

ამან საშუალება მისცა მ. ნანიკაშვილს დანაშაულებრივი კავშირი დაემყარებინა ინვენტარიზატორებთან და მათი დახმარებით ამცირებდა საქონლის ნაშთებს შემოსავალში საქონლის არადროული აღების გზით და ამგვარად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მალავდა გაფლანგვას.

5. არადამაკმაყოფილებელი საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას, რომელიც ხელს უწყობს დატაცებას. შინაუწყებრივი კონტროლის სისტესტე, განსაკუთრებით კი სარევიზიო მუშაობისა და ქონების ინვენტარიზაციებისა, ფორმალურად ჩატარება, იწვევს იმას, რომ თავის დროზე არ შედგენდება და არ აღიკვეთება დარღვევები და ბოროტმოქმედებანი, რომლებიც შეძლეგ გადაიზრდებიან ხოლმე დიდი მასშტაბის დატაცებაში.

ამ კატეგორიის საქმეების შესწავლა გვიჩვენებს, რომ უმეტეს შემთხვევაში დატაცება შეიძლება გამოქვავებულიყო დასაწყისშივე საკონტროლო-სარევიზიო ორგანოების მიერ და ამით თავიდან იქნებოდა აცილებული დანაშაულის მძიმე შედეგები.

სარევიზიო მუშაობის კონკრეტული ნაკლოვანებანი შემდეგში მდგომარეობს:

ა) ირღვევა რევიზიების ჩატარების ვადები, რის შედეგადაც რიგ ორგანიზაციებში მრავალი წლების მანძილზე არ ტარდება რევიზია, ბ) ძირითადად ტარდება საბუღალტრო რევიზიები ეს იმ დროს, როცა საფინანსო-სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის ბევრი საკითხის შემოწმება მოითხოვს კომპლექსური რევიზიების ჩატარებას, რომლებშიც უნდა მონაწილეობდნენ სხვა სპეციალობების წარმომადგენლები — საქონელმცოდნეები, ტექნოლოგები და სხვ., გ) ბევრ რევიზორს არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია, ცუდად ერკვევა ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო და საწარმო საქმიანობის საკითხებში, ცუდად არის მომზადებული იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც ეხება გაფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლას, რის შედეგადაც ბევრი რევიზიები უხარისხოდ ტარდება და დატაცების ფაქტი გამოუმჟღავნებელი რჩება. დ) ზოგიერთ რევიზორს ახასიათებს არაობიექტურობა. დაინტერესებას არ იჩენს გამოავლინოს გაფლანგვა-მტაცებლობა, ზოგჯერ კი, განგებაც მალავს ასეთ ფაქტებს.

სამომხიებლო პრაქტიკა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეები გვიჩვენებს, რომ რევიზიის ჩატარებისადმი ფორმალური დამოკიდებულების გამო ჩატარებული დოკუმენტალური რევიზიები ხშირად ვერ ავლენენ დატაცების ფაქტებს, თუმცა ასეთ ფაქტებს სინამდვილეში ადგილი ჰქონდა.

დამნაშავეებს შესაძლებლობა აქვთ დიდი ხნის განმავლობაში მიჩქმალონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა სწორედ იმიტომ, რომ ჩატარებული რევიზიების პროცესში არ წარმოებს, ან მეტისმეტად ზერელედ წარმოებს ყველა იმ ოპერაციის გამოკვლევა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ბოროტმოქმედების მიზნით.

6. როგორც სავამომხიებლო-სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, დიდა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაფლანგვა-მტაცებლობას ჩადიან ისეთი პირები, რომლებიც წარსულში ნასამართლები იყვნენ გაფლანგვისა და ანგარებით ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის.

ანგარებით ჩადენილი დანაშაულისათვის ადრე არაერთხელ ნასამართლები გ. ქოიავა სამუშაოდ მიიღეს სოხუმის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციაში, № 3 მაღაზიის გამგედ. გ. ქოიავა, თავის მამასთან ერთად სახლში აშხადებდა დიდი რაოდენობის ფალსიფიცირებულ არაყს, რის რეალიზაციასაც ახდენდა გარის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის № 2 მაღაზიის გამგის ნ. კაზარიაშისა და სხვათა მეშვეობით. ამ უკანასკნელს მაღაზიაში გამოუვლინდა 17.617 შანეთის გაფლანგვა.

გაფლანგვა-მტაცებლობის ხერხების შესწავლის, აგრეთვე იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობენ მათ ჩადენას, შესაძლებელი ხდება დაისახოს ან დაანაშაულთა ხელშემწყობი პირობების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები. სახელდობრ ეს ღონისძიებები შემდეგში შეიძლება გამოიხატოს:

1. ყველა დაწესებულებებისა და ორგანიზაციის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული მოაწესრიგოს, სრულყოს საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, რომელიც წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის კონტროლის, ხელმძღვანელობისა და მართვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესებასთან ერთად უნდა განხორციელდეს რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც ჩაკეტავენ გაფლანგვა-მტაცებლობის შესაძლებელ არხებს, კერძოდ:

ა). დაწესდეს, რომ პირველადი საბუღალტრო აღრიცხვის ბლანკები ძიექუთენოს მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტებს, ბ) შეიცვალოს ბლანკების დამზადების წესი, რომ დამანაშავეებს არ შეეძლოთ ისარგებლონ ამ ბლანკებით. ამისათვის საჭიროა, რომ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაინტერესებულ უწყებების წარმომადგენლებთან ერთად კრიმინალისტიკის მონაწილეობით დაამუშაონ პირველადი საბუღალტრო აღრიცხვის დოკუმენტების ახალი ნიმუშები. გ) რევიზიისა და ინვენტარიზაციის აქტები, აგრეთვე აქტები საქონლის მსხვერვისა და გაფუჭებაზე, ისევე როგორც სასაქონლო-ფულადი ანგარიშები უნდა იწერებოდეს მხოლოდ მეღნით დოკუმენტის ხელმოწერი პირის გვარის, სახელისა და მამის სახელის მკაფიო მითითებითა და სრულად გამოყვანილი ხელმოწერებით. საქონლის მსხვერვისა და გაფუჭების აქტები აუცილებლად უნდა დამოწმდეს რევიზორებისა და საფინანსო განყოფილებათა წარმომადგენლების მიერ. უნდა აიკრძალოს ისეთი დოკუმენტების მიღება და გატაცება, როცა, მათში შესწორებები, მინაწერები და ამონაფხეკები.

2. დამზადების დროს ნედლეულისა და ფულადი სახსრების გაფლანგვა-მტაცებლობის თავიდან აცილებისათვის აუცილებელია:

აიკრძალოს ორგანიზაციებს აწარმოონ სოფლის მეურნეობის ნედლეულის (მატყლის, ტყავის და სხვ.) დამზადება კერძო პირებისაგან, უკეთუ ამ პირებს არ ექნებათ დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ჰყავს პირუტყვი ან მის განკარგულებაშია ნედლეულის სათანადო წყარო.

გამოიცეს ერთიანი ინსტრუქცია შესყიდვის აქტების, უწყისების და ქვითრების შედგენის, აგრეთვე მათზე ანგარიშგების წესის შესახებ. ინსტრუქციამში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) აიკრძალოს ბუღალტერიის მიერ დამამზადებლებსაგან საფინანსო ანგარიშგების დოკუმენტების სახით ქვითრების ასლების მიღება, რომელთა ტექსტი, აგრეთვე ხელმოწერები მათზე შესრულებულია გადასაღები ქაღალდის მეშვეობით; ჩამბარებელთა ხელმოწერები შესრულებულ უნდა იქნას მეღნით ქვითრის ყველა ეგზემპლარზე; ბ) შემოღებულ იქნას შესყიდვისა და საქონლის მიღების დოკუმენტების ყველა ბლანკის მკაცრი აღრიცხვა-ანგარიშგება. თითოეულმა დამამზადებელმა ანგარიში უნდა ჩააბაროს შესყიდვის აქტების, ქვითრების და უწყისების ბლანკების გახარჯვაზე, გ) შემოღებულ იქნას შესყიდვის აქტების, ქვითრების და უწყისების ბლანკებისათვის სპეციალური დამცველი კარგა და ეს ბლანკები დაიბეჭდოს ისეთ ქაღალდზე (შესაბამისი ფენები, კრილა ზედაპირი და სხვა.), რომელიც თავისი თვისებებით გაძნელებს ამოფხეკას

და პირველდაწყებით ჩანაწერებში ცვლილების შეტანას; დ) აიკრძალოს ბუღალტერიის მიერ დამამზადებლებისაგან საფინანსო-ანგარიშგების დოკუმენტების სახით ისეთი ქვითრების, აქტებისა და უწყისების მიღება, რომელთაც არა აქვთ სპეციალურად ასეთი დანიშნულება.

3. გაფლანგვა-მტაცებლობის ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა განეკუთვნოს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსია:

— მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღრიცხვისა და კონტროლის ტექნიკური საშუალებანი; ობიექტების დაცვის ტექნიკური საშუალებანი;

ტექნიკურ საშუალებათა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღრიცხვისა და კონტროლის ავტომატური სისტემები, აგრეთვე ასაწონი და მადლოზირებელი მოწყობილობანი. მეორე ჯგუფის დაცვის სისტემას განეკუთვნება სიგნალიზაცია დასაკეტი მოწყობილობისა და სხვა.

4. აუცილებელია, რომ მმართველობის ზემდგომი ორგანოები სისტემატურად ახორციელებდნენ კონტროლს დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციების მუშაობაზე, მოითხოვდნენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა საქმიანობის დროულ და რეგულარულ შემოწმებას. საჭიროა მოეთხოვოს თითოეული ორგანიზაციის ხელმძღვანელს საფინანსო საქმიანობის დადგენილი წესების უმკაცრესი დაცვა, რისთვისაც:

ა) წლიური ანგარიშების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გაფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლის მდგომარეობას. შემოწმდეს რა კონკრეტულ ზომას იღებენ წარმოებასა და დაწესებულებაში იმ მიზეზებისა და პირობების ლიკვიდაციისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ გაფლანგვა-მტაცებლობას. ბ) უზრუნველყოფილ უნდა იქნას მთავრობის დადგენილებათა უდავო შესრულება თვითეულ ობიექტზე, განსაკუთრებით კი სავაჭრო ორგანიზაციებში დოკუმენტალური რევიზიის ჩატარების შესახებ (არა ნაკლებ ერთისა წელიწადში).

5. საჭიროა გაძლიერდეს უწყებრივი და საზოგადოებრივი კონტროლის როლი სახალხო დოვლათის ხელყოფის ყოველგვარ მცდელობასთან ბრძოლის ორგანიზაციაში, ამალდდეს საკონტროლო სარევიზიო კომისიების როლი საერთოდ და თითოეული რევიზორისა კერძოდ.

იმისათვის, რომ თავი დავალწიოთ რევიზიების ზერეღედ ჩატარებას, დროულად და ღრმად უნდა შემოწმდეს მთავრობის დადგენილებათა შესრულების სისწორე, რევიზორებმა უნდა გამოიკვლიონ და დაადგინონ:

ა) ზოგადი მონაცემები დანაკლისის და გაფლანგვა-მტაცებლობათა შესახებ, შესამოწმებელ პერიოდში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

ბ) ხომ არ არის შემთხვევები დანაკლისისა და გაფლანგვა-მტაცებლობათა დაფარვის, ბალანსის სხვადასხვა ანგარიშებზე არასწორად ასახვისა. უნდა დადგინდნენ ის პირები, ვისი მიზეზითაც იქნა დაშვებული დანაკლისებისა და გაფლანგვა-მტაცებლობის ფაქტების დაფარვა;

გ) დაკუთლია თუ არა მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობებზე მუშაკთა მიღების და შერჩევის დადგენილი წესი.

დ) დაკუთლია თუ არა ფასეულობათა ინვენტარიზაციების ჩატარების სისწორე და ვადების დაცვა.

ე) ტარდება თუ არა საკონტროლო შემოწმებები ინვენტარიზაციის დროს, სახეზე აღმოჩენილ ფასეულობათა აღწერაში შეტანის სისწორის დასადგენად.

ვ) ხომ არა აქვს ადგილი ფასეულობათა არასწორ გადახურვას ხარისხთა აღრევის შომიზეზებით.

ზ). ორგანიზაცია, სადაც ტარდება რევიზია, ახდენს თუ არა ადგილზე იმ მიზეზებისა და გარემოებათა შემოწმებას, რომელთა შედეგადაც წარმოიშვა გაფლანგვა-მტაცებლობა, მითვისება, ძარცვა, ქურდობა და ხანძარი.

თ). როგორ ხორციელდება დატაცებული თანხების ამოღება.

ი). დაცულია თუ არა გაფლანგვა-მტაცებლობისა და დანაკლისების თანხათა ჩამოწრების გაფორმების დადგენილი წესები.

კ) დროულად ხდება თუ არა სასამართლო და საგამომძიებლო ორგანიზაციებისათვის დანაკლისებისა და გაფლანგვის შესახებ მასალების გადაცემა.

6. ორგანიზაციების, წარმოება — დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეები გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს და წარადგინონ სამოქალაქო სარჩელი დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 5 დღისა მისი აღმოჩენის მომენტიდან. ამჟამად ეს მოთხოვნა სისტემატურად ირღვევა.

მაგრამ გაფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლის ეფექტურობა დამოკიდებულია არა მარტო საგამომძიებლო ორგანოებისათვის საქმეთა დროულ გადაცემაზე, არამედ გაფლანგვა-მტაცებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების ხარისხზე.

პასუხისმგებლობა მითვისების და გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეთა სწორად გაფორმებისათვის აკისრიათ შესაბამისი ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მთავარ და უფროს ბუღალტრებს. ბუღალტრები, რომლებიც არღვევენ ამ საქმეთა საგამომძიებლო ორგანოებზე გადაცემის წესს და ვადებს, მიცემული უნდა იქნენ პასუხისგებაში. პირის მიერ ზარალის ანაზღაურება არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ამ პირის მასალები არ გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს.

გვანამლინის ბრძოლა უსაფრთხოების გავრცელების დასახვის დანაშაულებრივ დარღვევებთან

ს. შველიძე,

დანაშაულობათა მიზეზების შესწავლისა და ღონისძიებათა თავიდან აცილების
შემუშავების საერთო-საკავშირო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

ლ. ზაინიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის
საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვამ შრომის პირობების გაუმჯობესებისა და წარმოებაში უსაფრთხოების ტექნიკის წესების დანერგვისათვის მნიშვნელოვნად შეამცირა წარმოებაში ტრავმატიზმის შემთხვევები. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე რესპუბლიკაში საწარმოო ტრავმატიზმი შემცირდა 28 პროცენტით¹.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის ფაქტებს, რასაც თან ახლავს უბედური შემთხვევები, მაინც აქვს ადგილი. მთელ რიგ შემთხვევებში ეს დარღვევები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენენ სისხლის სამართლებრივი წესით დასასჯელ ქმედობას.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დანაშაულებრივ დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროება ხაზგასმით არის აღნიშნული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1967 წლის 30 მაისის № 4 დადგენილებაში „უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების განხილვისა და ამ დარღვევების თავიდან აცილებაში სასამართლოების როლის გაზრდის შესახებ“.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევებისა და ამ დარღვევებით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, აუცილებელია ამ დარღვევების გამომწვევი კონკრეტული მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ცოდნა.

ტექნიკურ ლიტერატურაში, ასევე უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის მდგომარეობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებისა და უწყებების მუშაობის პრაქტიკაში მიღებულია უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზების დაყოფა ობიექტურ, ე. წ. ტრავმატიზმის ტექნიკურ მიზეზებად (ზოგჯერ მათ ეძახიან მატერიალურსაც) და ტრავმატიზმის ობიექტურ-ორგანიზაციულ მიზეზებად.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევების მიზეზების კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დადგინდეს თითოეული შემთხვევისათვის ის უშუალო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა. ძირითადი, ზოგადი მიზეზები კი მხოლოდ ამ კონკრეტული მიზეზების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს.

¹ რესპუბლიკის ცსს სტატისტიკების მიხედვით.

უბედური შემთხვევის უშუალო მიზეზად ითვლება ისეთი მიზეზი, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ იწვევს სიკვდილს ან სხეულის დაზიანებას.

უბედური შემთხვევის გამომწვევი ძირითადი მიზეზი კი არის ყველა იმ ფაქტორის ერთიანობა, რომელმაც გამოიწვია უშუალო მიზეზი ან შექმნა პირობები უბედური შემთხვევის დადგომისათვის. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, თანამდებობის პირის ან თვით შემსრულებლის მხრივ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევა, დაზარალებულის უხეში გაუფრთხილებლობა და სხვ.

სისხლის სამართლის საქმეებისა და ტრავმატიზმის შესახებ მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ტრავმატიზმის შედარებით ტიპიურ ძირითად მიზეზებს წარმოადგენენ:

- 1) პირველადწყებით კონსტრუქციების დროს მანქანების კონსტრუქციაში დაშვებული უსაფრთხოების ტექნიკის ნაკლოვანებანი;
- 2) უსაფრთხოების ტექნიკის ნაკლოვანებანი, ასევე წარმოების ტექნოლოგიურ პროცესში ტექნოლოგიური პროცესის დარღვევა, მუშაობისა და სამუშაო ადგილის არასწორი ორგანიზაცია და მისთანანი;
- 3) მანქანის მოძრაობის ნაწილებისა და საშიშ სამუშაოთა ტერიტორიის არასათანადოდ შემოღობვა და თავდაცვითი მოწყობილობების უქონლობა მუშაობისათვის საშიშ ადგილებში;
- 4) მუშაობის უსაფრთხოების მეთოდების შესახებ სათანადო ინსტრუქტაჟის უქონლობა და მექანიზმების მართვისათვის ისეთ პირთა დაშვება, რომელთაც არ იყავინათ სათანადო მომზადება;
- 5) მუშაობის შესრულებაზე ტექნიკური უზედამხედველობა;
- 6) გაუმართავი მანქანებით, მოწყობილობითა და გაუმართავი ხელსაწყოებით მუშაობა;
- 7) თავდაცვის ინდივიდუალური სამუშაოების უქონლობა;
- 8) შიდაგადაზიდვის ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესებისა და ხალხის გადაყვანის წესების დარღვევა;
- 9) ცალკეული პირებისა და სამუშაოს შემსრულებლების მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა (მუშაობა მთვრალ მდგომარეობაში და სხვ.).

ტრავმატიზმის ამ ძირითადი მიზეზების მოქმედებას ხელს უწყობენ სათანადო ძირობები, კერძოდ:

1. შესასრულებელ სამუშაოებზე არასაკმარისი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება;
2. ხელმძღვანელი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მუშების მიერ მუშაობის უსაფრთხო მეთოდების შესწავლისადმი;
3. იმ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების არასაკმარისი კვალიფიკაცია, რომელთაც საქმე აქვთ უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებთან;
4. სამუშაოზე, რომელიც სპეციალურ მომზადებას მოითხოვს ისეთ პირთა დაშვება, რომელთაც არ გაუფლიათ ასეთი მომზადება და არა აქვთ ამ სამუშაოს შესრულების უფლება.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის ხელშემწყობი კონკრეტული მიზეზებისა და პირობების გამოვლენა და შესწავლა სამუშაოებს იძლევა მიღებულ იქნას ზომები ამ პირობების და, მამსასადამე, ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად.

ეს ღონისძიებები ერთ შემთხვევაში ატარებენ ორგანიზაციულ, ტექნიკურ ხასიათს, მეორე შემთხვევაში — საზოგადოებრივს, მესამეში — სამართლებრივს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ერთდროულად განხორციელდეს.

განვიხილოთ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის თავიდან აცილების ის ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებენ საგამომძიებლო, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოები.

შრომის დაცვის წესებისა და უსაფრთხო პირობების დარღვევის თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმის დროულ აღძვრას და მის ყოველმხრივ გამოძიებას.

სამწუხაროდ, ზოგიერთი გამოძიებელი და პროკურორი სათანადოდ ვერ აფასებენ ამ კატეგორიის საქმეების სამართლებრივ საშიშროებას. სწორედ ამით აიხსნება, რომ პრაქტიკაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ტრავმული შემთხვევების შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უსაფუძვლოდ უარის თქმის, საქმის ერთდროულად აღძვრისა და უსაფუძვლოდ შეწყვეტის შემთხვევებს.

ასე მაგალითად: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტრო საამქროს უფროსი ოსტატის პ-ს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის შედეგად დაიღუპა ელექტროამწყობი ს.

საქმის მასალებით უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამრღვევაში პ-ს ბრალი მთლიანად იყო დადასტურებული.

გამომძიებელმა კი გამოიტანა დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ იმ მოტივით, რომ „პ. ადრე ცუდ ქმედობაში შენაშენი არ იყო, ამჟამად არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებას და ამიტომ ძიება მიზანშეუწონლად თვლის მის პასუხისგებაში მიცემას“.

ასევე უსაფუძვლოდ იქნა მოსპობილი საქმე რუსთავის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატის საამქროს უფროს ბ-სა და მთავარ ინჟინერ ნ-ს მიმართ, რომელთაც უხეშად დაარღვიეს უსაფრთხოების ტექნიკის წესები, რამაც გამოიწვია ბუშა გ-ს სიკვდილი. საქმის მოსპობის დადგენილებაში გამოძიებელმა მიუთითა, რომ „ბ. და ნ. დასჯილი არიან ადმინისტრაციული წესით, რაც ძიებას შიანა საკმარისად“.

გასაგებია, რომ უსაფრთხოების წესების უხეშად დარღვევაში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება ხელს არ უწყობს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევების თავიდან აცილებას.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დანაშაულებრივი დარღვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გამოძიებელმა დროულად აღძვას სისხლის სამართლის საქმე, გამოავლინოს დამრღვევებში დამნაშავე პირები და არ დაუშვას საქმის უსაფუძვლოდ მოსპობა.

გამომძიებელმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეასრულოს კანონის მოთხოვნა (საქართველოს სსრ სსსკ 60 მუხლი) იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლინების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევას და მიიღოს ზომები მათ თავიდან ასაცილებლად. ამასთან ამ საქმიანობაში ფართოდ უნდა ჩააბას საზოგადოებრიობა.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევებზე საქმეების გამოძიებისა და განხილვის პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა თანამდებობის პირები აცხადებენ, რომ დარღვევები, მათ მიერ დამრღვევებში სათანადო კანონების არ

კოდნის ფამო. ამასთან დაცავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატურ სამართლებრივ პრობაგანდას, რომელსაც დადებითი შედეგი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ იგი აგებულია ადგილობრივ კონკრეტულ მავალითებზე.

გამომძიებლის მუშაობა თავის სამოქმედო უბანში, რომლის დროსაც მას უხდება არაერთგზის გაეცნოს უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის მდგომარეობას, სწორედ დიდ შესაძლებლობებს ქმნის საწარმოს საქმიანობაში ნაკლოვანებების გამოსამყდვენლად, ტრავმატიზმის თავიდან ასაცილებლად და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ტრავმატიზმთან წარმატებით ბრძოლისა და მისი თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე საპროკურორო ზედამხედველობას საწარმოებში უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის კანონების შესრულებაზე, ამ კატეგორიის საქმეების გამოკვლევასა და სასამართლოში განხილვაზე.

უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის კანონების დარღვევისა და მათი გამომწვევი მიზეზების გამოსავლენად მნიშვნელოვან ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს კანონების შესრულების შემოწმება საერთო ზედამხედველობის წესით, რასაც ახორციელებს პროკურატურა საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირში.

დარღვევის გამოვლენისას პროკურატურას შეეძლება პროტესტი ან წარდგინება, რომლის მიზანია დარღვევათა თავიდან აცილება.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის თავიდან აცილებისათვის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საპროკურორო ზედამხედველობის ორგანიზაციას სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასა და სასამართლოში განხილვაზე.

არ შეიძლება ძიება დამთავრებულად ჩაითვალოს და საქმე სასამართლოში გაგზავნოს თუ სრულად და ობიექტურად არ არის გამოკვლეული საქმიან ყველა გარემოება, თუ დადგენილი არ არის უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის წესების დარღვევის მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგთან.

პრაქტიკაში ადგილი აქვს ფაქტებს, როცა ძიება და სასამართლო ორგანოები ყოველთვის ზედმიწევნით არ აღგენენ მიზეზობრივი კავშირის არსებობას პირის პირველდაწყებით მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რის შედეგადაც უშვებენ ორი სახის შეცდომას: ა) არ ცნობენ მიზეზობრივი კავშირის არსებობას იქ, სადაც იგი ფაქტიურად არის და სწორედ ამიტომ უსაფუძვლოდ დაუსჯელად ტოვებენ პირს, რომელმაც დაუშვა დარღვევა;

ბ) იმის ნაცვლად, რომ დადგინდეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა მომხდარ უბედურ შემთხვევასთან, საქმარისად ცნობენ, რომ ამ პირს საქმე ჰქონდა მოცემულ სამუშაო უბანთან, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა და პასუხისგებაში აძლევენ მას ასეთი სტანდარტული ფორმით: „არ ახორციელებდა მუშაობაზე სათანადო ზედამხედველობას“, „არ მიიღო ზომები უბედურ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად“, „არ ჩატარა ინსტრუქტაჟი მუშაობის უსაფრთხო მეთოდებზე“, თუმცა ამ პირს არ ჩაუდენია საერთოდ არავითარი უკანონო მოქმედება, რომლებიც მიზეზობრივ კავშირში იქნებოდა მანვე შედეგებთან.

უსაფრთხოების წესების დარღვევის თავიდან აცილების დარგში დიდი როლი იკისრიათ სასამართლო ორგანოებს. საქმის განხილვის პროცესში სასამართლომ უნდა გააკეთოს ყველაფერი, რაც აუცილებელია, რომ სრულად გა-

მოვლინდეს ის მიზეზები და პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დარღვევებს და აღნიშნების უბედური შემთხვევის დადგომას.

საქმეები უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევაზე, რომლებსაც თან სდევთ მძიმე შედეგები, მიზანშეწონილია განხილვბოდეს მხარეთა მონაწილეობით, შესაძლებლობის შემთხვევაში სახალხო მსაჯულებად მოწვეული უნდა იქნან სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე პირები ან ისეთი პირები რომლებიც ერკვევიან ტექნიკის საკითხებში.

დიდი აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საქმეების განხილვას გამსვლელ სესიებზე, საწარმოებსა და დაწესებულებებში საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების მონაწილეობით.

დაადგენს რა კონკრეტულ გარემოებებს, რომლებმაც ხელი შეუწიეს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევასა და უბედურ შემთხვევების დადგომას, სასამართლომ უნდა გამოიტანოს კერძო განჩინება, რომელშიც სათანადო საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების წინაშე უნდა დასვათ საკითხი გამოძევანებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კერძო განჩინებაში ჩამოთვლილი უნდა იყოს არა მარტო გარემოებები, არამედ რეკომენდებული იყოს საქმის ვითარებიდან გამომდინარე ის კონკრეტული ღონისძიებებიც, რომელთა განხორციელება აუცილებელია, მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის.

რუსთავის სახალხო სასამართლომ საქმის განხილვისას დაადგინა, რომ უბედური შემთხვევა დაზარალებულ ბ-ს მოუხდა გადმოტვირთვით სამუშაოების შესრულების დროს უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეშად დარღვევის შედეგად. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მეთალურგიული ქარხნის დირექციის მიმართ გამოიტანა კერძო განჩინება, რომლითაც დირექციას წინადადება ეძლეოდა მიეღო ზომები გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულებაში ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რათა არ დაეშვა უბედური შემთხვევის განმეორება.

დიდი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოების ტექნიკის წესების დანაშაულებრივ დარღვევებთან ბრძოლაში სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი სასჯელის ზომების სწორ გამოყენებას.

პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სასამართლოები უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევისათვის მსჯავრდებულთა მიმართ, როგორც წესი, იყენებენ სასჯელის ისეთ ზომას, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული.

ჭიათურის სახალხო სასამართლომ ც. დამნაშავედ სცნო საქართველოს სსრ სსკ 245 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით. ც-ს ბრალი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა მალარო „მერვეის“ გამყვანთა ბრიგადის ბრიგადირად უხეშად დაარღვია სამთო სამუშაოთა წესები, რის შედეგადაც დაიღუპა მუშა ა.

პირობითი მსჯავრის გამოყენება სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ „ც-პირველად არის სამართალში, არაფერში დანაშაულებრივში შენიშნული არ ყოფილა, კოლმეურნეობისა და წარმოებისაგან ხასიათდება დადებითად, დაზარალებულის ოჯახთან იყო კარგ დამოკიდებულებაში და ბრიგადა, რომელშიც ის მუშაობდა, იყო მოწინავე“.

ტყვარჩელის სახალხო სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სსრ სსკ 245 მუხლის მეორე ნაწილით და ერთი წლით პირობითი მსჯავრი შეუფარდა „ტყვარჩელქვანახშირის“ ტრესტის № 5 მადაროს უბნის უფროს გ-ს, რომელმაც დაუშვა პლ — 5—50 ჯალამბარის მართვისათვის მოუმზადებელი ამფეტქებელი ბ. მუშაობის არასწორი მეთოდების შედეგად ჯალამბარის ელექტროძრავა და თვით ჯალამბარი ნაწილებად დაიშალა და ბ. სასიკვდილოდ დაზიანდა.

მოცემულ შემთხვევაშიც, სასჯელის მსუბუქი ზომის გამოყენება სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ გ. ადრე სამართალში არ ყოფილა, კმაყოფაზე პყავს ორი ბავშვი და, გარდა ამისა, დაიწყო რა მუშაობა უბრალო მუშად, უბნის უფროსამდე დაწინაურდა.

უსაფრთხოების ტექნიკის წესების უხეშად დამრღვევა მიმართ ასეთი ლმობიერი განაჩენის გამოტანა, ვფიქრობთ, ხელს არ შეუწყობს ამ კატეგორიის დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეს.

რასაკვირველია, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევისათვის სასამართლოს მიერ კანონით დადგენილ ფარგლებში სასჯელის უფრო სერიოზული ზომის გამოყენება არ გამორიცხავს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების ფართოდ გამოყენებას სამეურნეო ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისადმი, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მათ მიერ დაშვებულია შედარებით ნაკლებად საშიში დარღვევები.

შრომის საქმეების აღძვრა სასამართლოში

დოკ. ნ. ლორთქიფანიძე

სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცება და შრომის კანონმდებლობის დაცვა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით და სამართლებრივი საშუალებებით. მათ შორის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა შრომითი უფლებების სასამართლო დაცვა. სასამართლო ორგანოები სამოქალაქო—შრომით დავეხმარებოთ მართლმსაჯულების განხორციელების გზით იცავენ მუშათა და მოსამსახურეთა შრომით უფლებებსა და ინტერესებს, ზრდიან საბჭოთა მოქალაქეებს შრომის დისციპლინის დაცვისა და შრომითი მოვალეობებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

შრომის დაეების აღძვრა და განხილვა სასამართლოში ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზოგადი ნორმების თანახმად, მაგრამ ზოგიერთი თავისებურებით, რაც სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

შრომის საქმეების აღძვრა სასამართლოში. შრომის საქმეები სასამართლოში აღძვრის სარჩელის წარდგენის გზით. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად ყოველ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავო უფლების ან კანონით დაცული ინტერესების დასაცავად. მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სასამართლოსადმი მიმართვის ეს ფართო შესაძლებლობა, იმას როდი ნიშნავს, რომ ნებისმიერი პრეტენზია შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საგანი. სასამართლოწარმოება კონკრეტულ საქმეზე აღძვრის მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსამართლე მიიღებს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ სარჩელს. ამგვარად, სასამართლოში მხოლოდ სასარჩელო განცხადების წარდგენა არ აღძვრავს სასამართლო წარმოებას, აუცილებელია ასევე დადებითად გადაწყდეს საკითხი საქმის წარმოებაში მიღების შესახებ. განცხადებების წარდგენა და მიღება იურიდიული ხასიათის მოქმედებებია, რომლებიც ერთობლივ ქმნიან სამოქალაქო პროცესის პირველ დამოუკიდებელ სტადიას — საქმის აღძვრას. ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ამ სტადიას არ იცნობდა. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლი ზუსტად და ამომწურავად ჩამოთვლის განცხადების მიღებაზე უარის თქმის პირობებს, რითაც ადგენს სარჩელის წარდგენის უფლების არარსებობის ცალკეულ შემთხვევებს.

სარჩელის წარდგენის უფლება, ამგვარად, ვარაუდობს სარჩელის წარდგენის უფლების წინამძღვრების, ანუ პირობების არსებობას. ერთ-ერთი წინამძღვრის არარსებობაც კი ნიშნავს თვით ამ უფლების არარსებობას. ამ შემთხვევაში სუბიექტს არა აქვს მართლმსაჯულების განხორციელების მოთხოვნის უფლება და მას უარი უნდა ეთქვას სასარჩელო განცხადების მიღებაზე, ან თუ წინამძღვრის არარსებობა აღმოჩნდება პროცესის დროს, საქმე წარმოებით უნდა მოისპოს.

პროცესუალური თეორია სარჩელის წარდგენის უფლების წინამძღვრებს აჯგუფებს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, კერძოდ განასხვავებს: ა) ზოგად და ბ)

სპეციალურ წინამძღვრებს. სარჩელის წარდგენაზე უფლების ზოგადი წინამძღვრები, რომლებიც სავალდებულოა საერთოდ სარჩელებისათვის, თავის უმეტეს ნაწილში სავალდებულოა ასევე შრომის დავაზე სარჩელის წარდგენის უფლებისათვის¹ და შემდეგში მდგომარეობს:

I. საქმე განსახილველად უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოს. შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: დავები, რომლებიც წარმოიშობა შრომის პირობების დადგენის თაობაზე და დავები უკვე დადგენილი შრომის პირობების გამოყენების გამო. პირველი ჯგუფი დავებისა სასამართლოს არაექვემდებარება და წყდება პროფკავშირებისა და სამეურნეო ორგანოების შეთანხმების საფუძველზე.

მეორე ჯგუფის დავები მათი სასამართლოსადმი ქვემდებარეობის თვალსაზრისით შეიძლება დავყოთ ხუთ კატეგორიად: 1) სასამართლო ქვემდებარე დავები, რომლებიც წინასწარ უნდა იქნან განხილული შრომითი დავის განმხილველ კომისიაში და პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტში; 2) დავები, რომლებიც ექვემდებარება სასამართლო განხილვას მათი მხოლოდ შრომის დავების განმხილველ კომისიაში განხილვის შემდეგ; 3) დავები, რომლებიც უშუალოდ სასამართლო ქვემდებარება; 4) დავები, რომლებიც მუშაკის ნებართვით შეიძლება განხილული იქნას კომისიაში ან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში ან უშუალოდ სახალხო სასამართლოში. 5) საქმეები, რომლებიც საერთოდ არ ექვემდებარება სასამართლოს განსახილველად.

1. დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ², რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით, სასამართლოს უქვემდებარებს შრომითი დავების დიდ ნაწილს, თუმცა იმ პირობით, რომ, როგორც წესი, შრომითი კონფლიქტი ჯერ უნდა განიხილოს შრომითი დავის განმხილველმა კომისიამ, ხოლო შემდეგ პროფკავშირთა საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივმა კომიტეტმა.

მოქმედი კანონმდებლობა, ამგვარად, ითვალისწინებს საწარმოში შრომის დავების განხილვისა და გადაწყვეტის ორ შესაძლო ეტაპს სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა მეთოდებით. შრომის დავების გადაწყვეტის ასეთი წესი უზრუნველყოფს დავის საბოლოო გადაწყვეტას საწარმოშივე, ათავისუფლებს სასამართლოებს ასეთი საქმეების განხილვის აუცილებლობისაგან. თუ კომისიაში დავის განხილვისას არ იქნა მიღწეული მხარეთა შეთანხმება ან თუ დავა გადაწყდა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება მუშაკს არ აკმაყოფილებს, მას უფლება აქვს 10 დღის ვადაში მიმართოს განცხადებით დავის გადაჭრის შესახებ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს. თუ მუშაკი არ ეთანხმება პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას, მას შეუძლია მიმართოს განცხადებით სახალხო სასამართლოს ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების მიღებიდან ათი დღის ვადაში. აღმინის-

¹ ჩვენ ვერ დავეთანხმებით სახელმძღვანელოს „Советское гражданское процессуальное право“, Высшая школа, 1964 г. ავტორებს, რომლებიც სარჩელის წარდგენის უფლების ზოგად წინამძღვრებად ყველა სახის სარჩელებისათვის ასახელებენ სამედიატორო სასამართლოზე საქმის გადაცემის შესახებ მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობას (უარყოფითი წინამძღვარი). ასეთი მითითება ეწინააღმდეგება სამედიატორო სასამართლოს დებულების 1 მუხლს, რომლის ძალით სამედიატორო სასამართლო საერთოდ ვერ განიხილავს შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებს.

² შემდგომ შემოკლებით — დებულება.

ტრაციას იმავე ვადაში შეუძლია მიმართოს შრომითი დავის გადასაჭრელად სახალხო სასამართლოს, თუ მას მიაჩნია, რომ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება შრომითი დავის შესახებ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. დებულების მე-10 მუხლი ჩამოთვლის ამ დავებს, რომლებიც ექვემდებარებიან სასამართლო ორგანოებს გასარჩევად დავების შრომის დავის განმხილველ კომისიაში და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტში განხილვის შემდეგ. მაგრამ რამდენადაც მე-10 მუხლში ჩამოთვლილი დავები არ არის ამომწურავი, ატარებენ მხოლოდ სანიმუშო ხასიათს, სასამართლოს ექვემდებარებიან ასევე შრომის დავის განმხილველ კომისიაში და პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტში განხილვის შემდეგ სხვა შრომის დავებიც, რომლებიც წარმოიშვებიან საწარმოებში და დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციას შორის და დაკავშირებული არიან შრომის კანონმდებლობის, კოლექტიური, შრომითი ხელშეკრულების და შრომის შინაგანაწესის გამოყენებასთან. ასეთი დავებია მაგალითად, დავები შრომის შინაგანაწესის საფუძველზე დადებული დისციპლინური სასჯელების გაუქმების შესახებ, დავები დასვენების დღეებში მუშაობისათვის სამაგიერო დღის მიცემის შესახებ და სხვ.

ამგვარად, დავები, რომლებიც წინასწარ არ განხილულა არც კომისიაში, არც საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივ კომიტეტში, ან განხილულია უმუშაოდ საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივ კომიტეტში დავის კომისიაში განუხილველად, ან განხილულია კომისიაში ადგილობრივ კომიტეტში განუხილველად, სასამართლოს არ ექვემდებარება.

2. იმ საწარმოებში და დაწესებულებებში, სადაც არ არის პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, შრომითი დავები განიხილება კომისიის მიერ პროფორგანიზატორისა და საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის შემადგენლობით; მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა მუშაკის განცხადებით განიხილება სასამართლოში.

3. შრომითი დავები, რომლებიც უმუშაოდ სასამართლოში განიხილება, მედარებით მცირერიცხოვანია. მათ მიეკუთვნებიან შემდეგი შრომითი დავები:

ა) დავები პირებისა, რომლებიც მუშაობენ ისეთ ორგანიზაციებში, სადაც არ არის არც საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი და არც პროფკავშირის ორგანიზატორი (მაგალითად, შრომითი დავები პირებისა, რომლებიც თავისუფლად დაქირავებულნი არიან სამხედრო ნაწილებში ან იმყოფებიან შრომით ხელშეკრულებაში კოლმეურნეობებთან და ა. შ.).

ბ) იმ მუშაკთა დავები, რომლებიც დაკავებული არიან ცალკეულ მოქალაქეთა სამომხმარებლო მეურნეობაში (შინამოსამსახურეები, ავტომძღოლები, მდივნები და ა. შ.).

გ) იმ მუშაკთა დავები, რომლებიც შრომით ურთიერთობაში იმყოფებიან საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან (ბუხჩალტრები, ბიბლიოთეკარები, კლუბების გამგეები, სხვადასხვა წრეების ხელმძღვანელები და ა. შ.), მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი შტატის მუშაკები.

მოქმედი კანონმდებლობა ავალდებულებს საწარმოს და დაწესებულების ადმინისტრაციას წინასწარ შეუთანხმოს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს ზოგიერთი თავისი განკარგულება, რაც დაკავშირებულია შრომის კანონმდებლობის გამოყენებასთან. ადგილობრივი კომიტეტის სანქციის მიღებამდე ასეთი განკარგულებების გაცემა არ დაიშვება. უკეთუ შრომის დავაში

მუშაკი სადავოდ ხდის ადმინისტრაციის განკარგულების სისწორეს, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან, ასეთი დავის განხილვას კომისიაში ან ადგილობრივ კომიტეტში როგორც შრომითი დავების განხილველ ორგანოებში არ ექნებოდა აზრი, რამდენადაც ადგილობრივმა კომიტეტმა უკვე განსაზღვრა ადრე თავისი შეხედულება მოცემულ საკითხზე. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1959 წლის 27 იანვრის დადგენილებით³ განმარტა, რომ შრომითი დავები პირებისა, რომლებიც დათხოვნილი არიან სამუშაოდან ადმინისტრაციის ინიციატივით საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, განიხილება უშუალოდ სახალხო სასამართლოში შრომის დავათა განხილველ კომისიაში და ადგილობრივ კომიტეტში მიმართვის გარეშე.

ამავე მიზეზით უშუალოდ სახალხო სასამართლოში განხილულ უნდა იქნან შემდეგი დავები:

ა) შრომითი დავები მუშაკებისა, რომლებიც დათხოვნილი არიან წარმოების ან დაწესებულების ინიციატივით დათხოვნაზე საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის სანქციის გარეშე.

ბ) შრომითი დავები დათხოვნის მიზეზების ფორმულირების შეცვლის შესახებ, უკეთეს დათხოვნაზე ასეთი ფორმულირებით მიღებული იყო საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის თანხმობა.

გ) შრომითი დავები ძირითად სამუშაოდან გაუნთავისუფლებელი საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წევრებისა, რომლებიც სადავოდ ხდიან ან გადაყვანას სხვა სამუშაოზე ან მათზე დისციპლინური სასჯელის დადებას, რაც წინასწარ შეთანხმებული იყო საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტთან.

4. მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც დათხოვნილი არიან პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმების გარეშე, უფლება აქვთ მიმართონ განცხადებით სამუშაოზე აღდგენის შესახებ შრომითი დავის განხილველ კომისიას და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს ან უშუალოდ სახალხო სასამართლოს.⁴

5. მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შრომითი დავების რიცხვიდან, რომლებიც დაკავშირებული არიან შრომის კანონმდებლობის გამოყენებასთან, მთლიანად ამორიცხულია სასამართლოს კომპეტენციიდან მხოლოდ ის დავები, რომელთა გადასაწყვეტად დადგენილია სპეციალური წესები.

სასამართლოებს არ შეუძლიათ განიხილონ დავა შემდეგ საკითხებზე:

ა) იმ თანამდებობის პირთა დათხოვნა, აღდგენა, აგრეთვე სხვა სამუშაოზე გადაყვანა, რომელნიც ჩამოთვლილი არიან № 1 დანართში, და მათ მიმართ დისციპლინური სასჯელის დადება;⁵ ეს დავები გადაწყდება ზემდგომი ორგანოების მიერ ქვემდებარეობის წესით.

³ იხ. «Сборник законодательных актов о труде», Изд. «Юридическая литература», М., 1964, стр. 590.

⁴ იხ. პ. 1. Постановления Пленума Верховного Суда СССР, № 8 от 30 июня 1964 г. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1964, № 4, стр. 11.

⁵ იხ. დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ, თბილისი 1957, პუნქტი 11, ქვეპუნქტი „ა“ ასევე პ. 4 Постановления Пленума Верховного Суда СССР от 13 сентября 1957 г.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ № 1 დანართში დასახელებული მუშაკების დავების მხოლოდ სამი კატეგორია (დათხოვნის, გადაყვანის და დისციპლინური სასჯელის დადების საკითხებზე) არ ექვემდებარება სასამართლოს განსახილველად. ყველა სხვა დავებზე მათ შეუძლიათ მიმართონ შრომითი დავის განმხილველ კომისიას, საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივ კომიტეტს და სასამართლოს საერთო წესით.

ბ) დისციპლინური სასჯელის დადება იმ პირობა მიმართ, რომელთაც ეფარდებოდა წესდებანი დისციპლინის შესახებ; ამჟამად მოქმედებენ რკინიგზის, საზღვაო, სამდინარე ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციისა და ზოგიერთი სხვა წესდებები დისციპლინის შესახებ.

გ) შრომის სტაჟის გამოანგარიშება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით დახმარებისა და პენსიების დასანიშნავად, ამ დახმარებისა და პენსიების ოდენობა, შრომის სტაჟის გამოანგარიშება მოქმედ კანონმდებლობით დაწესებული შედეგათების და უპირატესობათა მისანიჭებლად.

სასამართლოში არ განიხილება ის უთანხმოებანი მუშაკთა და ადმინისტრაციას შორის, რომლებიც შრომით დავებს არ წარმოადგენენ (მაგალითად, განცხადება სამუშაოზე მიღებაზე დაუსაბუთებელი უარის შესახებ, განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ), და ასევე დავები შრომის პირობების დადგენის, შტატების შეცვლის, სოციალური დაზღვევის შესახებ, საცხოვრებელი სადგომების მიცემის და განაწილების შესახებ და ზოგიერთი სხვა დავები.

II. მხარეები უნდა ფლობდნენ საპროცესო უფლებათუნარიანობას (საფუძვლები, მუხ. 24. ნაწ. I. საპროცესო კოდექსი, 31 მუხ.). ე. ი. უნარს იქონიონ სამოქალაქო საპროცესო უფლებანი და მოვალეობანი. სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის ნამდვილობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოსარჩელის პროცესუალური უფლებათუნარიანობა. რადგან სარჩელი მოპასუხიდან სასამართლო დაცვის საშუალებაა, ამდენად არ არის სარჩელი მოპასუხის გარეშე. მაგრამ მოპასუხედ შეიძლება იყოს, როგორც მოსარჩელე, მხოლოდ პირი, რომელსაც აქვს პროცესუალური უფლებათუნარიანობა, მოსარჩელისა და მოპასუხის პროცესუალური უფლებათუნარიანობა კი აუცილებელი წინაპირობაა სამოქალაქო სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვის იურიდიული ნამდვილობისათვის. ამიტომ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა იმ ორგანიზაციის (საწარმოს, დაწესებულების) წინააღმდეგ, რომელსაც არა აქვს უფლებათუნარიანობა, ბათილია.

მიუხედავად იმისა, მუშაკმა, ადმინისტრაციამ თუ პროკურორმა შეიტანა სასამართლოში სარჩელი შრომის დავის ვადაწყვეტის შესახებ, საქმე განიხილება სასარჩელო წარმოების წესით, რომელშიც მოსარჩელედ ითვლება მუშაკი, რომელმაც მოთხოვნით მიმართა შრომითი დავის განმხილველ კომისიას, ხოლო მოპასუხედ — საწარმო ან დაწესებულება.

სსრ კავშირში ყველა მოქალაქე უფლებათუნარიანია. ამიტომ პროცესუალური უფლებათუნარიანობის მოთხოვნას პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ ორგანიზაციებისათვის აქვს. არ შეიძლება სარჩელის წარდგენა იმ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით.⁶

სარჩელის წარდგენა არასათანადო მხარისადმი არ წარმოადგენს სასარჩე-

⁶ იხ. პ. 7. Постановления Пленума Верховного Суда СССР от 13 сентября 1957 г.

ლო განცხადების მიღებაზე უარისთქმის საფუძველს. მაგალითად, მარინინმა აღძრა სარჩელი სამუშაოზე აღდგენის შესახებ საწარმოს მიმართ, სადაც იგი მუშაობდა ექსპედიციაში გადაყვანამდე. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში საწარმოს ადმინისტრაციის ბრალი არ არსებობს, ხოლო პრეტენზიით არასწორად დათხოვნის შესახებ მოსარჩელემ უნდა მიმართოს ექსპედიციის ადმინისტრაციას. რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის სასამართლო კოლეგიამ თავის 1964 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით განმარტა, რომ სასამართლომ მოსარჩელეს უსაფუძვლოდ უთხრა უარი განცხადების მიღებაზე: სარჩელი წარდგენილია საწარმოსადმი, სადაც იგი მუშაობდა, უკეთეს სასამართლო ცნობს საქმეში ექსპედიციის აუცილებელ მონაწილეობას, მას უფლება აქვს ჩააბას იგი პროცესში ან თანამოპასუხის ან მესამე პირის სახით.⁷

III. განცხადების მიღებისას მოსამართლემ უნდა გამოარკვიოს, ხომ არ მიმართავს მოსარჩელე მეორედ სასამართლო დაცვისათვის იმავე მოთხოვნით იმავე მოპასუხესთან და იმავე საფუძველით. იმისათვის, რათა დავა სასამართლოს წესით უკვე გადაჭრილად იქნას ცნობილი, უნდა არსებობდეს სამი ელემენტის იგივეობა: იგივე მხარეები, ან მათი უფლებებისმენაცვლენი, დავის იგივე საგანი და სასარჩელო მოთხოვნათა იგივე საფუძველები. სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იქნის რიგ თვისებებს, მათ შორის განსაკუთრებულობის თვისებას, რაც გამორიცხავს მხარეებისათვის სასამართლოსადმი განმეორებით მიმართვის, ხოლო სასამართლოსათვის — განმეორებით საქმის განხილვის შესაძლებლობებს. ასეთივე შედეგები წარმოიშვება სასამართლოს მხრივ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარისთქმის მიღების ან მხარეთა პორიგების დამტკიცების შემდეგ. მაგალითად, მოსარჩელე მოითხოვდა დათხოვნის ფორმულირების შეცვლას, ხოლო შემდეგ მან უარი თქვა სარჩელზე და მოითხოვა საქმის შეწყვეტა. სასამართლომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. მუშაკს უფლება არა აქვს განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით.

IV. წესიდან, რომ არ დაიშვება იგივეობითი მოთხოვნების ორჯერ განხილვა, გამომდინარეობს სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმის კიდევ ერთი შემდეგი მოტივი: თუ სასამართლოს წარმოებაში იმყოფება საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით. ამ საკანონმდებლო პირობების შინაარსი განვრცობით უნდა იქნას გაგებული: განცხადების მიღებაზე უარისთქმა დაიშვება ასევე თუ ორი სრულიად ერთნაირი დავა განსახილველად აღმოჩნდება სხვადასხვა სასამართლოში (მათ შორის ამხანაგურ სასამართლოში მისი კომპეტენციის ფარგლებში).

საპროცესო კანონმდებლობა შრომის დავებზე, მსგავსად ზოგიერთი სამოქალაქო დავებისა, ითვალისწინებს სარჩელის წარდგენის სპეციალურ წინამძღვარს. შრომის დავებზე ასეთი წინამძღვარია დადგენილი დებულებით შრომის დავათა განხილვის წესის შესახებ, რომლის ძალით სარჩელის წარდგენის უფლება შრომის დავაზე წარმოიშვება, როგორც წესი, მხოლოდ შრომის დავათა განხილველ კომისიაში მიმართვის შემდეგ და მხოლოდ იმ შემთხვევებში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ დებულებით და რომლის შინაარსიც გადმოცემულია იმავე სტატიაში ქვემდებარეობის საკითხთან დაკავშირებით.

სარჩელის წარდგენაზე უფლების წინამძღვრების არსებობა აუცილებელია სარჩელის წარდგენისათვის. მაგრამ სარჩელის წარდგენაზე უფლების არსებობა თავისით როდი წარმოშობს პროცესს; ამისათვის საჭიროა, რომ სარჩელის წარდგენის უფლება განხორციელდეს კანონით დადგენილი იმ პირობების დაცვით, რომლებიც სარჩელის წარდგენის წესს წარმოშობენ და შემდეგში მდგომარეობენ:

ა) საქმე სასამართლოსადმი განსჯადი უნდა იყოს;

ბ) სარჩელი წარდგენილი უნდა იყოს ქმედუნარიანი პირის მიერ, ხოლო მისი არაქმედუნარიანობის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ;

გ) სასარჩელო განცხადების შინაარსი და ფორმა უნდა პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

შევვხებით მოკლედ ამ პირობებს ცალ-ცალკე;

ა) სასამართლო ორგანოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო შრომის დავეს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები. აღრე მოქმედი საპროცესო კოდექსი ამ საერთო წესიდან უშვებდა რიგ, თუმცა უმნიშვნელო გამოჩაკლისს. ამჟამად ნებისმიერი სამოქალაქო საქმე მისი სირთულის ხარისხის და სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათის მიუხედავად, უკეთუ იგი უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა, განხილულ უნდა იქნას არსებითად რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში. აძით ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ სასამართლო დაცვა კიდევ უფრო მისაწვდომი გახადა მოსახლეობის ფართო მასისათვის და გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ინტერესების დაცვის მეთოდების შემდგომი დემოკრატიზაციისა და სრულყოფის მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ სასამართლოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმადლეს სასამართლოებს, ავტონომიური ოლქის სასამართლოს, უფლება აქვთ ჩამოართვან დაქვემდებარებულ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ყოველი სამოქალაქო, კერძოდ შრომის საქმე და მიიღონ იგი თავის წარმოებაში, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ. კიდევ მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში საქმის სწრაფად და სწორად გადაწყვეტის მიზნით, აგრეთვე სასამართლო განხილვის აღმზრდელობითი როლის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით, შემდგომ სასამართლოს შეუძლია საქმე გადასცეს იმ სასამართლოდან, რომელშიც იგი განსჯადია სხვა სასამართლოს საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად.

სარჩელები შრომის დავებზე, მსგავსად სარჩელებისა, წარედგინება სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლი). უკრაინის სსრ და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების მიხედვით სარჩელი შეიძლება წარედგინოს სასამართლოს როგორც მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის, ისე მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ, თანახმად საპროცესო კოდექსის 123-ე მუხლისა, წარედგინება სასამართლოს იურიდიული პირის ორგანოს ან ქონების ადგილსამყოფელი ადგილის მიხედვით. ამის შესაბამისად მუშებისა და მოსამსახურეების სარჩელები, რომლებიც წარმოიშეება შრომითი სამართლებრივი ურთიერთობიდან, წარედგინება რაიონულ (საქალაქო სახალხო სასამართლოს, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის პასუხისმგებელი ორგანოს (ადმინისტრაციის) სამყოფელი ადგილის მიხედვით. საწარმოს სარჩელები მატერიალური ზიანის ანაზღაურების

შესახებ განიხილება მუშაკის (მოპასუხის) მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ბ) პროცესუალური ქმედუნარიანობა არის პირის უნარი განახორციელოს თავისი უფლება სასამართლოში და დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი). ამ მუხლის შესაბამისად საპროცესო ქმედუნარიანობა არის პირის უნარი განახორციელოს საპროცესო მოქმედებები და მათ შორის უმნიშვნელოვანესი მოქმედება — სარჩელის წარდგენა. პროცესუალურად სასამართლოსადმი არაქმედუნარიანი პირის უწარმომადგენლოდ მიმართვა, იურიდიულად უშედეგოა. ახალი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობა ეკუთვნის მოქალაქეს, რომელმაც სრულწლოვანებას მიაღწია, ე. ი. 18 წლის ასაკიდან, უკეთუ პირი არ არის აღიარებული არაქმედუნარიანად სულიერი ავადმყოფობისა და ჭკუასუსტობის გამო. ხოლო შრომის საქმე სასამართლოში შეიძლება აღძვრას მუშამ და მოსამსახურემ, რომელსაც 15 წელი შეუსრულდა, რადგანაც იგი ფლობს შრომით უფლებამქმედუნარიანობას (საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლი);

გ) სარჩელის წარდგენის სათანადო ფორმის დაცვა სარჩელის წარდგენის მნიშვნელოვანი პირობაა.

წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობით. მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობანი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მიერ, სადაც მარწმუნებელი მუშაობს. წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება განისაზღვროს ასევე მარწმუნებლის მიერ სასამართლოში გაკეთებული ზეპირი განცხადებითაც, რაც უნდა აღინიშნოს სასამართლოს სხდომის ოქმში.

სამოქალაქო შრომითი დავებისათვის დამახასიათებელია პროფკავშირების წარმომადგენლობა. პროფკავშირები ანხორციელებენ სასამართლო წარმომადგენლობას არა მარტო კავშირის წევრთა საქმეებზე; არამედ მოცემული ორგანიზაციის ყველა მუშა-მოსამსახურის საქმეებზე საერთოდ. პროფკავშირების წარმომადგენლები არა მარტო იცავენ მშრომელთა უფლებებს, არამედ მოცემულ საქმეზე გამოხატავენ პროფკავშირული ორგანიზაციის მოსაზრებასაც. პროფკავშირების წარმომადგენლების ასეთი თავისებური მდგომარეობა პროცესში განაპირობებს იმას, რომ მისი მონაწილეობისათვის არ არის საჭირო მუშა-მოსამსახურის მინდობილობა. მისი უფლებამოსილება ფორმდება პროფკავშირის კომიტეტის ოქმის ამონაწერით, რომლითაც დასტურდება, რომ შესაბამისი ორგანიზაციის მიერ მას დავალებული აქვს ამ საქმეზე წარმომადგენლობის განხორციელება.

საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენლობა არ დაიშვება მას შემდეგ, თუ დავა განხილულია ადგილობრივ კომიტეტში და იგი გადაიტანება სასამართლოში მუშაკის ინიციატივით.

დ) სარჩელის წარდგენის სათანადო ფორმის დაცვა სარჩელის წარდგენის მნიშვნელოვანი პირობაა. ახალი საპროცესო კანონმდებლობა (საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლი) სარჩელის წარდგენისათვის ადგენს სავალდებულო, სასარჩელო განცხადების წერილობით ფორმას. სასარჩელო განცხადებაში უნდა აღინიშნოს: სასამართლოს დასახელება, მოსარჩელის დასახელება, მისი საცხოვრებელი ადგილი, ზუსტი დასახელება საწარმოს ან დაწესებულებისა, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია შრომითი დავა, მოპასუხის (ღირექცია, სამმარ-

თველო და ა. შ.) სამყოფელი ადგილი, მოსარჩელის მოთხოვნა (აღდგენილი იქნას სამუშაოზე, მიეცეს კომპენსაცია შევებულებისათვის და ა. შ.), გარემოებანი, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (მაგალითად, რატომ თვლის მუშაკი თავის დათხოვნას უკანონოდ), მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ აღნიშნულ გარემოებებს (მაგალითად, ადმინისტრაციის ბრძანების პირი, ამონაწერი შრომის დავის განმხილველი კომისიის სხდომის ოქმიდან და საფაბრიკო, საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებიდან, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახის შემადგენლობის, ხელფასის შესახებ). განცხადებას ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი. სასარჩელო განცხადებას უნდა დაერთოს საბუთების ნუსხა. განცხადება წარდგინება სასამართლოს პირის დართვით მოპასუხისათვის გადასაგზავნად.

სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმა სარჩელის წარდგენის უფლების წინამძღვრების არარსებობის გამო ხელს უშლის მუშაკს განმეორებით მიმართოს განცხადებით სასამართლოს იმავე შრომის საქმეზე; ყველა დანარჩენ შემთხვევაში მუშაკს უფლება აქვს მიმართოს განცხადებით სასამართლოს იმავე შრომის დავაზე, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა; მაგალითად, თუ არაქმედუნარიანი პირის ნაცვლად პროცესში მონაწილეობას მიიღებს მისი კანონიერი წარმომადგენელი. უკეთუ დარღვეულია განსჯადობა, სასამართლომ განცხადება დანართით და რეზოლუციის ასლით უკან უნდა დაუბრუნოს მუშაკს სათანადო სასამართლოში წარდგენისათვის.

იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დაცული სასარჩელო განცხადების შინაარსისადმი წაყენებული მოთხოვნები, ან არ არის წარდგენილი სასარჩელო განცხადების პირები საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას, რომ სასარჩელო განცხადებას არ მიეცეს მსვლელობა, რასაც აცნობებს მუშაკს და მისცემს მას ვადას ხარვეზების შევსებისათვის.

სარჩელის მიღებაზე უარისთქმა ფორმდება სასამართლოს მოტივირებულ წერილობითი განჩინებით. მუშაკს უფლება აქვს მიმართოს ზემდგომ სასამართლოს კერძო საჩივრით ხუთი დღის ვადაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელეები—მუშები და მოსამსახურეები შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნათა სარჩელებზე თავისუფლდებიან სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რაც კიდევ ერთხელ ნათელყოფს საბჭოთა საპროცესო კანონმდებლობის დემოკრატიულ ბუნებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს კოკავშირის გაუკეთების შესახებ

მ. მახაზარიაძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებრივი ურთიერთ დამოკიდებულება, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა მოცულობა და ჯერძოდ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოს — მინისტრთა საბჭოების კომპეტენციის საკითხები, სკკპ XXIII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების უმნიშვნელოვანეს მომენტს და ჯერ კიდევ ელოდება თავის გულმოდგინე მკვლევარს.

ამიტომ ყოველივე აზრი გამოთქმული ამ საკითხზე, რომელიც ემსახურება მის მეცნიერულ შესწავლას, განზოგადებას და გარკვევას, მისასალმებელი ამბავია.

სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1967 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ რ. ჩიჩუას სტატიასზე — „მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის გაფართოება ეკონომიურ რეფორმასთან დაკავშირებით“.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ავტორი გამსჭვალული იყო კეთილი ზრახვით, როცა იგი შეუდგა ამ სტატიის დამუშავებას. მაგრამ ის, რაც მან დაწერა და გამოაქვეყნა, ვერ ჩაითვლება დასმული თემის სწორ გაშუქებად.

ავტორი ცდილობს რა დაარწმუნოს მკითხველი, თუ რაოდენ გაფართოვდა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლებები, მიუთითებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ უფლებების გაფართოებას და ისეთ აქტებზე, რომლებიდანაც ასეთი რამ სრულიადაც არ გამომდინარეობს.

ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ჩვენ განვიზრახეთ, აღვნიშნოთ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული აქვს ავტორს თავის სტატიასში.

1. „სკკპ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად, — წერს ავტორი, — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს გადაყავს რესპუბლიკის მრეწველობის ცალკეული საწარმოები და მთელი დარგები სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური წახალისების ახალ სისტემაზე“¹ (ხაზი ჩვენია მ. მ.).

სტატიის თემაა „მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის გაფართოება ეკონომიურ რეფორმასთან დაკავშირებით“. თემა ავალბებდა ავტორს თავის სტატიასში დაეზუსტებინა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია ამ საკითხში. საქმე ისაა, რომ ტერმინი — რესპუბლიკის მრეწველობა მოიცავს როგორც საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ,

¹ იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1967 წლის № 4 გვ. 34.

ისე რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო სამინისტროების საწარმოებს. ავტორის მიხედვით გამოდის, თითქოს ყველა ეს საწარმო გადაყავს დაგეგმვისა და ეკონომიური წახალისების ახალ სისტემაზე მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. ეს ასე არ არის. მაგალითად, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა — ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტებია. მაგრამ ისინი საკავშირო ქვემდებარეობის საწარმონი არიან და ამიტომ მათი გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური წახალისების ახალ სისტემაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არ მოუხდენია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 მარტის № 197 დადგენილებით საერთო-საკავშირო სამინისტროების ქვემდებარე საწარმოების გადაყვანა ახალ სისტემაზე დავალებული ჰქონდა სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამინისტროებს, საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა — სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით, და მხოლოდ რესპუბლიკური სამინისტროებისა — მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს². თუ ავტორს მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა, მას ასევე უნდა ეთქვა (ჩვენ იურისტები ვართ და გამოთქმათა სიზუსტე გვმართებს) და არ ეხმარა ისეთი ფართო მოცულობის ცნება, როგორც არის რესპუბლიკის მრეწველობა. სხვათა შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 55 დადგენილებაში ამ საკითხზე ეს გარემოება გამოკვეთილად არის აღნიშნული: «7. Установить, что перевод в 1966 году отдельных предприятий республиканского подчинения на новую систему»... (ხაზი ჩვენია მ. მ.)³.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ავტორის არა სიზუსტე სსრ კავშირის დადგენილებათა შინაარსის გადმოცემისას. ავტორი წერს, თითქოს „...მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაყავს მრეწველობის ცალკეული საწარმოები და მთელი დარგები... ახალ სისტემაზე“. ესეც სინამდვილეს არ შეეფერება. ავტორის მიერ მითითებულ არც ერთ დადგენილებაში ასეთი რამ არ არის. დადგენილებაში, კერძოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 55 და 1966 წლის 14 მარტის № 197 დადგენილებებში⁴ ლაბარაკი იყო ახალ სისტემაზე რესპუბლიკური დაქვემდებარების ცალკეული საწარმოების და არა დარგების გადაყვანის შესახებ (რასაკვირველია, იმ დროისათვის).

2. სტატიაში ვკითხულობთ: „მნიშვნელოვანი სიახლეა, სახელდობრ მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების დაგეგმვაში. როგორც ცნობილია, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად ამტკიცებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის შედგენის წესსა და ვადებს. ახლა მას მიეცა უფლება შეიმუშავოს და დაამტკიცოს ხუთწლიან და წლიურ გეგმებში გათვალისწინებული მრეწველობის პროდუქციის ნომენკლატურა“⁵.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილებით „სამრეწველო წარმოების დაგეგმ-

² ЦП СССР, 1966 г., № 6, ст. 62.

³ ЦП СССР, 1966 г., № 3, ст. 28.

⁴ ЦП СССР, 1966 г., № 3, ст. 28; № 6, ст. 62.

⁵ აურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1967 წ., № 4, გვ. 34.

ვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ“⁶ ნ. მიჩნეულ იქნა გაძლიერებულიყო როლი სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმებისა, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების განუხრელი ზრდისა და სრულყოფის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დაწერვის, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგებისა და რაიონების განვითარებაში პროპორციულობის უფრო სრული უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პირობას.

დაწესდა, რომ ხუთწლიანი გეგმა (როდესაც უმნიშვნელოვანესი დავალებანი წლების მიხედვით ნაწილდება), სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო დაგეგმვის ძირითადი ფორმაა. ხოლო ხუთწლიანი და წლიური გეგმებით გათვალისწინებული სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურის შემუშავება და დამტკიცება დაევალა: სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — იმ პროდუქციისა, რომელიც შეტანილი იქნება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმაში.

სსრ კავშირის სამინისტროებს და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით — იმ პროდუქციისა, რომელსაც ისინი გეგმავენ.

სიახლე აქ იმაშია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო დაგეგმვის ძირითად ფორმად მიჩნეულია ხუთწლიანი გეგმა, ე. ი. როცა საწარმომ, შემდგომმა სამეურნეო ორგანიზაციებმა, რესპუბლიკამ წინასწარ იციან თავისი განვითარების პერსპექტივები, გამოხატული გარკვეულ მაჩვენებლებში, რომლებიც ზუსტდება წლიური გეგმებით, ეკონომიკის განვითარების მიმდინარეობისა და სახალხო მეურნეობის რესურსებსა და მოსახლეობის მოთხოვნებებში ცვლილებათა შეტანის გათვალისწინებით.⁷

ამაშია, ვიმეორებთ სიახლე, და არა იმაში, რომ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თითქოს მიეცა უფლება შეიმუშავოს და დაამტკიცოს ხუთწლიანი და წლიურ გეგმებში გათვალისწინებული მრეწველობის პროდუქციის ნომენკლატურა, როგორც ეს ავტორს მიაჩნია.

ავტორის ცნობისათვის უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს არსებობისას ზოგიერთი სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურას ამტკიცებდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო ზოგიერთისას — თვით სახალხო მეურნეობის საბჭო.

3. ავტორი ეხება რა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მისი ხარისხის და ასორტიმენტის შემდგომ გაუმჯობესებას, რათა იგი თავისი ეკონომიურობით, საიმედოობით, გამძლეობითა და გარეგნული დამუშავებით არ ჩამოუვარდებოდეს საუკეთესო საზღვარგარეთელ ნიმუშებს, წერს, რომ აქ ამოცანის გადასაჭრელად „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები აღჭურვა უფლებით დაადგინონ თავიანთ რესპუბლიკებში წარმოებული მრეწველური პროდუქციის სტანდარტები, ტექნიკური პირობები, პრეისკურანტები და საბითუმო ფასები“⁸.

ავტორი თავის მსჯელობას საფუძვლად უდებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წ. 11 იანვრის № 16 დადგენილებას (СП СССР, 1965 г. № 2, ст.

⁶ СП СССР, 1965 г., № 19—20, ст. 153.

⁷ СП СССР, 1965 г., № 19—20, ст. 153.

⁸ ქურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1967 წ., № 4, გვ. 36.



II) და 1966 წ. 23 აგვისტოს № 680 დადგენილებას (СП СССР, 1966 г., № 19, ст. 170).

ჯერ ეს ერთი, 1965 წლის 11 იანვრის № 16 დადგენილება „ქვეყანაში სტანდარტიზაციის ხაზით მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, თუნდაც მასში ლაპარაკი რომ იყვეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებათა გაფართოებაზე, არავითარ კავშირში არ არის ეკონომიურ რეფორმასთან, რომელიც შემოღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით და ამ დადგენილების შესაბამისად მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით, ე. ი. მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა ზემოხსენებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 11 იანვრის დადგენილება.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ არც ამ 11 იანვრის და არც 1966 წლის 23 აგვისტოს № 680 დადგენილებებით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს არ მინიჭებიათ ის უფლებები, რომლებზეც ლაპარაკობს ავტორი. საიდან მოიტანა ეს ავტორმა, ვაკვირებებს იწვევს.

უფლებები ამ საკითხებში, რომლითაც დღემდე სარგებლობენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მოცემული აქვთ მათ ეკონომიურ რეფორმამდე, და არა ამ რეფორმის შემდეგ, როგორც ავტორი გვარწმუნებს.

4. „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 იანვრის დადგენილებამ „მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დიდი უფლებები მიანიჭა მშენებლობის დარგში“, — წერს ავტორი.⁹

ამ დადგენილების მიღებამდე საქართველოში მოქმედებდნენ სპეციალიზებული, სამშენებლო რესპუბლიკური ქვემდებარეობის მშენებლობის სამინისტრო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო. ხსენებული დადგენილებით საჭიროდ იქნა მიჩნეული საკავშირო რესპუბლიკური სამინისტროების შექმნა და მათ შორის შეიქმნა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები: სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით „სსრ კავშირის სამშენებლო სამინისტროების შექმნის შესახებ“, შექმნილია კერძოდ, სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები — მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის. ამრიგად, მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, რესპუბლიკური ქვემდებარეობის სამინისტროები გარდაიქმნენ საკავშირო რესპუბლიკურ სამინისტროებად. საიდან დაასკვნა ავტორმა, რომ ამით მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დიდი უფლებები მიენიჭა მშენებლობის დარგში?

უფლებების გადაცემა და გაფართოება თვითმიზანი არ არის. ზოგიერთ შემთხვევაში პირიქით, კომუნისტური მშენებლობის ამა თუ იმ დარგის უკეთ და უფრო ნაყოფიერად წარმართვისათვის საჭიროა ამ დარგის მართვის მეტი ცენტრალიზაცია, როგორც ამ შემთხვევაში საჭიროდ მიაჩნია სსრ კავშირის ზელმძღვანელმა ორგანოებმა. არ არის სწორი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს ამავე დადგენილებით „რესპუბლიკაში ყველა სამშენებლო

⁹ კურს. „საბჭოთა სამართალი“, 1967 წ., № 4, გვ. 37.



სამუშაოს თვით რესპუბლიკის ორგანიზაციები შეასრულებენ, მიუხედავად იმისა თუ უწყებრივად ვის ექვემდებარებიან შემკვეთი დაწესებულებანი“¹⁰.

ამიერკავკასიის რკინიგზის ყოველგვარი ობიექტების მშენებლობას აწარმოებს ტრესტი „ზაქტრანსსტროი“, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სატრანსპორტო მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს. მეტიც, ტრესტი „ზაქტრანსსტროი“ აწარმოებს მშენებლობას აგრეთვე რესპუბლიკური ორგანიზაციებისათვისაც, მათი შეკვეთით.

თბილისის მეტროპოლიტენს აშენებს იგივე სატრანსპორტო მშენებლობის საკავშირო სამინისტროსადმი დაქვემდებარებული გვირაბმშენებელი ორგანიზაცია. ხოლო ისეთ გრანდიოზულ მშენებლობას, როგორც არის ენგურის ჰიდროელექტროსადგური — აწარმოებს „საქჰიდროენერგომშენი“, რომლის სახელწოდებაში თუმცა საქართველოა ხსენებული, მაგრამ საკავშირო ქვემდებარეობისა, ვინაიდან უშუალოდ ექვემდებარება სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს.

ამრიგად, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობას, ეწევიან არა მხოლოდ რესპუბლიკური სამშენებლო ორგანიზაციები, არამედ საკავშირო ქვემდებარეობისაც, რაც არ შეესაბამება ავტორის ზემოდ მოყვანილ მსჯელობას.

„და თუ აქამდე. — განაგრძობს იქვე ავტორი, — ასეთ სამუშაოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის სახმშენის ორგანიზაციები ასრულებდნენ, ამჟამად შექმნილია სამრეწველო მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები“... აქ რაღაც ამკარა შეცდომაა. არც სსრ კავშირის და არც მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენის ორგანიზაციები არასოდეს არ აწარმოებდნენ მშენებლობას.

5. სტატიაში ვკითხულობთ: „მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილება გაფართოვდა აგრეთვე მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის საქმეში, სახელდობრ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის № 465 დადგენილებით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ახალი უფლებები მიენიჭა ირიგაციისა და მელიორაციის ღონისძიებათა გასატარებლად, წყლის მეურნეობის ობიექტების დაპროექტება— მშენებლობის გასაუმჯობესებლად, ამ დარგებში კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებისათვის და ა. შ.“¹¹

საინტერესოა, რომელი უფლებების მინიჭებას გულისხმობს ავტორი მის მიერ ჩამოთვლილ საკითხებში. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს დაეკონკრეტებინა ეს უფლებები. თუმცა ჩვენ გვგონია ეს შეუძლებელია, რადგან ეს დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებებს კი არ ანიჭებს ამა თუ იმ საკითხში, არამედ ამ დადგენილებით დასახულ დავალებათა და ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფას, ცხადია ეს „უფლებების მინიჭება“ არ არის, როგორც ეს ავტორს რატომღაც მიაჩნია.

რაც შეეხება უფლებებს ამ დარგში — მდგომარეობა ასეთია. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებით¹² სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო

¹⁰ უტრნ. „საბჭოთა სამართალი“, № 4, გვ. 37.

¹¹ უტრნ. „საბჭოთა სამართალი“, 1967 წ., № 4, გვ. 37.

¹² ЦП СССР, 1961 г., № 16, ст. 126.

და წყალთა მეურნეობის ნაგებობების პროექტები და ხარჯდრიცხვები უნდა გატარდნენ სახელმწიფო ექსპერტიზაზე — მოკავშირე რესპუბლიკების სახ-მშენებში, როდესაც მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს **2,5-დან 50 მილიონ მანეთამდე**. ამავე ობიექტების საპროექტო დავალებების დამტკიცება დაკისრებული აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, როდესაც მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს კვლავ **2,5-დან 50 მილიონ მანეთამდე**. ხოლო ავტორის მიერ მოხსენებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 ივნისის № 465 დადგენილებით, **წყალსამეურნეო** ობიექტების მშენებლობის საპროექტო დავალებების სახელმწიფო ექსპერტიზაში გატარების და თვით საპროექტო დავალებების დამტკიცების წესების დადგენა მინდობილი აქვს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, როცა ამ ობიექტების სახარჯდრიცხვო ღირებულება შეადგენს **2,5 მილიონ მანეთამდე**.

ეს ცვლილება შეტანილ იქნა მხოლოდ წყალსამეურნეო ობიექტების მშენებლობის მიმართ, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ საჭიროდ იქნა მიხნეული მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საკითხების კოორდინაციის გაძლიერება საკავშირო მასშტაბით, რისთვისაც წყალთა მეურნეობის სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკებში გარდაიქმნენ საკავშირო-რესპუბლიკურ ქვემდებარეობის ორგანოებად და შეიქმნა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

6. და ბოლოს, ავტორს მოხსენებული აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აპრილის № 319 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“¹³.

ავტორი, ამასთან დაკავშირებით წერს: „ეს დადგენილება ავალებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაიყვანოს სრულ სამეურნეო ანგარიშზე საბჭოთა მეურნეობების პირველი ჯგუფი; შემდეგში ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას მოკავშირე რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ შესაბამისმა მინისტრთა საბჭოებმა.“

ამრიგად, მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს კომპეტენცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით“¹⁴.

კურონოშულად გამოდის, მაგრამ ავტორის აზრით — თვალყურის დევნა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკაში საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის მიმდინარეობაზე, უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მინისტრთა საბჭოს კომპეტენციის გაფართოება.

* * *

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებების გაფართოება — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიური და სახელმწიფოებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგია. ერთ-ერთ მნიშვნე-

¹³ СП СССР, 1967 г., № 10, ст. 55.

სტატიაში შეცდომით არის დაბეჭდილი ამ დადგენილების მიღების თარიღი — 1957 წ. (?), 13 აპრილი (?).

¹⁴ უურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1967 წ., № 4, გვ. 38.

ლოვან დოკუმენტს ამ მხრივ წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“, რომელმაც განვითარება ჰპოვა შემდგომში მიღებულ სხვა ნორმატიულ აქტებშიც.

ეკონომიური რეფორმის შემოღებასთან ერთად მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 730 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ“.

ამის შემდგომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია კიდევ ერთი, 1967 წლის 10 ივლისის № 642 დადგენილება „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ“.

ძირითადად სწორედ ეს არის ის დოკუმენტები, რომლებითაც სარგებლობენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და რომლებიც წარმოადგენენ საფუძველსა და წყაროს მკვლევარისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების კომპეტენციის განვითარების შესწავლისა და დადგენისათვის.

გვკისად დავიხვამთ ახალი ვეჯეჩინაჲლი ნესდეგის მოთხოვნები

ს. კუკრიშვილი

სახელმწიფო ვეტერინარიამ ბოლო წლებში ღრმა სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სახელმწიფო ვეტერინარიის ფუნქციები, გაიზარდა ვეტსპეციალისტთა რიცხვი, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშია დასაქმებული.

სავეტერინარო სამსახური ახორციელებს სერიოზულ სოციალ-ეკონომიურ ღონისძიებებს. ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლით ვეტსპეციალისტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში. იმავდროულად ეს ბრძოლა, ნიშნავს ადამიანებისა და ცხოველებისათვის საერთო დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას.

ჩამოთვლილი და სხვა გარემოებები აუცილებელს ხდიდა შემუშავებულიყო ახალი ვეტერინარული წესდება. სსრ კავშირის ახალი ვეტერინარული წესდება დამტკიცდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1967 წლის 22 დეკემბერს.

ახალი წესდების მე-2 მუხლში ამოწურავადა ჩამოყალიბებული ვეტერინარული სამსახურის ამოცანები, რაც შემდეგში მდგომარეობს: ცხოველთა გადამდები და არაგადამდები სნეულებათა თავიდან აცილება და ლიკვიდაცია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე მოქალაქეთა მეურნეობებში;

ისეთ ვეტერინარულ ღონისძიებათა ორგანიზაცია და გატარება, რომელთა მიზანია მეცხოველეობის განვითარებისა, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლება, გვემეების შესრულება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ; ვეტერინარულ-სანიტარული მხრივ ცხოველური წარმოების ხარისხოვანი პროდუქტების წარმოების უზრუნველყოფა; მოსახლეობის დაცვა ადამიანისა და ცხოველებისათვის საერთო დაავადებისაგან; სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვა ცხოველთა გადამდები სნეულების შემოტანისაგან უცხო სახელმწიფოდან.

ამ ამოცანების ივანხოორციელების მიზნით ვეტერინარული წესდების მე-3 მუხლში გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელონ სახელმწიფო ვეტერინარიის ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა საწარმოების, ორგანიზაციის და დაწესებულებების ვეტერინარმა ექიმებმა და ვეტერინარმა ფერმლებმა, სამინისტროების და უწყებების ვეტერინარულმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა.

ვეტერინარული ხელმძღვანელობა და მეცხოველეობის ვეტერინარული მომსახურების ორგანიზაცია დაკისრებული აქვს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც თავის კომპეტენციის ფარგლებში არსე-

ბული კანონმდებლობის საფუძველზე გამოსცემს დებულებას, შესაფერის ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს. ეს ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებები სავალდებულოა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვეტერინარულ სამსახურის ხელმძღვანელობას ახორციელებს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოსა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა ვეტერინარული ორგანოების, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და უწყებების სავეტერინარო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მეშვეობით.

ახლმა ვეტერინარულმა წესდებამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ვეტერინარიის დარგის თანამდებობის პირთა უფლებები. სახელდობრ, მთავარ სახელმწიფო ვეტერინარ ინსპექტორებს, მათ მოადგილეებსა და სახელმწიფო ვეტერინარ ინსპექტორებს უფლება მიენიჭათ ვეტერინარულ-სანიტარული და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად სავალდებულო მითითებები მისცენ სამინისტროებს, უწყებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, აგრეთვე მოქალაქეებს.

წესდების ცალკე განყოფილებაში ჩამოყალიბებულია კოლმეურნეობათა გამგეობის, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, სხვა საწარმოთა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელების, ცხოველთა მფლობელი მოქალაქეებისა და ვეტერინარი მუშაკების მოვალეობები ცხოველთა გადამდები სნეულების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის საქმეში. წესდება მათგან მოითხოვს იმ ღონისძიებათა დროულად გატარებას, რომელ-

თა მიზანია ცხოველთა გადამდები სნეულების გავრცელების თავიდან აცილება.

რასაკვირველია, ცხოველთა გადამდები სნეულების პროფილაქტიკა ძირითადად დამოკიდებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა, მეცხოველეობის ფერმის მუშაკების და ზოოვეტსპეციალისტების მიერ ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული სპეციალურ სამეურნეო-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებაზე. მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმების ცენტრალური გზის პირას გაშენება, რაც ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ხდება, პირუტყვის გზის პირად ძოვება, ფერმაში გარეშე პირუტყვის შეშვება, ან ფერმის პირუტყვის შერევა გარეშე პირუტყვთან საძოვრებზე და სხვა ადგილებზე, შესაფერისი ზღუდეებისა და სათანადო ვეტერინარულ-სანიტარული ობიექტების (ვეტსანიტარული გამტარები, იზოლატორები, სასბორები, სამშობიარო განყოფილებები, სასაკლავო მოედნები, ცხოველსამარხი და სხვა) უქონლობა ხელსაყრელ ნიადაგქმნის ცხოველთა გადამდები სნეულებების გაჩენისა და გავრცელებისათვის. ეს კი დიდ ეკონომიურ ზარალს იწვევს.

ამის თავიდან ასაცილებლად ახალი ვეტერინარული წესდება ავალებს ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულებების ხელმძღვანელს შემორაგონ ფერმები, აიშენონ ზღუდეები და სათანადო ვეტერინარულ-სანიტარული ობიექტები, სისტემატურად აწარმოონ ფერმებში მექანიკური დასუფთავება, დეზინფექცია, დერატიზაცია, კატეგორიულად აკრძალონ ვეტსპეციალისტების ნებადაურთველად მეურნეობაში, ფერმაში პირუტყვის და ფრინველის შემოყვანა რა დანიშნულებისაც არ უნდა

იყოს ის, მათი ფერმიდან ფერმაში გადაყვანა, გადაჯგუფება და სხვა.

ფერმების ვეტერინარულ-სანიტარული, ზოოპაციენტური მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ მათ გამგეებს და ზოოტექნიკოსებს, აგრეთვე იმ ვეტერინარ-სპეციალისტებს, რომლებიც უშუალოდ ფერმებს ემსახურებიან.

გადამდებ სნეულებებთან ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებულ ვეტერინარულ-სანიტარული ხასიათის საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებას. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომი დროულად არ იღებს დადგენილებას არაკეთილსაიმედო ფერმებში კარანტინის დაწესების შესახებ, აჭიანურებს მის ადგილზე დაყვანას, ლობერალობას იჩენს საკარანტინო რეჟიმის დამრღვევთა მიმართ.

წესდების ბოლო, IX-განყოფილებაში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ვეტერინარიის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის დარღვევისათვის.

სსრ კავშირის ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული წესების და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული წესების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მიერ ეპიზოოტიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დარღვევისათვის ბრალდებული პირი ჯარიმდება შემდეგი ოდენობით: თანამდებობის პირები— 50 მანეთამდე და მოქალაქეები 10 მანეთამდე, თუ ეს დარღვევები არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ვეტერინარული წესდების

დარღვევისათვის ითვალისწინებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები. 183-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ვეტერინარული წესდების დარღვევისათვის, რასაც მოჰყვა ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი. ამ მუხლს ბლანკეტური ხასიათი აქვს, ე. ი. ამ დანაშაულის ხასიათის დასადგენად საჭიროა გამოვიყენოთ სსრ კავშირის ვეტერინარული წესდება. აღნიშნული მუხლის თანახმად ვეტერინარული წესდების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირს მაშინ დაეკისრება, როდესაც ასეთ ქმედობას შედეგად მოყვება ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი. კანონში მითითებული არ არის, თუ როგორი შედეგი ჩაითვლება მძიმე შედეგად. ეს ფაქტის საკითხია. ყოველ შემთხვევაში მძიმე შედეგად ჩაითვლება, მაგალითად, ეპიზოოტიის გავრცელება, პირუტყვის მასობრივად დაცემა, პირუტყვისაგან ადამიანების დაავადება და ა. შ. აღნიშნული მუხლით სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ან თანამდებობიდან დათხოვნა.

ვეტერინარიის კანონმდებლობის დარღვევისათვის ჯარიმების დადების უფლება აქვს როგორც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის აღმინისტრაციულ კომისიას, ისე უშუალოდ ვეტერინარ-ინსპექტორს ან მის მოადგილეს. სსრ კავშირის მთავარ და სახელმწიფო ვეტერინარ ინსპექტორს და მის მოადგილეებს უფლება აქვთ დააჯარიმონ თანამდებობის პირი 50 მანეთამდე, ხოლო მოქალაქე — 10 მანეთამდე. მოკავშირე რესპუბლიკების მთავარ სახელმწიფო ვეტერინარ ინსპექტორს და მის მოადგილეს შეუძლია დააჯარიმოს თანამდებო-

ბის პირი 30 მანეთამდე, მოქალაქე 10 მანეთამდე, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქების (მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქების, სამხარეო და საოლქო ცენტრების) მთავარმა სახელმწიფო ვეტერინარმა ინსპექტორებმა თანამდებობის პირი — 20 მანეთამდე, მოქალაქე — 10 მანეთამდე და ა. შ.


პრაქტიკამ დავგარწმუნა, რომ ზოოპიგიურული, ვეტერინარულ-სანიტარული ეპიზოოტიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური წესების ზუსტი დაცვა არსებითი პირობაა პირუტყვის დაავადებისაგან დაცვისა და სიკვდილიანობის თავიდან აცილებისათვის. ვეტერინარული წესდება მოითხოვს, რომ პირუტყვის დაკვლა ხორცკომბინატებსა და სასაკლაოებში მოხდეს ვეტერინარი ექიმის ზედამხედველობით. ხორცკომბინატებში ასეთი ზედამხედველობის ორგანიზაცია არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება პირუტყვის დაკვლას მოქალაქეთა მიერ თავიანთ ეზოებში, აქ უკვე ვეტერინარ ექიმის ზედამხედველობა დიდ სიძნელებს აწყდება, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიცაა. ამიტომ მიზანშეწონილია მოეწყოს სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით ცხოველთა სასაკლაო მოედნები იქ, სადაც ასეთი მოედნები ჯერ კიდევ არ არსებობს. სამწუხაროდ, ზოგიერთ რაიონში სასაკლაო მოედნების შექმნას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ბევრი სასაკლაო მოედანი მოუწყობელია და ვერ აკმაყოფილებს ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ზოგიერთი ხორცკომბინატის დირექტორიც უგულებელ-

ყოფს დაწესებული ვეტერინარული წესების ზუსტად დაცვას.

ვეტერინარული დახმარების მეთოდების გაუმჯობესება ძირითადად დამოკიდებულია სპეციალისტთა მუშაობის ორგანიზაციაზე. ახალი ვეტერინარული წესდებით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დავალებული აქვს გამოიმუშავოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ვეტერინარული მომსახურეობის ნორმები. ასეთი ნორმები დადგენილია საბჭოთა მეურნეობისათვის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა არ იცავს ამ ნორმებს. ეს კი ხელს უშლის სამკურნალო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას.

უფრო მწვავედ დგას საკითხი კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში მყოფი ცხოველების და ფრინველების ვეტერინარული მომსახურების შესახებ, გარდა ამისა, არ ხდება ასეთ ცხოველთა და ფრინველთა ზუსტი აღრიცხვა.

სტატისტიკური მონაცემები ამ მხრივ ბევრს ცოდავენ. საქმე ისაა, რომ კოლმეურნეობებსა და მუშა-მოსამსახურეებს პირად საკუთრებაში გაცილებით მეტი პირუტყვი ჰყავთ, ვიდრე ეს სტატისტიკურ მონაცემებშია აღრიცხული. ეს გარემოება ხელს უშლის ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ვეტერინარულ-სანიტარულ, პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღონისძიებების ზუსტად დაგეგმვას. ასეთ პირობებში აღრიცხული პირუტყვი პროფილაქტიკური დამუშავების და მკურნალობის გარეშე რჩება. ეს ნაკლოვანებები უნდა გამოსწორდეს. ამის გარეშე შეუძლებელია წარმატებით განვახორციელოდ ვეტერინარული წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებები.



1. მოსე ქიქოძე

გამოჩენილი ქართველი იურისტი და საზოგადო მოღვაწე მოსე ათანასეს ძე ქიქოძე დაიბადა სოფელ ბახვში 1844 წელს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა და სამშობლოში დაბრუნდა.

სტუდენტობის წლებშივე პუბლიცისტური და ჟურნალისტური მოღვაწეობა დაიწყო. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. უმთავრესად წერილებს ბეჭდავდა გაზეთ „დროებასა“, ჟურნალ „მნათობში“. აქ დაბეჭდა მან საინტერესო წერილები: „საქართველოს მომავალი“, „სუსტი ჭკუის ამაცობა“, და სხვა.

მალე პუბლიცისტობას თავი დაანება და საადვოკატო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. თავი გამოიჩინა, როგორც დიდი ერუდიციისა და მაღალი კულტურის იურისტი. მეგობრობდა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან—ნიკო ნიკოლაძესთან, აკაკისთან, გიორგი წერეთელთან, სერგეი მესხთან და სხვებთან.

მოსე ქიქოძე ადვოკატურაში მოღვაწეობდა 1872 წლიდან სიკვდილამდე ერთი პირველი პროფესიული ადვოკატია საქართველოსა და კავკასიაში. გარდაიცვალა 1914 წელს, 70 წლისა, ქ. ქუთაისში და იქვე იქნა დაკრძალული.

დაცულია მასალები და ცნობები მოსე ქიქოძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. უცნობი ქართველი ჟურნალისტი ფსევდონიმით „ალი“ იგონებდა: „ვინც მოსე ქიქოძეს დაახლოებით იცნობდა, ვისაც უნახავს ეს ქართველი—ევროპიელი სასამართლოში მსაჯულთა წინაშე მდგომი, მოუსმენია მისი სიტყვა იშვიათი ტემპერამენტით მფეთქავი, ძლიერი ცეცხლით ანთებული, მისთვის ცხადზე უცხადესი უნდა იყოს, რომ მოსე ქიქოძის სახით ჩვენმა ინტელიგენციამ დაკარგა ერთი უნიჭიერესი, იშვიათი, ჩვენებური ევროპიელი ამ სიტყვის ფართო და სრული მნიშვნელობით:

1903 თუ 1904 წელს ქუთაისის თეატრში თავმოყრილი დიდი საზოგადოება მოხიბლული, დატყვევებული უსმენდა მოსე ქიქოძეს, რომელიც სამშობლო ენის მნიშვნელობაზე, ქართული ენის დიდ წარსულსა და დამამცირებელ აწმყოზე ლაპარაკობდა. მსმენელს აოცებდა საკვირველი სიტუაცია იმ მასალისა, რომლითაც ორატორი ჭეშმარიტი მჭევრმეტყველების ხელოვნებით სარგებლობდა. აკვირვებდა, მისი ენის სიმკვეთრე.

გაბედული, პირდაპირი, შეუპოვარი სიცხოველე და ადფრთოვანება... ხანგრძლივი ტაში და მთელი ნაკადი ყვაილებისა, რომლებითაც ორატორი დააჯილდოვეს, მხოლოდ ნახევრად თუ გამოხატავდა გამოღვიძებულ ენთუზიაზმს და აღტაცებას. საქმე ის იყო, რომ სამოცი წლის ორატორი მართლაც, რომ დიდი, ფართო და ღრმა ნიჭის უნდა ყოფილიყო, თუ პროფესიის უღელში გაბმულმა ასე ბრწყინვალედ შესძლო ამ დიად, სერიოზული საგნის მეცნიერული გარ-

კვება, განათლება. ეჭვი არ იყო, ამ ცოცხალ ნიჭს ფრთები შეკვეცილი ჰქონდა, ის შებოჭილი იყო. უასპარეზო პროფესიის ფარგლებში მომწყვდეულს არ შეეძლო გაშლილიყო მთელი სიღრმე-სივანით.

გებრალება და გენანება განსვენებულის დიდი ძალ-ღონე, რომელიც მან რუსული მართლმსაჯულების რკინის ჯავშანს შეაღია... მაგრამ მისი ვეჭილობაც ხომ თავისებური რამ იყო: ეს მისი პროფესიაც ხშირად მძლავრად ხატავდა მისი პიროვნების სულიერ სიმდიდრეს.

მოსე ქიქოძე არ იცავდა მხოლოდ, არა ის იბრძოდა, იტანჯებოდა და იმარჯვებდა... მთელი თავისი ცხარე არსებით იმსჯვალეობდა ის იმ საქმით, რომელსაც აკისრებდნენ.

უსამართლობისადმი სათუთად მგრძნობიარე, გამბედავი, პირდაპირი, იშვიათი ტემპერამენტით და მჭევრმეტყველების ნიჭით დაჯილდოებული, იგი უფრო ფართო მოღვაწეობისათვის იყო ბუნებით გამზადებული: მეტი გაშლილობა, მეტი სიმტკიცე შეეფერებოდა მას.

ღიახ, იშვიათი ადამიანი იყო მოსე ქიქოძე, იშვიათი ქართველი, დიდი ნიჭის, ცხოველი სულის პატრონი და თუ არა ჩვენი დაკნინებული, დაწვრილმანებული ცხოვრების პირობები, მისი სახელი, მისი ძალ-ღონე შესაფერი უშქით უნდა გამობრწყინებულიყო მძლავრად და ცხოვლად.¹

გამოჩენილი იურისტის მოსე ქიქოძის სიკვდილმა მრავალი ადამიანი დაამწყურბარა, არა მარტო მის სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამას მოწმობს თუნდაც 1914 წლის 15 თებერვალს შორეული მხრიდან გაზეთ „თემის“ რედაქციის სახელზე გამოგზავნილი დეპეშა: „1914 წლის 15 თებერვალი, 1 საათი და 20 წუთი. აღარა გვყავს მოსე ქიქოძე. ვის არ ახსოვს მოსე ქიქოძე, ეს უანგარო, პატიოსანი, კეთილშობილი ადამიანი, ფაქიზად დამცველი თავის სპეტაკი ბუნებისა, რომლის შეცვლა მის უკანასკნელ წუთამდე ცხოვრებამაც კი ვერ შეძლო. ნაფიც ვეჭილს მოსე ქიქოძეს, ნათელი ტრადიციების ერთგულს, ამაყად და მალლა ეჭირა ღრმთა პატიოსანი ადამიანისა და საზოგადო მოღვაწისა. საქართველოს ამისთანა ღირსეული შვილის სიკვდილმა ნათესავებთან, მეგობრებთან და ნაცნობებთან და ყველა იმათთან ერთად, რომელთაც მის შესახებ ესმოდათ, ღრმად შეგვაწუხა ჩვენც ახმაბადელი ქართველები.“

საუკუნობით იყოს ხსენება შენი და მშვიდობა ნემტსა შენსა საქართველოს ღირსეულ შვილთა.²

ადვოკატი მოსე ქიქოძე განსაკუთრებული ზნეობრივი თვისებებით გამოირჩეოდა, გადმოგვცემენ.

განსვენებული ადვოკატი ანდრია კოსტავა იგონებდა: ადვოკატი მოსე ქიქოძე იცავდა ბრალდებულს, რომელიც მკვლელობაზე სამართალში იყო მიცემული.

ბრალდება არაპირდაპირ მხილებებზე იყო დამყარებული, არ იყო საკმაოდ დამაჯერებელი და ერთიმეორესთან მტკიცედ დაკავშირებული. ბრალდებული დანაშაულის ჩადენას უარყოფდა.

1 გაზეთი „თემი“, 1914 წ. № 163

2 გაზეთი „თემი“, 1914 წ. № 163,

საქმის მასალების დრმა იურიდიული, ყოველმხრივ ამომწურავი გაშუქებით, ქიქოძემ იმას მიაღწია, რომ ბრალდებული სასამართლომ გაამართლა.

განაჩენის გამოტანის სამი დღის შემდეგ ქიქოძესთან მოვიდა ყოფილი ბრალდებული და გამოუტყდა თავის დამცველს: მკვლელობა ნამდვილად ჩადენილი მაქვსო.

ამ ამბავმა მოსე ქიქოძე დიდად შეაწუხა, რამდენიმე დღე და ღამე ვეღარ დაიძინა, მოსვენება დაკარგა, რადგან მისი რწმენა ბრალდებულის უდანაშაულობის თაობაზე მისდაუნებურად ყალბი აღმოჩნდა.³

სამწუხაროდ, მოსე ქიქოძის მოღვაწეობის შესახებ მეტად მცირე, ფრაგმენტული ცნობები გავვაჩნია. დღემდე არაა აღმოჩენილი მისი თუნდაც ერთი სრული დაცვითი სიტყვა, თუმცა თავისი ხანგრძლივი საადვოკატო მოღვაწეობის განმავლობაში მრავალ საინტერესო და საკმაოდ გახმაურებულ სასამართლო პროცესებში მიუღია მონაწილეობა, წარმოუტყვემს მკვერმეტყველებით აღსავსე სანიმუშო სიტყვები. ეტყობა იმ დროს თვითონ ქიქოძეს არ უზრუნვია თავის სიტყვების დაწერაზე, ხოლო სხვებმა ვერ შესძლეს მისი სიტყვების ჩაწერა და დაცვა.

მაშინ პერიოდულ პრესაში აქა თუ იქ გაიეღვებს ხოლმე კორესპონდენტის ცალკეული ჩანაწერი, სადაც მინიშნებულია ამ შესანიშნავი იურისტის მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე.

„თემის“ კორესპონდენტს მოჰყავს ცნობა ერთი საინტერესო პროცესის თაობაზე. სამართალში მიცემულ ქალს იცავდა მოსე ქიქოძე.

„სასამართლებენ დედაკაცს, რომელმაც თავისი შეუტრაცხმყოფელის სახლი გადაბუგა. ფაქტი ნათელია, მსაჯულებს თითქოს წინდაწინ მზადა აქვთ განაჩენი, მაგრამ აი, დგება ბრალდებულის ვეჭილი ქიქოძე, პირველად თავდაჭერილი. სიმშვიდით, წყნარად ლაპარაკობს, მაგრამ რაკი ამ ტრაგიკულ მძიმე ისტორიის სიღრმეს უახლოვდება და სამსჯავროს წინაშე ქალის გაუზატიურების, საშინელი დამცირების სურათსა შლის, აღშფოთებით გრგვინავს მრისხანე ხმა. შემდეგ დამცირებულის შურისძიების სურათი. ორატორი მთლად კანკალებს, ხმა უწყდება. დარბაზში ქვითინი გაისმის, მსაჯულთა თავმჯდომარე ათროლოლებული ხელით ცხვირსახოცს დაეძებს. დამნაშავე გაამართლეს.“

არაერთხელ უჩენია თავი იმ შინაგან ცეცხლს, რომელიც მის არსებაში ენთო, თამამად შეიძლება ეთქვა მას ცხოვრების დასავალზე: „მე ვცხოვრობდი, ვინთებოდი, ვიწოდი“.

ბოლო დროს ჩვენ მივაკვლიეთ ორი სასამართლო პროცესის მოკლე ანგარიშს, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: „ივერიასა“ (1891 წ. № 210) და „ცნობის ფურცელში“ (1901 წ. № 1589, 1591). ამ გაზეთების ფურცლებზე მოთავსებულია მოსე ქიქოძის დაცვითი სიტყვების ფრაგმენტები, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭებათ. ეს სიტყვები სასამართლო პროცესებზე უცნობ ქართველ ჟურნალისტებს ჩაუწერიათ სხვადასხვა დროს, და შემდეგ მიუწოდებიათ აღნიშნული გაზეთების რედაქციებისათვის. სწორედ მათი წყალობით შემოგვრჩა მ. ქიქოძის დაცვითი სიტყვები.

³ აღნიშნული ცნობა მომართდა გიორგი თარხნიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

1890 წელს ქუთაისის მაზრის სოფელ გეგუთში რევოლუციის ტყვიით მოკლული იქნა 24 წლის ქალწული ბაბილინა აბესალომის ასული აბაშიძე. ამ საქმის გამო სისხლის სამართალში მიცემული იქნენ: აზნაური ბარამ მდივანი, მისი ცოლი სალომე საყვარელიძე (მოკლულის დედა, რომელსაც ბაბილინა პირველი ქმრისაგან აბესალომ აბაშიძისაგან ჰყავდა) და გლეხი ივანე ბობოხიძე.

ბარამ მდივანს იცავდა ადვოკატი მოსე ქიქოძე, სალომე საყვარელიძეს ადვოკატი ვლადიმერ ტატიშვილი და ივანე ბობოხიძეს ადვოკატი პოპედაში.

ბრალდებულებს სასამართლომ მიუსაჯა საკატორღო სამუშაოებზე გავზავნა სხვადასხვა ვადით.

საქმე გარჩეული იქნა ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

აი, ამ სასამართლო პროცესზე მ. ქიქოძის მიერ წარმოთქმული სიტყვის ფრაგმენტი ჩვენ ხელთა გვაქვს.

1901 წელს რუსეთიდან ქუთაისში სავასტროლოდ ჩამოვიდა შავრაზმული თეატრალური დასი, რომელმაც ქუთაისის თეატრის სცენაზე წარმოადგინა ორი ანტისემიტური ხასიათის წარმოდგენა. ესენი იყო: ლიტვინოვისა და კრილოვის „შვილნი ისრაელისა“ და „კონდრაბანდისტები“.

წარმოდგენას ესწრებოდა მოსწავლე ახალგაზრდობაც, რომლის ყველაზე მოწინავე, გაბედულმა და პატიოსანმა წარმომადგენლებმა: ნიკოლოზ მერაბის ძე ლორთქიფანიძემ (მომავალი გამოჩენილი ქართველი მწერალი) კირილე იესეს ძე ნინიძემ, ალექსანდრე ნიკიფორეს ძე კანდელაკმა და ილია კონსტანტინეს ძე ფხაკაძემ ხმა აღიმადღეს და თეატრალური დასის მესვეურებს სასიკიტი პროტესტი განუცხადეს ასეთი სამარცხვინო პიესების დადგმის გამო, რომლებიც აბუხად იგდებდა და აშკარად ამცირებდა ისეთ ისტორიულ ერს, როგორიც ებრაელი ერია. თვით წარმოდგენის პროცესში მოითხოვეს სცენის დახურვა და ასეთი დადგმის დაუყოვნებლივ აკრძალვა. თეატრში აურზაური შეიქმნა. პროტესტების ხმები აშკარად გაისმოდა. ნიკოლოზ ლორთქიფანიძე თურმე წამოედგა და საჯაროდ განაცხადა: „ვთხოვ პატიოსან საზოგადოებას, ნუ უყურებს ამ საზიზღარ წარმოდგენას, რომელიც რყვნის დრამატულ ხელოვნებას, ამცირებს ერსა და შეურაცხყოფს სარწმუნოებრივ გრძნობას, ვინც თქვენში რიგიანია, წავიდეს თეატრიდან და ვინც უპატიოსნოა თუნდა დარჩეს“. სხვა მხრიდან სტუდენტთა ერთი ჯგუფი პროტესტის ნიშნად ხმამაღლა ამბობდა: „დავეჭიროთ და ძალით გავვიყვანეთ, მაგრამ ნებით კი არ გავალთ, სანამ ამ უმსგავსო წარმოდგენას არ დახურავთ“.

მეფის ყანდარმერია საქმეში ჩაერია და ეს ოთხი ახალგაზრდა სტუდენტი დააპატიმრა და სამართალში მისცა ვითომდა უწყესობის ჩადენისა და აღმინისტრაციულ ხელისუფალთა წინააღმდეგობის გაწვევისათვის.

სასამართლო პროცესზე ნიკ. ლორთქიფანიძესა და კირილე ნინიძეს იცავდა მოსე ქიქოძე, ხოლო ილია ფხაკაძესა და ალექსანდრე კანდელაკს ადვოკატები: თ. ფაღავა და თ. გელაზაროვი.

სასამართლო პროცესზე მეტად დამაჯერებელი, იურიდიულად გამართული

დაცვითი სიტყვა წარმოთქვა მოსე ქიქოძემ, რომელმაც მთელი პროცესი მაღალ სიმადლეზე აიყვანა. მან ფაქტიურად დაცვითი სიტყვა საბრალდებო სიტყვად აქცია ყველა იმათ მიმართ, ვინც ცდილობდა პროვოკაციულად შუღლი და მტრობა ჩაეგდო სხვადასხვა ერებს შორის და მოითხოვა სამართალში მიცემულთა გამართლება.

შესანიშნავი დაცვითი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ადვოკატმა თ. ფაღავამ, რომლის სიტყვა, სამწუხაროდ, არ შემოგვრჩა.

სამართალში მიცემულნი ქუთაისის ოლქის სასამართლომ დააჯარიმა სხვადასხვა ფულადი თანხით, მაგრამ თბილისის სასამართლო პალატამ მათ სასჯელი პატიმრობით შეუტყვალა: ნიკ. ლორთქიფანიძეს, კირილე ნინიძეს და ილია ფხაკაძეს სამ-სამი თვით, ხოლო ალექსანდრე კანდელაკს სამი კვირის ვადით.

მოსე ქიქოძის სახით საქართველოს ადვოკატების ისტორიას ამშვენებს სიმართლისათვის თავდადებული მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი ენერგია ხალხის სამსახურს შეაღია.

2. ლუარსაბ ლოლუა

ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა იურისტი და საზოგადო მოღვაწე დაიბადა სოფ. ხორშში, ღარიბი, უმიწაწყლო აზნაურის ოჯახში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რაც წარჩინებით დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი მუშაობს ადვოკატად ქუთაისში. იურიდიული მოღვაწეობის ასპარეზზე ლოლუამ დიდი სახელი გაითქვა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იურისტმა მონაწილეობა მიიღო რთულ საქმეებზე გამართულ სასამართლო პროცესებში. მისი მონაწილეობით ჩატარდა საკმაოდ გახმაურებული სასამართლო პროცესები, მათ შორის სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მონაწილეთა, სარა შოდებაძისა და სხვ. (ამ უკანასკნელ საქმეზე მონაწილეობდა რუსეთის გამოჩენილი ადვოკატი პ. ალექსანდროვიც).

ლ. ლოლუა თითქმის სამი ათეული წელიწადი მოღვაწეობდა საადვოკატო ასპარეზზე. იგი პირველი პროფესიული იურისტია საქართველოში. ერთდროულად ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ლოლუა წერილებსა და სტატიებს ათავსებდა გაზეთ „ივერიაში“ და ჟურნალებში. მას ეკუთვნის სტატიები: „საერთო სკოლები სამეგრელოში“, (რაც 1903 წელს ცალკე ბროშურადაც დაიბეჭდა), „ჩვენი საზოგადოების მოღვაწეობის ნიმუშები“ და სხვ.

1893 წელს ლ. ლოლუა არჩეულ იქნა ქუთაისის ქალაქის თავად. მან ამ თანამდებობაზე 12 წელი დაჰყო. 1905 წელს იგი ავადმყოფობის გამო სამუშაოდან გათავისუფლდა. 1907 წელს გარდაიცვალა ქალაქ ქუთაისში და იქვე იქნა დაკრძალული.

ლუარსაბ ლოლუა ფართო განათლების მოღვაწე იყო. პატრიოტსა და თავის სამშობლოს ერთგულს, მხურვალედ უყვარდა მშობლიური კულტურა და ლიტერატურა. 1893 წელს, როდესაც იგი ქუთაისის ქალაქის თავად აირჩიეს, ეს

თარიღი გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხედრის განჯიდან თბილისში გადმოსვენებას დაემთხვა. ლუარსაბი დაუყოვნებლივ გამოეშურა თბილისში ქუთათურ დეპუტაციასთან ერთად და მონაწილეობა მიიღო დიდუბეში პოეტის ცხედრის დაკრძალვის ცნობილ ცერემონიაში. აქ მან წარმოთქვა სიტყვა, რაც იმ დღეებშივე გამოქვეყნდა გიორგი წერეთლის „კვალში“, (1893, № 18). მოგვყავს ეს სიტყვები: „როდესაც კაცის წინ კუბო დგას, როდესაც იგი პირღია სამარეს დაჰყურებს, მისი სული ყოველთვის გლოვით და მწუხარებით არის მოცული. მაგრამ დღეს სხვა რამეს გგრძნობთ, სულ სხვა გრძნობით არის სავსე ჩვენი სული. ნაცვლად გლოვისა, ნაცვლად მწუხარებისა, ჩვენ დღეს მხოლოდ ერთს ბრწყინვალე დღესასწაულსა ვხედავთ, მარტო სიხარულსა ვგრძნობთ. დღევანდელი დღე სამარადისოდ ერთ-ერთი საუკეთესო დღეა საქართველოს ერის ცხოვრებაში, არის სასიხარულო ყოველის კაცისათვის, ვისაც კი სწამს და უყვარს კეთილი ჭეშმარიტება და ახარებს მათი წინ წასვლა და გამარჯვება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წელში, გარდაიცვალა უცხო ქვეყანაში, მაგრამ ახლოს, ძალიან ახლოს საქართველოსთან. მაშინაც იყო საქართველო, მაშინაც სწერდნენ და კითხულობდნენ ქართველები, მაგრამ საქართველოს არ უწყებია, არ გაუგია, არ უგრძენია, რომ მან დაკარგა საუკეთესო შვილი, ბარათაშვილი მიბარდა მიწას უცხო ქალაქში ყოველ კაცისაგან დავიწყებული.

ამგვარი დასასრული საზოგადო მოღვაწისა იყო ჩვეულებრივი ჩვენს ქვეყანაში. ეს კარგად იცოდა ჩვენმა პოეტმა, იცოდა მან, რომელიც მუდამ სტიროდა სულის სიობლეს, რომელიც გლოვობდა გაქრობას სახელთა მათთა, ვინც მამულისათვის თავი დასდევს.

გაიარა თითქმის ნახევარმა საუკუნემ, შეიცვალა დრო, შეცვლილან თვით ქართველებიც და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ ეს ნაკლოვანება გაგვისწორებია, თუმცა ამისათვის ნახევარი საუკუნე დაგვჭირდა. აი ბატონებო, რას გვასწავლის დღევანდელი დღე, აი, მიზეზი ჩვენი სიმართლისა და დღესასწაულისა.

სამშობლოს მადლობა, სამშობლოსაგან ხსენება არის საუკეთესო და უდიდესი ჯილდო, რომელსაც კი საზოგადო მოღვაწე მიიღებს, და როდესაც სამშობლო თავის ერთგულ შვილს ამგვარს მადლობას გადაუხდის, ეს გარემოება ყოველთვის სანუგეშო და სასიხარულოა, იმიტომ, რომ ცხადად გვიმტკიცებს და დაგვანახვებს, რომ კეთილს საქმეს ფეხი მოუდგამს და წინ წასულა.

ახლა მოვიქცევი შენსკენ, საქართველო, ჩვენო პოეტო, მოვიქცევი, ვითარცა წარმომადგენელი ჩვენის ძველის დედაქალაქისა, მის მიერ აქ შენდა სადიდებლად წარმოგზავნილი. დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის კუთხე, სადაც ხსენება, შენი ქება არ იყოს. შენ დღეს შეაერთე ივინი, ვინც ჟამთა ვითარებამ და კაცთა უმეცრებამ ერთმანეთს დაამორა, შეაძულა და გაჰყარა. შენ ორმოცდარვა წლის მკვდარმა შენის მძლავრის სულით აგრძნობინე ძმობა, ერთობა და შეჰყარე შენდა სადიდებლად. გაიხაროს შენმა სულმან. იგი აღარ არის ობოლი. შენთვის არ ვინატრი საუკუნო ხსენებას. შენი სული არასდროს არ განშორდება ქართველებს და ვიდრე არსებობს ქართველობა, ვიდრე არსებობს ქართული სიტყვა, შენი სახელი არასდროს არ მოიშლება“.

დაცულია ლოლუას მეგობრისა და ახლობლის დავით აბდუშელიშვილის (ცნობილი ნოტარიუსი ქუთაისში) მოგონება: „ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუა, სამეგრელოს ღარიბი აზნაურის შვილი იყო. იგი შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში ყირიმის ომის დროს, როცა სამეგრელოს მართავდა მცირეწლოვანი მთავრის ნიკოლოზ დადიანის დედა ეკატერინე. დიდი გაჭირვება და ვაი-ვაგ-ლახი გამოსცადა თეიმურაზ ლულუამ შვილის სასწავლებელში მიცემის დროს. სამეგრელოს ავტონომია ჰქონდა მინიჭებული და მეგრელების შვილებს რუსეთის სასწავლებლებში იღებდნენ მხოლოდ სამეგრელოს მთავრის ნებართვით. ნებართვის აღება კი ადვილი არ იყო.

სამეგრელოს მთავრობა ნიადავ შიშში იყო, რომ რუსეთს არ მოესპო მისთვის ცოტა თუ ბევრად დამოუკიდებელი არსებობა და ეჭვის თვალთ უყურებდა, ვინც სამთავროს საზღვრიდან გადიოდა არა თუ ცოდნის მისაღებად, არამედ სხვა საჭიროებისათვისაც.

გიმნაზიაში ლუარსაბმა დიდი ხალისი გამოიჩინა სწავლისა. დაამთავრა თუ არა გიმნაზია, შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, დიდი გაჭირვება გამოიარა ლოლუამ როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში. მამამისი უყმო და უმიწაწყლო აზნაური იყო, ხოლო დედა ქუთაისის ღარიბი მოქალაქის ედიგარიშვილის ქალი. ისეთ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ მისი მშობლები, რომ ლუარსაბი იძულებული იყო როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ყოფნის დროს მშობლებისათვის ეწოდებინა გროშები ლუკმაპურის საშოვნელად. იგი თან სწავლობდა და თან გაკვეთილებს აძლევდა, რის გამოც არც დღე და არც ღამე მოსვენება არ ჰქონდა.

როდესაც ლოლუა რუსეთიდან დაბრუნდა, ის იყო შემოიღეს ახალი სასამართლოები. ახალგაზრდობა აღტაცებული იყო ამ რეფორმებით. იგი შეუდგა ადვოკატობას და პროფესიაში შესაფერისი ნიჭი გამოიჩინა. ლოლუა ბრალდებულთა დაცვის დროს ყურადღებას აქცევდა ცხოვრების იმ ძირითად მიზეზს, რომელთაც გამოიწვიეს ესა თუ ის დანაშაულობა და ცხოვრების მშვიდობიანობის დარღვევა. მაგრამ ლოლუას არ აკმაყოფილებდა ვეჭილის ხელობა. ზან თავი მიაწება ვეჭილობას და შეუდგა პუბლიცისტობას.

დიდი შრომისმოყვარე იყო ლოლუა. იმ დროს, როდესაც იგი ქალაქის თავის თანამდებობას ასრულებდა, იყო საპატრიო მომრიგებელი მოსამართლე და საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე.

ლუარსაბ ლოლუა თორმეტი წელიწადი იყო ქუთაისის ქალაქის თავად. როცა გარდაიცვალა მის პატივსაცემად ქალაქის საბჭომ დაადგინა: მისი სურათი მოთავსდეს საბჭოს დარბაზში.

ლუარსაბ ლოლუას მოღვაწეობას საქართველოს ადვოკატურის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ექნება მინიჭებული ყოველთვის.

აქვე ვაქვეყნებთ ლუარსაბ ლოლუას დაცვით სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა 1878 წელს სასამართლო პროცესზე სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების მონაწილეთა დასაცავად.

ამ სიტყვის რუსული ტექსტი მკვლევარმა და ჟურნალისტმა ალ. კოჭლავაშვილმა გამოაქვეყნა „საისტორიო მოამბეში“ 1945 წლის პირველ ნომერში; ქართული თარგმანი ეკუთვნის გიორგი თარხნიშვილს.

ბატონო მოსამართლენო! თქვენს მიერ განსახილველი საქმე ეკუთვნის სისხლის სამართლის იმ მეტად მნიშვნელოვან საქმეთა რიცხვს, რომლებიც მართლმსაჯულების ისტორიაში მოიხსენიებიან.

თავისთავად ცხადი და გასაგებია ამ საქმის მნიშვნელობა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც თქვენ წინაშე დამნაშავეთა სკამზე სხდან. მე მართლ მათ შესახებ არ ვილაპარაკებ. ეს საქმე საყურადღებოა მთელი ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი სახელმწიფოსათვის, იგი ეხება ხალხის ინტერესებს.

სამართალში მიცემულნი რუსის ტომს არ ეკუთვნიან. ჩვენი დიდი სახელმწიფო თავის შემადგენლობაში ბევრ ისეთ ტომებს აერთიანებს, რომლებიც რუსულ რასას არ ეკუთვნიან. ამ ტომთა შორის სვანები განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან და ცხადია მათი განვითარებაც შეუღებლად დაბალია.

სვანებმა, რომლებიც მთებში ცხოვრობენ და მოწყვეტილი არიან დანარჩენი კუთხებიდან გამოიმუშავეს ცხოვრების თავისი საკუთარი წყობილება. გაჩნდა თუ არა ახალი წყობილება, რაც უდავოდ სვანეთისათვის დიდ სიკეთეს წარმოადგენს, ისმება საკითხი მათთვის ამ წყობილების შეგუების საშუალებათა შესახებ. გაუფერობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ ევკრი ვავიმეორს, მე ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ ახალი წესი სვანეთისათვის ნამდვილ უანგარო სიკეთეს წარმოადგენს, მაგრამ ბატონო მოსამართლენო, ადამიანთა საზოგადოებები, ყოველთვის იტანჯებოდნენ არა იმისათვის, რომ მათ არ იცოდნენ თუ რა არის სიკეთე ან ბოროტება, არამედ იმიტომ, რომ მათ არ იცოდნენ თუ რა გზით შეიძლებოდა კეთილის განხორციელება და ბოროტებისაგან თავის დაღწევა.

ყოველთვის და ყველგან კაცობრიობის უძნელეს ამოცანას შეადგენდა ის, თუ როგორ შეუგუონ კეთილი აზრები და წამოწყებანი იმ ადამიანებს, რომლებიც განვითარების დაბალ საფეხურზე დგანან და ხშირად მდგომარეობა სისხლისმღვრელ შეტაკებამდე კი მიდიოდა.

მიუხედავად ამისა ხალხთა განვითარების ისტორიამ გამოიმუშავა საერთო გარდუვალი წესი, რომლის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ ხალხთა მიერ ახალი იდეებისა და წესების შეგნებულად შეთვისება უზრუნველყოფს მათ წარმატებით გატარებას ცხოვრებაში. ყოველგვარი გარეგანი ჩარევა, თუ იგი დამღუპველი არ აღმოჩნდება, თითქმის ყოველთვის საწინააღმდეგო მიზანს აღწევს.

ამ შემთხვევაში ისმება კითხვა — ამ უბედურებათა მიზეზი ხომ არ არის ის შეცდომები, რაც ახალი, უკეთესი წესების გატარების

დროს გამოყენებულ იქნა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ამ ადამიანების მიმართ, რამაც ისინი საბრალდებო სკამზე დასვა? მართლაც, თუ ეს საქმე გამოამუღავნებს ამგვარ რამეს, თუ ნამდვილად გამომუღავნდება დაშვებული შეცდომები, ასეთი წესების გატარებისას, ეს ვაკვეთილი იქნება იმისათვის, რომ შემდეგში მსგავსი უბედურებანი აღკვეთილ იქნას, აგრეთვე ეს ჰკუის სასწავლი მაგალითი გახდება ჩვენი ქვეყნისა და მთელი სახელმწიფოსათვის.

ამ საქმის მნიშვნელობა ვრცელდება არა მართლ ბრალდებულებზე და მათ ბედ-იღბალზე, არამედ თვით სასამართლოზეც.

ბრალდებულნი, მართალია გამოტყდნენ და არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ ნამდვილად ესროლეს და წინააღმდეგობა გასწიეს, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებენ, რომ ამ მოქმედებაში ისინი დამნაშავენი არ არიან.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება მოითხოვს, რომ რაიმე კანონსაწინააღმდეგო დანაშაულის დადგენისას, დამნაშავეს უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ მან ბოროტმოქმედება ჩაიდინა, ამ შეგნებისა და ბოროტი ნებისყოფის გარეშე ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედობა დანაშაული არ არის. რა დაბალ დონეზედაც არ უნდა იდგეს ბრალდებულთა ცოდნის განვითარება, მათ მინც იციან, რომ მკვლელობა ეს ბოროტმოქმედებაა და არ შეიძლება რომ წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდეს. მაშასადამე, თუ ბრალდებულები ჩადენილ მოქმედებას არ უარყოფენ, ხოლო ამ მოქმედებაში თავს დამნაშავედ არ ცნობენ, ცხადია აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს, აი, ამიტომ არის ეს საქმე მნიშვნელოვანი.

ერთი შეხედვით არ შეიძლება ბრალდებულთა მიერ ჩადენილი მოქმედების მიზეზების გაგება.

ბრალდებულებმა გადაწყვიტეს თავი შესწირონ რაღაცას — ქონებით, თავისუფლებით და სიცოცხლით, რაც ასე ძვირფასია ადამიანისათვის. გადაწყვიტეს დაღუპულიყვნენ და ცოცხლად დამარხულიყვნენ თავისივე სახლკარის ნანგრევებში. მათ წინააღმდეგობა ვაუწყიეს მთელ რაშსა და დათებდნენ მხოლოდ ყველა შესაძლებლობათა ამოწურვის შემდეგ.

რა მიზეზებმა ამითლეს ბრალდებულები ხელი აეღოთ თავის თავზე და ემკობინებიათ ოჯახის გაპარტახება და სიკვდილი? ისინი სულელნი ხომ არ იყვნენ, რომ ასეთი საქმე უმიზეზოდ და ყოველი საბაბის გარეშე ჩაეიდინათ. ამიტომ მათი მოქმედების მიზეზების გარკვევა აუცილებლად ნათელს მოყვნს ამ საქმეს.

მე პატივი მქონდა მომხსენებია სასამარ-



თლოსათვის, რომ სვანები რუსულ ტომს არ ეკუთვნიან, რომლებიც კარჩაკეტილად ცხოვრობენ, გამოიმუშავეს ცხოვრების თავისი განსაკუთრებული წესი.

იბადება ეჭვი — შეიძლება მათ არ ესმოდათ თუ რა არის ახალი, კეთილი და ამიტომ გადაწყვიტეს დაეცვათ თავის საკუთარი წყობილება, და განთავისუფლებულიყვნენ ახალი საგან?

შეიძლება მათ შეგნებაში, ისე როგორც ბავშვებში, ეს ახალი წესი გამოიხატებოდა ახალ უფროსებში, რომლებსაც ისინი ხელაღწევენ, ამიტომ თავს დაესხნენ ამ უფროსებს და იფიქრეს, რომ, როდესაც მათგან განთავისუფლდებოდნენ, მათი სახით განთავისუფლებული იქნებოდნენ ახალი, მათთვის გაუგებარი წყობილებისაგან?

მაგრამ ამ ვარაუდთა საწინააღმდეგოდ, რომელთა მტკიცებისათვის არავითარი ფაქტები არა გვაქვს, არსებობს მთელი რიგი საფუძვლიანი მტკიცებანი.

იმ შემთხვევაში თუ ხალდელები შევიწროებას გრძნობდნენ, თუ მათ არ შეეძლოთ შეგუებოდნენ მათთვის ახალ წესებს, ასევე არ შეეძლოთ გაეზიარებია ეს წესები სვანეთის დანარჩენ მოსახლეობასაც, რომელიც ამ შემთხვევაში, იგივე პირობებში იმყოფებოდა, როგორც ხალდელები.

ხალდელებს შეეძლოთ მომხრების შოვნა სვანეთის სხვა სოფლებში და საზოგადოებებში დახმარების მისაღებად, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სვანეთის მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი არა თუ მიემხრო მათ, პირიქით თავის გარშემო შემოიკრიბეს მილიცია და წინააღმდეგ წავიდნენ. უმართავდნენ ბრძოლებს, დევნიდნენ და იჭერდნენ მათ. როდესაც გრიწევსკის ესროლეს, კალის მამასახლისი მარგველანი ტანით გადაეფარა მას და მის ნაცვლად თვითონ იქნა მოკლული.

და ბოლოს — როგორ შეიძლება ამ საქმის ასე უცებ დაწყება? იგი წინასწარ უნდა ყოფილიყო მოფიქრებული და მომზადებული. სინამდვილეში კი პირველ აგვისტოს ჩადენილ ბოროტმოქმედების აზრი, როგორც ამას გამოძიება ამტკიცებს, თვით ამავე დღეს ე. ი. პირველ აგვისტოს ჩაისახა, სვანების ურთიერთშორის წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ამ შემთხვევაში ასე მოულოდნელი ბოროტმოქმედების ჩადენის დაწყება ხომ არ იძლევა საბაზს ვიფიქროთ, რომ იგი შედეგია ხალდელთა უეცარი განრისხებისა, რაც გამოწვეული იყო მათ მიმართ უფროსების მიერ მიღებულ რაიმე არასასიამოვნო განკარგულებით?

ეს ბოროტმოქმედება ხომ არ არის ჩადენილი

აღლევისას ან გაცხარების დროს? საქმე ასეთის საწინააღმდეგო მტკიცებას არ იძლევა. მართლაც და წარმოუდგენელია მთელი სოფლის განრისხება.

ბოროტმოქმედების დაწყებისას ბევრი მათგანი სახლში არ იყო, მაგრამ სოფელში დაბრუნებისას თავზეხელაღებულიად მოქმედებდნენ და არა ნაკლები ენერჯითი იბრძოდნენ, ვინც სახლში მყოფი მათი თანსოფლელები.

ყველა ეს კი საქმარისად ამტკიცებს იმას, რომ პირველ აგვისტოს ამბებს არავითარ პოლიტიკურ მიზნებთან კავშირი არ ჰქონია.

აღმინის აღლევა და გაცხარება არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ხოლო თავდაპირველი ძლიერი აღლევა დროთა განმავლობაში თანდათან ცხრება; ხალდეში კი ეს ასე არ მოხდა, პირიქით ჩვენ ვხედავთ, რომ აღლევა რაც დრო გადიოდა უფრო მეტად ძლიერდებოდა და წინააღმდეგობაც იზრდებოდა. სასამართლოსათვის ცნობილია ისიც, რომ ხალდეში სამხედრო რაზმის მისვლის შემდეგ რამდენიმე მცხოვრებმა თვით დაიმარხა თავი კოშკის ნანგრევებში.

სვანეთში მეტად განვითარებულია შურისძიების ჩვეულება. ამ გარემოებამ შეიძლება გვაფიქრებინოს — სვანებმა ხომ არ იძიეს შური თავის უფროსებზე და ჩადენილი მკვლელობა არ მოხდა სისხლის აღების ნიადაგზე. მაგრამ, როგორც საქმიდან ჩანს, ეს აზრი არ დასტურდება. ადგილობრივი უფროსები იშვიათად ჩადიდნენ სოფელ ხალდეში და ასე იშვიათად ხვდებოდნენ ხალდელებს. ამიტომ არ შეიძლება, რომ ამ უკანასკნელთ შური ეძიათ მათთვის უცნობ პირებზე.

ისმება კითხვა — მაშ რა იყო ბრალდებულითა თავზე ხელაღებული წინააღმდეგობის გაწევის მიზეზი? ეს მიზეზი ისე ვიდრე მხოლოდ და გაურკვეველია, რომ შეიძლება ვიფიქროთ — სვანებმა თითქოს გადაწყვიტეს — „უკეთესია დავიღუპოთ ოჯახებით და მთელი ქონებით, ვიდრე ასეთი უფროსების ქვეშ ვიცხოვროთო“. მაგრამ, ბატონო მოსამართლენო, ჩვენ სამშობლოში, სადაც უკანასკნელი დროის რეფორმებმა უზრუნველყვეს მოქალაქის პიროვნება და ქონება, არ არის ისეთი კუთხე, რომლის მოსახლეობას ასეთი თავზეხელაღებული აზრი მოუვიდეს თავში.

მაშ, და ბოლოს, რამ აიძულა ეს ხალხი, რა იყო მათი ბოროტმოქმედების ჩადენის მიზანი, რა სურდათ და რის მიღწევას ცდილობდნენ ისინი? ვიმეორებ — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნათელს მოფენს მთელ საქმეს.

აღბათ მეტყვიან, რომ მე მეტისმეტად საერთო საკითხს ვსვამ, და მის ასე დასმას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია ბრალ-

დებულებისათვის, რომლებსაც ბრალი ედებოთ რბევასა და მკვლელობაში. მკვლელობა ჩადენილია. მკვლელობის ჩადენისას ბრალდებულებს არ შეიძლება არ სცოდნოდეთ, რომ ხელყოფნის სხვების სიცოცხლეს და ამისათვის დამსახურებულადაც დაიხეზბოდნენ. ყველა ეს ფაქტები სახეზეა, სახეზეა აგრეთვე კანონიც.

საკითხის ასე დაყენება ნიშნავს მხედველობიდან გამოუშვა საქმის არსებითი მხარე და თავი აარიდო მის ნამდვილ გაგებას.

აქ თავისი წარმოშობითა და მნიშვნელობით მთავარია ბოროტმოქმედების ჩადენის განზრახვა აჯანყების შესახებ, რისთვისაც სხვათა შორის საჭიროა არსებობდეს თვით ეს განზრახვა, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩადენილი ბოროტმოქმედება დანარჩენებთან შედარებით მთავარია, რადგანაც ეს დანარჩენები მის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენენ.

რაკი ხალდე აჯანყდა და ხალდელებმა იარაღს მოკიდეს ხელი, შემდეგ აუცილებელი გახდა რიგ სისხლიანი დრამის მოქმედებათა ჩადენა.

თავიდან ბოლომდე მთელი ეს საქმე ერთმოვლენათა მთლიან ჯაჭვს წარმოადგენს და ხალდელებიც თავიდან ბოლომდე ერთი მძლავრი მიზეზის და ერთი მიზნის გავლენით მოქმედებდნენ.

ამ მოვლენათა მიზეზების ახსნა ნათელს მოფენს სამართალში მიცემულთა მიზანს, განსხვავების მათ განზრახვებს, აგვისსნის მთელ საქმეს. მე განზრახვა არ მაქვს უარყო თვალხილული ფაქტები, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია გაირკვეს მათი გამომწვევი მიზეზები, ცხადია, იმდენად რამდენადაც ისინი გამორკვეულია სასამართლოს სამსჯავრო გამოძიებით, შეიძლება ამ მიზეზების გამორკვევამ დაამტკიცოს, რომ მთელი ეს საქმე სხვა არაფერია თუ არა უბედურება, რაც ძლიერ დასანანი, მაგრამ, როდესაც დამტკიცდება, რომ სამართალში მიცემულნი შეწყალების ღირსნი არიან და ეს გაკვეთილი უნდა გახდეს შემდეგისათვის, ეს საქმე არ უნდა დამთავრდეს ისე, რომ უკვე დადგრიდ სისხლს ახალი მიემატოს.

ამ საქმეზე ჩემ აზრანავებთან შეთანხმებით, მე წილად მხვდა დავიცვა საერთო ანწილი და მეც ახლა შევუდგები ამ ამოცანის შესრულებას.

ჩემს მიერ დასმული კითხვების გასარკვევად ჩვენ მოგვიხდება მივმართოთ საქმეში არსებულ მასალებს, აგრეთვე ყველასათვის საერთოდ ცნობილ მონაცემებსაც.

პირველ ყოვლისა საჭიროა წარმოვიდგინოთ

სვანეთის ადგილმდებარეობა, მისი მოსახლეობის წინე-ჩვეულებანი, ალათ-წესები, ერთი სიტყვით ის ნიადაგი, რომელზედაც უნდა გავრცელებდეს ჩვენი წესები, შემდეგ სასამართლო გამოძიების მიერ გარკვეული მონაცემების მიხედვით, დაწვრილებით განვიხილოთ თუ როგორ ხდებოდა სვანეთში ახალი წესების დანერგვა, რა იყო მიზეზი წარუმატებლობისა, როგორ შეხვდა ამას ადგილობრივი ხელისუფლება, რა განზრახვა ჰქონდათ მათ და რა მიზეზები დასახეს თავისი მოვალეობის შესასრულებლად? ხელისუფლებამ ხომ არ დაუშვა რაიმე გადახვევა კანონებიდან და თუ დაუშვა ხომ არ იყო დაშვებული მეტისმეტი გადახვევები კანონმდებლობიდან? საერთოდ კი — როგორ მოქმედებდა ხელისუფლება და რა განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა სოფ. ხალდეს მცხოვრებლებს, და ბოლოს კი განვიხილოთ საკითხი — ხალდელებს ხომ არ ჰქონდათ რაიმე საფუძველი ეფიქრათ, რომ ისინი თავდაცვის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ?

სვანები ცხოვრობენ მიუვალ მთებში, მათ უჭირავთ მაღალი, ქედებით გარშემორტყმული დაბლობები, ისინი თითქმის მოწყვეტილი არიან დანარჩენ სამყაროდან და იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ თავისივე ქვეყნის ღარიბული ნაწარმით. ერთადერთი პირველი საჭიროების საგანი, რაც მათ ხუთ წელიწადში ერთხელ შეჰქონდათ სვანეთში — ეს მარილი იყო. თუ რამდენად იზოლირებულნი იყვნენ სვანები გარეშე ქვეყნებიდან ეს სჩანს იქიდანაც, რომ ოდენსაც ეს ხალხი ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ახლა კი მათ შექმნეს თავისი საკუთარი ენა,¹ რომელიც ქართველებს და მავალითად, კერძოდ მე, არ გვესმის. წინათ სვანები ქრისტიანები იყვნენ, ახლა კი სახარების ჭეშმარიტების ადგილი, როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული საბრალდებო აქტში, ცრუმორწმუნეობამ დაიკავა. ამგვარად, სვანების ცხოვრებაში, ცხოვრების ორ არსებით დარგში, მათი იზოლირების შედეგად საოცარი ცვლილებანი მოხდა. ეს იზოლირება, რომელიც ყველა ადამიანისა და ხალხისათვის მავნებელია, სვანებისათვის დამღუპველი აღმოჩნდა. იზოლირებამდე ისინი არ იყვნენ განვითარებული, ცხოვრობდნენ კარჩაკეტილად და სხვა ხალხებისაგან მათ არაფრის მიღება არ შეეძლოთ. სვანეთს არავინ არ აწუხებდა და თვითონ სვანებიც არასოდეს არავის ხელს არ ახლებდნენ. ის განვითარება, რომელიც სვანებს იზოლირებამდე ჰქონდათ, სავსებით საკმარისი არ იყო მა-

¹ აქ სასამართლო ორატორი ცდებოდა, სვანური ენა ერთ ძირითად ქართველურ ენას წარმოადგენს — ვ. ს.

თი გონების შემდეგი განვითარებისათვის, თითქოს მათი გონების მოძრაობა წინ კი არა უკან, უარესისაკენ მიექანებოდა. ამ მდგომარეობაში იყო სვანეთი მაშინ, როდესაც იგი რუსეთის გამგებლობაში შევიდა. მაგრამ თავდაპირველად ეს ქვეშევრდომობა სრულებით ნომინალური იყო, მათ წესებს, ხელისუფლება სრულებით არ ეხებოდა — მათ ზნე-ჩვეულებებს არავინ არ აუქმებდა, ყველაფერი შეუცვლელი დარჩა და მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ჩვენს ხელისუფლებაზე. სვანეთში რუსეთის ხელისუფლება მხოლოდ აღმოსავლეთში ომის დამთავრების — 1857 წელში გამოჩნდა, მაგრამ ჩინოვნიკები, რომლებიც დანიშნული იყვნენ ამ ქვეყნის გამგებლობისათვის პირველად მხოლოდ ნომინალურ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ.

სვანეთის მრავალ ადგილებში არც კი იცოდნენ სვანეთის პირველი ბოქაულის თავად მიქელაძის არსებობის შესახებ. ეს მიქელაძე თავისუფალ სვანეთში არასოდეს არ ყოფილა და იგი სვანეთთან საზღვრის ახლოს ცხოვრობდა; სვანებმა რუსული ხელისუფლება გაიგეს მხოლოდ მეორე ბოქაულის თავად ამირჯიბის დანიშვნის შემდეგ. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მოღვაწეობის მთავარ ფუნქციებს მაინც ადგილობრივი სასამართლო ადმინისტრაცია ასრულებდა. სამოქალაქო სარჩელი დარჩა — მარტივი, იაფი და სწრაფი. სამედიცინო სასამართლოს ფორმებით, როგორც არჩეული მედიკოსი, ისე მოსარჩელი და მოპასუხე ფიცს სდებდნენ და მედიკოსის განაჩენი დაუყოვნებლივ მოდიოდა სისრულეში. სასამართლო მართლმსაჯულების ნაწილი წარმოებდა ვახტანგ მეფის კანონების მიხედვით ე. ი. დაღვრილი სისხლის ფულადი საზღაურის გადახდევინებით, ნაწილი კი სისხლის აღებით — „სისხლი სისხლისათვის“ წესით. თავისი უბრალოების მიხედვით სვანები თვლიან, რომ ერთი სიცოცხლე მეორის სიცოცხლეს უდრის და მკვლელობა, დასჯის სახით სრულდებოდა მოკლულის ნათესავების მიერ. ერთი სიტყვით სვანეთში ჩვენ ვხედავთ პირველ ყოვლი ადამიანთა წესებს.

სვანეთში ჩვენი წესების დანერგვის პირველი განზრახვა მოხდა მხოლოდ წლინახევრის წინათ, იქ მომრიგებელი მოსამართლის დანიშვნის შემდეგ. თუმცა სვანეთი წინათ დაქვემდებარებული იყო ლეჩხუმის სამომრიგებლო სასამართლოს, მაგრამ სვანები იქ არ მიდიოდნენ და ლეჩხუმის სამომრიგებლო სასამართლოც მათ არ ასამართლებდა. ახლა კი, როდესაც სვანეთში ცალკე სამომრიგებლო სასამართლოს განყოფილება დაარსდა, საჭირო შეიქმნა გამოყენებული ყოფილიყო ჩვენი კანონები სრული

მოცულობით. სვანები მეტად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ამისათვის, ისინი ახლა ისეთივენი არიან, როგორც იყვნენ საქართველოდან იზოლირების დროს (შეიძლება უფრო მეტად). ჩვენი წესები მხოლოდ ქალაქებში არსებობდა, სვანეთის ხალხმა არ შეითვისა იგი და წინანდებურად აგრძელებს ცხოვრებას.

სვანეთში ხელისუფლება ვერ ხედავს კანონის ისეთ შემსრულებლობას, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვა ადგილებში არის. შეიქმნა სიძინელები. თანდათანობით შესრულდა ჩვენი კანონებისა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ მოითმინა და მოინდომა ერთბაშად მოესპო ძველი და დაემყარებია ახალი წესი. კიდე ვიმეორებ, მე ოდნავადაც არ მეპარება ეპკვი იმაში, რომ ეს ახალი წესები სვანებისათვის საკეთილდღეოა, მაშასადამე, ადგილობრივი ხელისუფლების განზრახვა და მიზან-დასახულებანი საუკეთესონი იყო, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად მათ მიერ მიღებული საშუალებები მიზანშეუწონელი და უფარგისი აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, ჩვენმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სვანეთში, როგორც ეს სამსჯავრო გამოძიებებიდან ჩანს, როგორც მმართველობის, ისე რელიგიის დანერგვის საქმეში ვერ გაამართლა მთავრობის ნდობა, წინა ბოქაულებმა, რომლებიც მხოლოდ თავის პირად მიზნებს ისახავდნენ, ცუდი მოგონება დატოვეს და სვანებმა ისინი უსამართლო და ანგარებიან ადამიანებად ცნეს.

სვანებს, რომლებსაც არ ჰქონდათ არავითარი შესაძლებლობა ქალაქებიდან და წიგნებიდან, ანდა ადამიანებისაგან გაეგოთ რაიმე, უკიდურესი უვიცობის გამო ჩვენზე და ჩვენ სახელმწიფო წესებზე შეექმნათ მცდარი შეხედულება და მთავრობასა და ხელისუფლებას აიცილებდნენ იმ პირებთან, რომლებსაც ისინი ხედავდნენ.

ამგვარად, ადგილობრივი მოსახლეობა ნაცვლად იმისა, რომ მომზადებულიყო ახალი ცხოვრებისა და მმართველობის წესების მისაღებად, სიბოროტით იცხება ჩვენსა და ახალი წესების წინააღმდეგ.

რელიგიის წარმომადგენელნი ხალხში სახარების მოძღვრების ვაგრცელების ნაცვლად, ზრუნავდნენ მხოლოდ თავის პირად გამდიდრებაზე და ანგარებაზე. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ამ ღარიბი ხალხისაგან რაიმეს მიღება, მაგრამ მაინც გამჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ ხალხისაგანაც კი იღებდნენ საეკლესიო გადასახადს და ეს ადამიანები ქრისტიანული სარწმუნოების წარმომადგენლები იყვნენ; ყველა ამის შემდეგ რა შეიძლება მოვთხოვოთ სვანებს?

კანონმდებლობის მხრივ სვანეთში მოქმედ ჩვენს კანონებში არაფერი იყო ამოღებული, მაშინ როდესაც ჩვენი მხარის სხვა ნაწილებში, ადგილობრივი მდგომარეობისა და პირობების მიხედვით ჩვენი კანონმდებლობის გასატარებლად, ცოტად თუ ბევრად შეტანილია არსებითი ცვლილება და ზოგიერთი რამის ამოღება, სვანეთის მიმართ რატომღაც ეს გამოჩნათ. საქართველო რუსეთთან შეერთების დროს შეუდარებლად სვანეთზე უფრო მაღლა იდგა (მაშასადამე, რუსეთთან ახლო იყო), მაგრამ საქართველოში რამდენიმე ათეული წლების მანძილზე ზდებოდა ადგილობრივ შერეული სასამართლოების მომზადება, ხოლო ვახტანგ მეფის კანონების გაუქმებისას კანონმდებლობაში საქანონმდებლო წესით მოხდა ზოგიერთი მუხლის ამოღება ადგილობრივი პირობების შესაბამისად. სვანეთის მიმართ მრავალი შემთხვევებიდან სიმარტივისათვის მოვიყვან მხოლოდ ერთს საყოველთაოდ ცნობილ გარემოებას.

საერთო კანონის მიხედვით სამომრიგებლო სასამართლოში კერძო პირის მიერ შეტანილი სააპელაციო საჩივრის დაბრუნებას კანონი ითვალისწინებს შვიდი დღის ვადაში, მაშინ, როდესაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, სვანეთი მთელი რვა-ცხრა თვის განმავლობაში მოწყვეტილია დანარჩენ სამყაროდან და ამიტომ ეს კანონი მათთვის მკვდარ სიტყვებს წარმოადგენს. ადგილობრივი პირობების მიხედვით შექმნილი სიძნელეები მრავალია და საჭირო იყო ამაზე გვეფიქრა. ჩვენი კანონი მიყენებული იყო სვანებისადმი მთელი თავისი მოცულობით, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა დანარჩენ ნაწილისადმი.

ახალი წესი შემოღებული იქნა სვანეთში განსაკუთრებული უბნის გახსნასთან ერთად. სისხლის სამართლის გამოძიების შემთხვევაში საჭირო ზდებოდა ბრალდებულების მოყვანა ადმინისტრაციული წესით, ასევე საჭირო იყო სვანების მოყვანა ადმინისტრაციული წესით მათი გადასახლებისას. ყველა ეს ზდებოდა ადმინისტრაციის დახმარებით. ამ დანშარების გაწევა ადმინისტრაციას, მჭიდროდ აახლოებდა ხალხთან და აქ ჩვენ სვანეთში პირველად ვხვდებით საერთოდ ჩვენი კანონებისა და მთავრობის განკარგულებათა შეუსრულებლობას. მოვიყვან ფაქტებს:

თავისუფალ სვანეთში გასულ წელს მომხდარი წესრიგის დარღვევის შედეგად კავკასიის მეფის ნაცვალმა კეთილ ინება ებრძანებინა, რომ განსახლებული ყოფილიყო სოფ. ხალდესის მესოვრები — გურმაჩ კასტლიანი და ჩერგოზი ჭხობაძე, ქუთაისის გუბერნატორმა მისწერა ლეჩხუმის მაზრის უფროსს გრინევსკის დაეპატიმრებინა მოხსენებული პირები. მაზ-

რის უფროსმა ეს ბრძანება გადასცა სვანეთის ბოქაულს. ბრძანება არ იქნა მოყვანილი სისრულეში. ამ მდგომარეობამ აიძულა მაზრის უფროსი გრინევსკი მიეღო ენერგიული ზომები გურმაჩისა და ჩერგაზის დაპატიმრებისა და გასახლებისათვის, ამასთანავე ადგილობრივმა სასამართლოს ხელისუფლებამაც შესჩივლა მაზრის უფროსს და ამტკიცებდა, რომ სოფ. ხალდეს მცხოვრებლები წინააღმდეგობას უწევდნენ სასამართლოს ბოქაულს მის მიერ სასამართლოს განაჩენების სისრულეში მოყვანის დროს. მაზრის უფროსმა თვითონ მოკიდა ხელი ამ საქმეს და ამან გამოიწვია შეჯახება, რამაც ბრალდებულები ენლა დამნაშავეთა სკამზე დასვა.

ჩვენ უნდა ჩავწვდეთ ამ საქმეს, ადგილობრივ ხელისუფლებას ნამდვილად სასამართლოს საჩივრისა და გურმაჩისა და ჩერგაზის დაპატიმრება ჰქონდა მხედველობაში, თუ ეს მხოლოდ საბაბი გახდა ენერგიული ზომების მიღებისათვის უფრო საერთო მიზნების მისაღწევად, მივმართოთ საქმის მონაცემებს:

მაზრის უფროსი გრინევსკი თავის წინადადებაში უმტკიცებს მაიორ ლუესს, რომ ვითომც მთელი საზოგადოება იცავს დასაპატიმრებელ პირებს, წინააღმდეგობას უწევს სასამართლოსა და პოლიციის ბოქაულებს და უარს ამბობენ სასამართლოს განაჩენების შესრულებაზე.

თუ დაუშვებთ, რომ ეს რწმუნება საფუძვლიანია, ეს იმას ნიშნავს რომ სოფ. ხალდეს მცხოვრებლებმა ჩაიდინეს ისეთი ბოროტმოქმედება, როგორცაა ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რაშიც მათ დღეს ბრალი ედებათ. დღეს ისინი სამართლებიდან სამხედრო-საველე დროის კანონების მიხედვით, მაგრამ ბოროტმოქმედება თავისი შინაარსით იგივეა, რასაც მიაწერდა მათ გრინევსკი.

იმ შემთხვევაში თუ ფაქტი ხალდელთა წინააღმდეგობის შესახებ პოლიციისა და სასამართლოს ხელისუფალთა მიმართ სწორია, თუ მთელი საზოგადოება უარს ამბობდა უფროსების დამორჩილებაზე და წინააღმდეგობას უწყევდა სასამართლოს დადგენილების სისრულეში მოყვანას, ეს იქნებოდა სისხლის სამართლის საქმე და ადგილობრივ ხელისუფლებას ამ წესით უნდა აღეძრა იგი, ან უკიდურეს შემთხვევაში მოეხსენებინა ამის შესახებ უმაღლესი ხელისუფლებისათვის კანონის საფუძვლების მიხედვით გამოძიების დანიშვნისა და დამნაშავეთა დასახელებად.

ადგილობრივი ხელისუფლების აზრით სვანეთის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება ვითომც გათვალისწინებულია სასჯელთა დებულების მე IV განყოფილებით, იგი საერთოდ ასე განისაზღვრება:



მუხ. 262. „ყველა ჭიუტი და აშკარა დაუმორჩილებლობა ან წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლებისათვის ისეა ან დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის თვისებისა და მნიშვნელობის მიხედვით ქვემოდ აღნიშნული მუხლებით“.

მე ვიმეორებ, გრინევსკის სიტყვებით ასეთივე ბოროტმოქმედება ჩადენილი იყო ჯერ კიდევ ადრე პირველ აგვისტომდე. მე ვერ დავთანხმები ამას, იმიტომ, რომ თუ მართლა ასეთი ბოროტმოქმედება ჩადენილი იყო ადრე, მათ მიმართ ღიძინა ალბრული იქნებოდა სისხლის სამართლის დევნა, ამას კი ჩვენ საქმეში ვერ ვხედავთ.

სასამართლო უწყების მიერ არც ერთი აქტი არ არის შედგენილი სასამართლოს დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად ხალხების დაუმორჩილებლობისა და მათი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. სხვა ადგილებში საქმარისია სულ ცოტა წინააღმდეგობის გაწევა, რომ ალბრული იქნას მათ წინააღმდეგ საქმე პასუხისგებაში მისაცემად. ასევე შეიძლება გამოეყენებიათ სვანეთშიც. სწორი არ იქნებოდა გვეუქიარა, რომ ვითომც ადგილობრივი ხელისუფლება თავზე ხელს უსვამდა ბოროტმოქმედ პირებს სვანეთში, მათ ხომ თავი დადევს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორად რომ ვთქვათ, საქმე ამაში არ იყო. ბრალდებულებისათვის ეს არავის არ წაუყენებია, მხოლოდ იგრძნობოდა საერთო კანონების არადაამკაცროფილებელი მოქმედება, ან უკეთ რომ ვთქვათ ამ კანონების უმოქმედობა სვანეთში.

აქ ხელისუფლება ვერ ხედავდა კანონების შესრულებას ისე, როგორც ეს სხვა ადგილებში იყო, და ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვდა. ხელისუფლება ვერ ითმენდა ამ მდგომარეობას, მან მიზნად დაისახა ამოცანა ამ საერთო უბედურების აღკვეთისა და თუმცა განზრახვა კეთილი იყო, მაგრამ მისმა შესრულებამ ღიძი უბედურება გამოიწვია.

ხალხების მოჩვენებითმა წინააღმდეგობამ აიძულა გრინევსკი თავდაპირველად მიეღო ზომები მშვიდობიანი გზით შექმნილ სიძნელეთა მოწესრიგებისათვის, მაგრამ მე როდესაც ვუყვირდები ამ დონისძიებებს ვფიქრობ — ფორმალურად ხომ არ იყო ისინი მიღებული იმისათვის, რომ საქმე სწორად მოეწყო? ჯერ კიდევ ბეროში ჩასვლამდე, სადაც რაზმები და სასამართლო ხელისუფლება იყო, გრინევსკი ავალებს ბაქრატის მოამზადოს რაზმი დაშქობისათვის. 28 ივლისს უკვე ბეროში მოსვლისას იგი მიწერილობას აძლევს ბოქაულ მიქელაძეს გაემგავროს სოფელ ხალდეში მცხოვრებლების დასამშვიდებლად. რასაკვირველია, ამ დავალებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვითომ

გრინევსკის მშვიდობიანი მიზანი ჰქონდა, მაგრამ ფაქტები ასეთ დასკვნას დამეტრალურად ეწინააღმდეგებიან.

განკარგულება რაზმების მომზადების შესახებ გრინევსკიმ სვანეთის ბოქაულს თავად მიქელაძეს მისცა სოფ. ხალდეში გაგზავნამდე და უფრო ადრე, ვინემ ეს უკანასკნელი დაბრუნდებოდა ხალდედან რაიმე პასუხით. რატომ იყო საჭირო ასეთი სიჩქარე? რისთვის იყო საჭირო რაზმების მომზადება თუ თავად მიქელაძე დადებითი შედეგით დაბრუნდებოდა? რა მიზანი ჰქონდა თავად მიქელაძის სოფ. ხალდეში გაგზავნას? სწორად, რომ ვთქვათ, ხომ არ იყო ეს კანონით გათვალისწინებული ზომა მოსამზადებელი ამბების გასაფორმებლად და არა იმისათვის, რომ მიღწეული ყოფილიყო ნამდვილი შედეგი მშვიდობიანი გზით? ხომ არ იყო ეს ზომა მიღებული იმისათვის, რომ გრინევსკის გაემართლებია თავისი მოქმედება ზემდგომი უფროსების წინაშე?

ჩვენ ვერა ვხედავთ სასამართლო ხელისუფლების ვერც ერთ ცნობას საერთოდ, სვანეთისა ან ხალხების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე. პირველად ეს ცნობა გაჩნდა ბეროში გრინევსკის მისვლისას და, სხვათა შორის, იგი საფუძველი შეიქმნა თავად მიქელაძისადმი მიწერილობისა იმის შესახებ, რომ ჩააგონონ მცხოვრებლებს დამორჩილების მოვალეობა. გრინევსკიმ არ დაუცადა მიქელაძიან შედეგის მიღებას და დაძრა თავისი რაზმი ბეროდან ხალდესაკენ სხვათაშორის იმ მიზნით, რომ დახმარებოდა სასამართლოს ბოქაულ ასათიანს სასამართლოს განაჩენების სისრულეში მოყვანის საქმეში, მაშინ, როდესაც ეს ბოქაული სხვებთან შედარებით სამაგალითოდ და ადვილად ასრულებდა გადაწყვეტილებებს და მის არავითარი დახმარება არავისაგან არ სჭირდებოდა.

იბადება ექვი, ხომ არ ეძებდა ხელისუფლება რაიმე საბაზს საჩქაროდ გამგზავრებულყოფი ხალდეში ენერგიული ზომების მისაღებად? ბეროდან ხალდემდე 40 ვერსი მანძილია. თავად მიქელაძეს ბეროში მიეცა მიწერილობა 28 რიცხვში, ხოლო 29 რიცხვში არის მისი მოხსენება მაზრის უფროსის სახელზე იმის შესახებ, რომ ხალხები ჭიუტობენ ბოროტმოქმედთა ჩაბარებაზე, თუ მივიღებთ მხედველობაში დროის სიმცირეს, რაც საჭირო იყო მიქელაძისათვის მიღებული დავალების შესასრულებლად ამ შემთხვევაში მე გადაჭრით არ შემიძლია ვიფიქრო, რომ ხელისუფლების მიერ მართლადაც მიღებული იყო დონისძიებები საქმის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის.

ამრიგად, მიქელაძის მოხსენება 29 რიცხვიდან ხომ არ წარმოადგენს გასამართლებელ საბუთს ბეჩოვანს ხალდესაქენ უკვე გასული რაზმის სამოქმედოდ.

მე მეტად მოხარული ვიქნები თუ ბრალმდებელი მხარე წარმოუდგენს სასამართლოს ამ ფაქტების სხვა რაიმე ახსნა-განმარტებას, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს იგი, ამის ცდა მაინც იყო. დავაკვირდეთ თუ როგორ ხდებოდა ეს? თავად მიქელაძე თვითონ კი არ წავიდა სოფელ ხალდეში მიცემული დავლების შესასრულებლად, არამედ გაგზავნა იქ სხვა, სრულიად შეუმთხვევით შეხვედრილი პირი. ყველა საშუალება რაიმე მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილი უნდა იყოს. ხალდელებს ეგზავნება მღვდელი ალექსი ბაქრაძე. ადამიანს ოდნავი წარმოდგენაც კი არ უნდა ჰქონდეს სვანეთზე, რომ ამ მიზნით ასეთი პირი აირჩიო გასაგზავნად. თქვენ თვითონ დაინახეთ ბატონო მოსამართლენო, თუ როგორ დამოკიდებულებაში იყო ეს მღვდელი ხალდელებთან და აქედან შეგიძლიათ იმსჯელოთ თუ რა კეთილის შედეგის მოცემა შეეძლო მის შუამავლობას. მისი არჩევა და გაგზავნა არ მარწმუნებს მე იმაში, რომ უფროსებს ჰქონდათ სურვილი მშვიდობიანი გზით მიედგინათ მიზნისათვის. მღვდელი ბაქრაძის საქმეში უხეირო ჩარევამ უფროსებს შესაძლებლობა მისცა, მიეღოთ ძალის გამოყენების ღონისძიებანი.

მე არა მაქვს განზრახვა პიროვნებებს შევეხხო, მაგრამ უნდა შევფასო მათი მოქმედება იმდენად, რამდენადაც ეს მოცემულია სასამართლო გამოძიების მასალებში. ამის გარეშე ჩვენ ვერ გავერკვევით ამ არაჩვეულებრივ მოვლენებში. შევეხებთ საკითხს თუ როგორ მოქმედებს ხელისუფლება. საკითხი, როგორც ცნობილია, ეხება ბოროტმოქმედთა დაპატიმრებას. კანონის თანახმად თუ სამართალში მიცემული პირი თვითონ არ ცხადდება სასამართლოში, უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას მისი მოყვანის შესახებ და ამას უგზავნის შესასრულებლად პოლიციას. თუმცა საქმეში მე ამას ვერ ვხედავ, მაგრამ იმედო მაქვს, რომ ეს ასე მოხდებოდა. ადმინისტრაცია სამხედრო რაზმის თანხლებით მოგზაურობას იწყებს სვანეთში, ამასთან როგორც სასამართლო ხელისუფლებამ, ისე ადმინისტრაციამ და რაზმმა აუცილებლად და საჭიროდ დაინახეს გადაეხვიათ სვანეთში მოქმედ კანონების მოთხოვნიდან. ჩვენ არც სასამართლო მასალებში, და არც მოწმეთა ჩვენებებში ვერსად ვერ ვხედავთ უწყებების გაგზავნას და დადგენილი წესით გამოძახებას. ჩვენი კანონმდებლობის არც ერთი მუხლი არ ითვალისწინებს ხელისუფლების კოლექტიურ მიმართვას მთელი საზოგადოებისადმი მოთ-

ხოვნით — ხელისუფლების მიერ გამოძახებულ პირთა მოყვანის, ან მათი გაცემის შესახებ, მაშინ როდესაც ასეთი მიმართვა და მოთხოვნა წარედგინა ადმინისტრაციის მიერ სვანებს. როგორც აქ თარჯიმანმა ბაქრაძემ აგვისხსნა ზოგიერთ სოფელში ხელისუფლებამ ხალდეში მისვლამდე დაპატიმრა რამდენიმე კაცი, მაგრამ მათ შორის არ იყო არც ერთი კაცი, რომლის დაპატიმრებას სასამართლო ხელისუფლება მოითხოვდა. ჩვენ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ თვით დაპატიმრების წესს და ამასთან ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ზომებსაც, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნებს. რაში გარს ერტყმის სოფელს ან ცალკეულ სახლს, ჭარისკაცები შედიან შიგ, ჩხრეკენ და აწარმოებენ ჩამორთმევას, ერთ სოფელში მაშის მაგიერ ორ შვილს აპატიმრებენ, რომლებსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვით და შებოჭილი სახით მიყავთ ლეჩხუმში.

შეიძლება ყველა ამის გაკეთება კანონის საფუძვლის მიხედვით? შეიძლება ასეთ ღონისძიებათა წამოწყება სასამართლოს დებულების ფარგლებში? ადმინისტრაციის და სამხედრო რაზმის ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება ყველა კანონმდებლობას, რომლის ძალა სვანეთზედაც ვრცელდება. აქვე მე უნდა მოგახსენოთ და ამაში გადაჭრით დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებას არაფრის ცუდის ჩადენა არ უნდოდა, მას კეთილი განზრახვა და კარგი მიზანი ამოქმედებდა, მაგრამ თავის მოქმედებაში დაუშვა შეცდომები და კანონიდან გადახრები, თუმცა მათი აზრით მიზანშეწონილი, მაგრამ საქმით ამან ჩვენ პირველ აგვისტოს მიგვიყვანა სისხლისმღვრელ შეტაკებამდე.

კანონით უზუსტად არის განსაზღვრული პოლიციის მონაწილეობა სისხლის სამართლის წარმოებაში. სახელდობრ, ეს მოცემულია სისხლის სამართლის სასამართლოს წარმოების დებულებაში. ეს მონაწილეობა განისაზღვრება წინასწარი გამოძიებით, ადგილზე წინასწარი ზომების მიღებით, ბოროტმოქმედების კვლის შენახვისა და ამის შესახებ სასამართლო ხელისუფლებისათვის მოხსენების წარდგენა. აქ კი სვანეთში ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიცია თვითონ ახდენს ჩხრეკასა და ჩამორთმევას, გარს ერტყმის სოფლებსა და სახლებს, აპატიმრებს პირებს, რომელთა დაპატიმრება მისთვის არავის არ დაუფლებია და ა. შ. ჰქონდა თუ არა პოლიციას ამის კანონიერი რწმუნება, მოქმედებდა თუ არა იგი, თავისი უფლებების ფარგლებში? სისხლის სამართლის დებულების 254 მუხლი უკრძალავს პოლიციას აწარმოოს ჩხრეკა და ჩამორთმევები. აქ ნათქვამია, რომ „დაკითხვის წარმოების დროს პოლიცია მისთვის საჭირო ყველა ცნობას ღებულობს ძიების სა-



შუალედით, სიტყვიერი გამოკითხვებიდან და ფარული მეთვალყურეობის ვაწყვით, სახლებში ჩხრევისა და ჩამორთმევის წარმოების გარეშე. იმ შემთხვევაში თუ სვანებმა ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, უკეთუ მათ სოფლებში სასამართლოსათვის საჭირო მონაცემები იფარებოდა, ამ ბოროტმოქმედებათა გამონახვა სასამართლოს საქმე იყო და არა პოლიციის ხელისუფლებისა, ასევე უნდა ითქვას დაპატიმრებათა შესახებაც. პოლიცია აპატიმრებს ბოროტმოქმედთ, მაგრამ აპატიმრებს განურჩევლად: დამნაშავეთა მაგიერ აპატიმრებს სრულიად უდანაშაულო პირებს, მშობლების ნაცვლად ბავშვებს. ეს მოქმედება გადაჭრით კანონსწინააღმდეგო იყო და არ შეიძლებოდა რომ სისხლისღვრამდე არ მივეყვანეთ.

სოფ. ხალდეს მცხოვრებთ ხელისუფლება უწყნებს მოთხოვნას მონახონ და ჩაბარონ მათ გურმაჩ კასტლიანი და ჩერგაზ ჯოხაძე. ჩვენს კანონმდებლობაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, არ არის გთვალისწინებული ისეთი მთელი, რომელიც ვალდებულად ხდიდეს ბოროტმოქმედნი, ეს მოვალეობა დაკისრებულია თვით პოლიციასზე. მიუხედავად ასეთი არაკანონიერი მოთხოვნისა ხელისუფლების ამგვარი ღონისძიებანი მთელ სასოგადოებისადმი საშიშროებას წარმოადგენს. ეს აიგივებს სასოგადოებას ბოროტმოქმედებთან; სოფ. ხალდეს მოსახლეობას — აიგივებს გურმაჩთან და ჩერგაზთან; აწყნებს მათ შორის სოლიდარობას და იწვევს კოლექტიურ წინააღმდეგობას. ეს მოთხოვნა, როგორც მოგახსენეთ, არ ნახულობს გამოხატულებას არც ერთ კანონში. ამ ბრალდების ერთბაშად წარდგენამ სოლიდარული განაღდა სოფ. ხალდეს მცხოვრებნი გურმაჩთან და ჩერგაზთან. ხალდელებმა წინადადება წარმოადგინეს მისცენ ხელისუფლებას მძევლება 6 კაცი, როდესაც მათ შეიტყვეს, რომ ხელისუფლება აპატიმრებს ბავშვებს მამის მაგიერ, მათ იგრძნეს თავისი თავის საშიშროება, იფიქრეს რომ ბოროტმოქმედთა ნაცვლად მათ ყველას დააპატიმრებდნენ.

პირველი ახსნა-განმარტება, რომელიც წარუდგინეს ხალდელებმა ბოქაულ მიქლაძეს და მაზრის უფროსს გრინევსკის, მდგომარეობდა იმაში, რომ არც გურმაჩი და არც ჩერგაზი სოფ. ხალდეში არ იმყოფებოდნენ; ხელისუფლება თვითონ არ იყო დარწმუნებული ამაში. სწორია ეს თუ არა არ ვიცით, მაგრამ მას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი ეფიქრა, რომ ისინი იქ არიან. თარჯიმანმა ბაქრაძემ სასამართლოს აჩვენა, რომ გრინევსკი და ლეუსი ამბობდნენ: „ჩვენ გარს შემოვერტყათ სოფელს, გაეჩხრიკეთ ყველა სახლი და უკეთუ

გურმაჩი და ჩერგაზი არ აღმოჩნდებიან სოფ. ხალდეში, ვაიძულეთ მცხოვრებლები მოძებნონ და მოიყვანონ ისინი“... ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფალნი არავითარი უკიდურესი ზომების მიღებიდან უკან არ იხევდნენ და იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ არაკანონიერად აღეკვეთათ თავისუფლება ყოვლად უდანაშაულო მცხოვრებლებისათვის.

ნუთუ ყველა ეს არ ლაპარაკობს იმაზე, რომ არ შეიძლებოდა სხვანაირად მოქცევა, მაშინ როდესაც განჯრას გინდა შესს მიმართ გამოყენებული იქნას ძალა და წინააღმდეგობანი.

თავად მიქლაძეს დავალებული ჰქონდა მშვიდობიანი გზით შეესრულებინა ორი ამოცანა — სოფ. ხალდეს მოსახლეობის მიერ სასამართლოს ერთი განაჩენის სისრულეში მოყვანის და ხელისუფლებისათვის გურმაჩისა და ჩერგაზის ჩაბარების შესახებ. ამ ამოცანის პირველი ნაწილი უსიტყვოდ იქნა შესრულებული სასამართლოს განაჩენების სისრულეში მოსაყვანად. სასამართლოს ბოქაული თვითონ უნდა მისულიყო სოფ. ხალდეში, გამოეძახებია მოპასუხე და ა. შ. ეს ასე არ გაკეთდა. მან, როგორც ეს სასჯავრო სხდომაზე გამოირკვა, შემთხვევით შეხვედრილი მგზავრის საშუალებით შეატყობინა მოპასუხეს გამოცხადებულიყო სხვა სოფელში და შეესრულებია სასამართლოს განაჩენი; მოპასუხემ უდაოთ შეასრულა ეს.

ისმის კითხვა, რით იყო გამოწვეული მომრიგებელი სასამართლოს საჩივრები? ორბელმა აცნობა მაზრის უფროსს, რომ სასამართლოს ბოქაულს არ შეუძლია სისრულეში მოიყვანოს სასამართლოს განაჩენები და, რომ პოლიცია, სამხედრო რაზმის დახმარების გარეშე უარს აცხადებს დახმარება გაუწიოს მას, მაშინ, როდესაც ჩვენ აქ ვხედავთ სასამართლოს განაჩენების ნებაყოფლობით ისეთ ფორმებში შესრულებას, როგორც არსად ჩვენს მხარეში არ იყო. ცნობილია, თუ როგორ უსიამოვნებასთან არის დაკავშირებული საერთოდ სასამართლოს განაჩენების სისრულეში მოყვანა.

მე ვფიქრობ, რომ ამაზე მეტი ძნელი არ იყო გურმაჩისა და ჩერგაზის მოყვანა საქმის სწორად წარმართვის შემთხვევაში.

ბოროტმოქმედთა დაჭერა პოლიციის მოვალეობას შეადგენს. სვანეთში ამ მოვალეობის შესასრულებლად პოლიცია ვალდებული იყო მისულიყო სახლებში, ბოროტმოქმედ პირებთან და არა მთელი სოფლის მოსახლეობასთან, ხალდელებმა სავსებით სამართლიანად უპასუხეს: „უკეთუ მთავრობას, რომელსაც ყველა საშუალება და ძალა აქვს, არ შეუძლია მოძებნოს

და დაიჭიროს გურმაჩი და ჩერვაზი, როგორ შეგვიძლია ჩვენ ეს გავაკეთოთ“.

ხალდელოთა პასუხმა ხელისუფლებაში უნდობლობა გამოიწვია; ალბათ უფროსებმა იფიქრეს, რომ ხალდელოთა პასუხის მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო... მაშინ წამოიჭრა ორი წინადადება, რომელთა შორის მაზრის უფროსი გრინევსკი მერყეობდა. მიქელაძე აყენებდა წინადადებას დაცლის შესახებ და იძლეოდა დაპირებას, რომ თვითონ მოიყვანდა ჩერვაზსა და გურმაჩს უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნისას, მაგრამ რაზმის უფროსი ლეუსი დაუინებით მოითხოვდა „ენერგიული ზომების“ მიღებას. გრინევსკი უთმობდა ამ უკანასკნელს და გადაწყდა „ენერგიული ზომების“ მიღება, რასაც არ შეიძლება არ მოეყოლოდა სისხლის დაღვრა და შეტაკებები.

მე ვიმეორებ, რომ ხელისუფლებას კეთილი განზრახვა ჰქონდა, მას სურდა თავისი მორიგი მოვალეობის „ენერგიული შესრულებით“ სვანებში ჩაენერგა ახალი წესები და ამით აღმოეფხვრა იქ კანონების უგულვებელყოფა; მას სურდა ავტორიტეტი შეექმნა ხელისუფლებისათვის, რომელსაც სვანები ვერ ხედავდნენ; და საქმის ასეთ შედეგს სრულებით არ მოელოდა. ხელისუფლება თავისთავის მტერი ხომ არ იყო, დალუბვა ხომ არ სურდა? მაგრამ მიღებული საშუალებები ბედ-უწყულმართი გამოდგა ხალდელოები მეტისმეტად დაშინდნენ, დაშინდნენ უფრო მეტად ვიდრე ეს მთავრობას სურდა და მოხდა უბედურება.

მიგმართოთ ისევ საქმის მონაცემებს. ხელი-სუფლების და სამხედრო რაზმის მოქმედების ამბავი ხალდეში მიდიოდა. ბრალდებულებმა იგრძნეს, რომ დიდი საფრთხე მოელოდათ. მათთვის უკვე ცნობილი იყო რომ: სხვა ადგილებში სოფლები და სახლები გარშემორტყმული იყო, რომ აპატიმრებდნენ ყოვლად უდანაშაულო პირებს და რაზმს თან მოყავდა ისინი. ჭარს თან ჰქონდა წერაქვები, ძალაყინები და თოფის წამალი სახლებისა და კოშკების დასანგრევად; ისინი ჩაფიქრდნენ, უხუცესი პირები მიდიან უფროსებთან, თხოვენ ჭარის გაყვანას და ჰპირდებიან ახალი მძევლების მიცემას, მაგრამ უფროსები ახლოს არ ეყარებნენ და თხოვენ ჭარის გაყვანას და ჰპირდებიან ახალი მძევლების მიცემას, მაგრამ უფროსებს ახლოს არ ეყარებიან და თხოვენ რომ თვით ისინი მისულიყვნენ მათთან რაზმის თანხლების გარეშე. უფროსები კი ხალდელებთან არ მიდიოდნენ რაზმის გარეშე. ორივე მხრივ შეიქმნა სრული უნდობლობა, მაგრამ უკან დახევა შეუძლებელი იყო და, ხალდელოთა თხოვნის მიუხედავად, ხელისუფლება და ჭარი პირველ ავგისტოს ხალდეში შევიდა.

სასამართლო გამოძიებაზე მეტად დიდი ყურადღება მიექცა ორ სვანისათვის ჭრილობის მიყენებას, ხიშტებით მათი განგმირვის ფაქტებს. ბრალდებულთა და მოწმეების ჩვენებები იმის შესახებ თუ რომელმა მათგანმა პირველად მიაყენა ჭრილობა, ჭარისკაცებმა სვანებს თუ სვანებმა ჭარისკაცებს, ერთმანეთის საწინააღმდეგოა. თითოეულის სასარგებლოდ ბევრი მონაცემებია. განვიხილოთ ამ ჩვენებათა საერთო ხასიათი. მათი ერთი ნაწილი, აჩვენებს, რომ ჭარისკაცებმა პირველებმა იხმარეს იარაღი, ხოლო მოწმე ჭარისკაცები ამტკიცებენ, რომ პირველად სვანებმა მიაყენეს მათ ჭრილობები. მე არ ვაღიარებ უდავოდ სიმართლედ როგორც ერთის, ისე მეორის ჩვენებებსა და მტკიცებას გაურკვევლად ვთლი, როგორც დამნაშავეთა, ისე ჭარისკაცებისათვის ვითომც და ეს მათი პირადი მოქმედების გამართლების საბუთი იყოს. ჭარისკაცები აჩვენებენ, რომ სვანები ააგეს ხიშტებზე მათი სროლის შემდეგ, თუმცა პირველად მიცემულ ჩვენებაში კოტლიაროვი ამტკიცებს, რომ მან უბრძანა პლენევს განეგმირა სვანი და მხოლოდ ამის შემდეგ დაინახა მოკლულები, ცხადია, რომ ჭარისკაცები ფიქრობდნენ, თუ რაიმეს იტყოდნენ ამის საწინააღმდეგოს? ბრძანების დარღვევისათვის დაისჯებოდნენ. ამგვარი შიში იპყრობდა სვანებსაც და ერთი მეორისადმი წინააღმდეგობა აიხსნება მხოლოდ ორივე მხარის შიშით.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ თუ რომელმა მათგანმა პირველად მიაყენა ჭრილობა, ჩემთვის სულ ერთია. მართალია, არსებობს საფუძველი დავუშვათ, რომ ორი სვანი ვერ გახედავდა აელო იარაღი საუკეთესოდ შეიარაღებულ რაზმის წინააღმდეგ, უკეთუ ისინი არ იფიქრებდნენ, რომ მათ სიცოცხლეს საშიშროება მოეღის და მხოლოდ ამგვარი საშიშროებისას ხელი მოკიდეს ასეთ უზადრუკ ხანჭლებს, რასაც თქვენ აქ მაგიდაზე ხედავთ როგორც დამამტკიცებელ ნივთიერ საბუთს. უკეთუ ჭარისკაცებმა პირველებმა ააგეს სვანები ხიშტებზე, ცხადია, ხალდელოები უფრო ნაკლები დამნაშავენი არიან, მაშინ, როდესაც დამნაშავენი არიან ჭარისკაცები.

მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ასე საკითხის დასამა საჭირო არ არის; აქ საქმის შინაარსი მდგომაროებს მაიორ ლეუსის არასწორ განკარგულებაში იმის შესახებ, რომ დაუპატიმრებიათ ორი სვანი, რომლებმაც ვერ მოასწრეს კოშკში დამალვა, ისე როგორც სხვა მცხოვრებლებმა. ეს ორი სვანი იყო გიერგი და გიორგი კასტლიანები, რომლებსაც ბოროტმოქმედებაში სრულებით ბრალი არ ედებოდათ.

ისმის კითხვა: მაიორმა ლეუსმა რა საფუძ-



ლის თანახმად მისცა განკარგულება ჯარისკაცებს დაეპატიმრებინათ ისინი? ასეთ დაპატიმრებას არა თუ ითვალისწინებს კანონი, არამედ ფორმალურადაც კრძალავს არაკანონიერ თავისუფლების აღკვეთას.

პიროვნებას სვანეთში უფრო მეტად სცემენ პატივს, ვიდრე სხვა მხარეში. პიროვნება ამ ქვეყანაში უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის დებულებებით, როგორც ამას განმარტავს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლი.

რა აძლევდა უფლებას მაიორ ლეუს, რომ გაეცა განკარგულება გიერგი და გიორგი კასტლიანების დაპატიმრების შესახებ? ბრალდებულად თუ არა ამ პირებს რაიმე ბოროტმოქმედება? მოითხოვდა თუ არა ვინმე მათ დაპატიმრებას? — არა, ასეთის მსგავსი რამ არაფერი ყოფილა. ამ სახით ხელისუფლების პირველი მოქმედება, რომელიც სოფ. ხალდეში მოხდა, არ იყო შეთანხმებული კანონის მოთხოვნებთან და ეს დაპატიმრება ბოროტმოქმედებას წარმოადგენდა.

უდანაშაულო ადამიანების პირად თავისუფლებაზე ასეთმა უკანონო ხელყოფამ ყველაფერი გამოიწვია.

რა უნდა ეფიქრათ ხალდელებს მათ სოფელში სამხედრო რაზმის პირველივე გამოჩენიდანვე? მათ წარმოადგენდაც კი არ ჰქონდათ ჩვენ ახალ წესებზე. მათთან ამაზე აღწევდა ცნობების დამწავსებთა მაგიერ უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებისა და ჯარისკაცების მიერ ჩხრეკის წარმოების შესახებ. ისინი ხელდავდნენ ალყაშემორტყმულ სოფლებს, ხელდავდნენ წერაქვებსა და ძალაყინებს და გაიგეს ლეუსის პირველი განკარგულება.

ხალდელები ხელისუფლებისა და სამხედრო რაზმის ხალდეში ჩასვლის მიზნად დღემდე თვლიდნენ მათ განზრახვას გურმაჩისა და ჩერგაზის დაპატიმრების შესახებ. სინამდვილეში კი მათი პირველი ძალმომრეობითი მოქმედება მიმართული იქნა გიერგ და გიორგი კასტლიანების მიმართ. ხალდელებმა წარმოადგინეს, რომ აუცილებელი საფრთხე ემუქრებოდა მათ პირად სიცოცხლეს, თავისუფლებასა და ქონებას.

ჩემის აზრით, ეს მთავარი მიზეზია, რითაც უნდა აიხსნას პირველ აგვისტოს ამბები და მასთან ერთად შემდეგი მომდევნო ამბებიც ამ საქმეზე. მათ იფიქრეს, რომ ისინი მათ დასარბევად და გასაუღეტად არიან მოსულნი და რომ ერთი წუთით მაინც რომ დაიცვან ყველაფერი, რაც ასე ძვირფასია ადამიანისათვის — ქონება, თავისუფლება და თვის სიცოცხლე — გადასწვიტეს მტკიცე წინააღმდეგობა გაეწიათ

მათთვის, ჯოჯახებით დამარხულიყვნენ თავიანთი სახლების ნანგრევებში.

ბატონო მოსამართლენო! აი ეს არის ამ საქმის ერთადერთი ნამდვილი ახსნა. ეს ადამიანები, რომლებიც საფრთხეს მოელოდნენ, შეცდნენ თავისი უფიცობით და ჩვენი კანონებისა და წესების უცოდინარობის გამო მათ მიმართ მიღებული ზომები სასტიკი იყო (შიშხა გვრილა მათ) და ამას არ შეიძლება არ გამოეწვია იმის შიში, რომ რაზმი გაუღებდა მათ.

ამ სახით შეჯახების მიზეზი ვახდა ხალდელთა არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მათ საშიშროება ელით. ისინი მეტისმეტად შეშინდნენ. უფიცობის გამო დამახინჯებულად გაიგეს უფროების მიზეზები და იგი თავის განადგურებად წარმოადგინეს.

დარწმუნდნენ რა ამაში, პირველ აგვისტოს, მათ ხელი მოჰკიდეს იარაღს. ვიმეორებ, რომ სხვა არაფრით არ შეიძლება აიხსნას მომხდარი ამბები. ყველა შემდეგი ამბები მხოლოდ ამ პირველი მიზეზების ბუნებრივი გაგრძელება იყო და რაც დრო გადიოდა სვანებს უფრო მეტად უნდა ეფიქრათ საშიშროების გაზრდისა და გაძლიერების შესახებ. პირველ აგვისტოს მომხდარი ამბების შემდეგ მათ ჰქონდათ შეწყალების იმედი, მაგრამ ჩადენილ დანაშაულს, რასაც ისინი დანაშაულად არ თვლიდნენ, მათთვის გაუგებრად დაემატა კიდევ ახალი დანაშაული — უფროსების მკვლელობა. ახლა ისინი შეუდრეკელ წინააღმდეგობას უწევდნენ მთელ რაზმს, გადასწვიტეს ცოცხლად დამარხულიყვნენ თავიანთ კოშკებში და დანებდებოდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი გახდებოდა.

ამრიგად, უტყვევლია, რომ ეს საქმე უბედურება იყო. იბადება კითხვა — რა ფაქტოს ამ მართლმსაჯულებამ, რა ფუყთ ამ ადამიანებს? ბატონო მოსამართლენო! თქვენი მოვალეობა უდავოა, მაგრამ უმაღლეს ხელისუფლებას, რომელიც ჩვენი კანონების წყაროა, როდესაც საერთო ნორმებს აწესებდა, არ შეეძლო გაეთვალისწინებია თითოეული საქმის ყველა თავისებურება.

თქვენ, ბატონო მოსამართლენო, დღეს აქ უმაღლესი მართლმსაჯულების ორგანოს წარმოადგენთ, თქვენს წინაშეა ფაქტები, რომელსაც კანონი უნდა მიუყენოთ და ცხადია, შეგიძლიათ დაინახოთ დასჯის შეუხსნამობა დანაშაულთან.

თქვენ უმაღლესი ხელისუფლების მიერ მოცემული გაქვთ უფლება დაწვრილებით შესვიდეთ საქმის მდგომარეობაში და წარუდგინოთ განსახილველად უმაღლეს ხელისუფლებას — ამ შემთხვევაში კავკასიის არმიის სარდლო-

ბას, იგარემობდნენ, რაც ესოდენ იმსახურებს ბოროტმოქმედთა შეწყნარებას. როგორც თვით ბოროტმოქმედებმა უბედურება იყო, ასევე ბოროტმოქმედთა სრულად დასჯა უფიქრის უბედურება იქნებოდა. შეუტყუებლად და განჯრახვის გარეშე ჩადენილი დანაშაული ბოროტმოქმედებად არ ჩაითვლება. ამ შემთხვევაში სვანებს ოდნავი განჯრახვაც კი არ ჰქონდათ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევისა, სვანების გაგებით ეს იყო მხოლოდ თავდაცვის განჯრახვა, აგრეთვე ყველა იმის დაცვა, რასაც ადამიანი დიდად უნდა აფასებდეს.

პირველ აგვისტოს მომხდარმა ამბებმა ყველას თავჯარი დასცა. მთელ მხარეში არ მოიძებნებოდა ისეთი კაცი, რომელიც მაშინ უარს იტყოდა ხელი მოეწერა ამ ამბების დანაშაულთა სიკვდილით დასჯის განაჩენზე. მაშინ ეს საქმე მთელი საზოგადოებისა და ხალხის თვალში დიდ ბოროტმოქმედებად იქნა მიჩნეული, მაგრამ იგარემობდათ გამორკვევის შემდეგ, ხალხის შეხედულება ამ ამბების შესახებ შეიცვალა და ახლა იგი უბედურ მოვლენად ითვლება. დანაშაულთა დასაჯებად არიანიშნა სამხედრო-საველე სასამართლო. მაშინ არ არსებობდა ის მონაცემები, რომელთა გამორკვევამ შემდეგში შეცვალა საყოველთაო აზრი. ამ ამბების შესახებ პირველი ცნობის მიღებისთანავე უმაღლესმა ხელისუფლებამ ვასცა განკარგულება სამაგალითოდ დაესაჯათ დანაშაულები, მაგრამ ახლა ამ განკარგულების სრულად და ზუსტად გატარება უაზრო იქნება, ვინაიდან დამტკიცებულია, რომ ბრალდებულებს არ ჰქონდათ ბოროტმოქმედების ჩადენის შეგნებული ნებასურვილი, მათი სურვილი იყო მხოლოდ დაეცვათ თავისი ქონება და პირადი სიცოცხლე. უკანასკნელ დროსაც კი, როდესაც დანებდნენ, დანაშაულები ითხოვდნენ და იკედრებოდნენ წარედგინათ ისინი მეფის ნაცვლისათვის. მათ დაეკარგათ ნდობა ადგილობრივი ხელისუფლებისა და შეინარჩუნეს რწმენა, რომ მეფის ნაცვალი, დიდი თავადი, შვევა მათ მდგომარეობაში, გაუტყუებს და შეიწყალებს მათ. ხელისუფლებაზე ასეთი შეხედულებისას არ არის საჭირო მთლიანად მიუყენოთ მათ სამხედრო სისხლის სამართლის კანონთა გათვალისწინებული მკაცრი სასჯელი. აუცილებლად საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა დანაშაულთა მწარე ხვედრის შემსუბუქებისა და მათი შეწყალების შესახებ. სამართალში მიცემულითა მკაცრი დასჯის მოთხოვნა არავითარი თვალსაზრისით არ იქნება გამართებული. ისხლის სამართლის წესით დასჯა მიზნად ისახავს დანაშაულთა გამოსწორებას, ან იმ პირების საზოგადოებიდან განდევნას, რომელთა შემდეგში ამ საზოგადოებასთან ერთად ცხოვრება უაზ-

რობაა. უკიდურესი ზომების მიღებით არ შეიძლება მიადწიო დანაშაულთა გამოსწორებას, ხოლო დანაშაულები ისე არ არიან გარყვნილი, რომ მათ ხელი შეუშალოს საერთო ცხოვრებას. ამბობენ, რომ მათი დასჯა საჭიროა მაგალითისათვის და ოფიციალურ განკარგულებაში ნათქვამია, რომ სვანეთში რაში იგზავნება „დანაშაულთა სამაგალითოდ დასჯისათვის“, მაგრამ მე დამტკიცებ, რომ სვანეთი არ საჭიროებს ასეთ მაგალითს.....

თავმჯდომარე: ამ საკითხის განხილვა საქმეს არ ეხება ვთხოვთ ამ საგანს არ შეეხოს.

დამცველი ლოლუბ — მთელი სვანეთი აღელვებული იყო პირველ აგვისტოს მომხდარი ამბებით. ისინი წინ აღუდგნენ, დაედევნენ და იჭერდნენ მათ. სვანეთში არ არიან ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები. ამ ადამიანთა მდგომარეობა უდავოდ მეტად საშინელია. მათი სოფელი, რომელიც ხალდეს სახელს ატარებდა, მიწასთანაა გასწორებული და საბრალდებო აქტშიც ნაჩვენებია — როგორც ყოფილი სოფელი ხალდე, მაშინ როდესაც თავისი სოფელი ასეთი ხალხისათვის სამშობლოსა და მთელ ქვეყანას წარმოადგენს. ეს მათი ბედნიერება სავსებით განადგურებულია, ყოველი წლის მკაცრ პერიოდში ისინი ოჯახებით დახეტიალობდნენ მის კლდეებზე, რომლებიც მისაწვდენია მხოლოდ გარეული მხეცებისათვის, ითმენდნენ შიმშილს, სიცოცხეს და მათი ახლობელი ადამიანების ტანჯვას, მხოლოდ ეს არის საქმარისი მათი დასჯისათვის.

დავტირით რა მომხდარ უბედურებას, ჩვენ უნდა შევიწყალოთ მათი სიცოცხლე.

პროკურორის სიტყვის შესახებ მე ორი სადავო რამ მაქვს:

ხელისუფლების მხრივ არ იყო მიღებული სერიოზული, საკმარისი ზომები იმისათვის, რომ საქმე მშვიდობიანი შედეგით დამთავრებულიყო. გრინევსკიმ წინადადება მისცა მაიორ ადრეს რაშით წასულიყო და ეს მან უფრო ღირებულ მისცა, ვინემ იგი თავად მიქელაძეს გავაზნადა ხალდეში მოსალაპარაკებლად და აგრეთვე უფრო ადრე, ვინემ მიიღებდა მომრიგებელი მოსამართლის ორბელის მიმართვას სვანების დაუმორჩილებლობის შესახებ. ყველაფერი ეს სასწრაფოდ ხდება. რაში ისე გავიდა, რომ არ დაუცადა თავად მიქელაძის დაბრუნებას, მაშინ, როდესაც ადვილად შესაძლებელი იყო მიქელაძისთვის მიცემული დავალება წარმატებით დამთავრებულიყო.

დამტკიცებულია, რომ სვანეთის მოსახლეობა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება, მათ აქვთ თავისი ზენ-ჩვეულება და ადათ-წესები. ასეთ ქვეყნებში ჩვენი მთავრობა ყოველ-



თვის ზღვრულად ნაღობს ერთი საერთო წესით, იგი ყურადღებას აქცევს გავლენიან პირებს, ცდილობს დაიახლოვოს ისინი და მათი საშუალებებით იმოქმედოს მასებზე. ჩვენი ქვეყნის არც ერთ რაიონში მთავრობა არ იფიქრებდა ამ წესებს, თავის განკარგულებაში ყოველთვის და ყველგან ჰქონდა ისინი და მათი დახმარებით ზარგებლობდა მძიმე მდგომარეობის დროს.

ალბათ სვანეთში ასეთ გავლენიან პირად თავად თენგიზ დადგეშელიანი ითვლება. აი, შეხედეთ ამ ხალხს (მიუთითებს სამართალში მიცემულებზე), რომელთა დაჭერა ვერ შესძლო მთელმა რაზმმა, მან თითქმის, მხოლოდ ერთმა მოიყვანა.

თავადი თენგიზი სამსახურში ირიცხება ბოქაულის თანაშემწედ, თუმცა იგი რუსი ჩინოვნიკია, მაგრამ არც ერთი რუსული სიტყვა არ იცის. თუ მთავრობა უხვად აჯილდოებს ასეთ პირებს და თუ ისინი თავის სამსახურში ჰყავს, ეს, მხოლოდ ერთი მიზეზით, რომ ასეთ მძიმე მდგომარეობაში სარგებლობა მოუტანოს მთავრობას.

რატომ ზღვისუფლებამ არ მიმართა თავად დადგეშელიანს, არ გაგზავნა იგი სოფ. ხალდეში და არ შიანდო მას გურმაჩისა და ჩერგაზის შეპყრობა? ისმება კითხვა — რატომ ჰყავთ იგი სამსახურში, თუ არა ასეთი შემთხვევისათვის?

აი, რატომ ვამტკიცებ მე, რომ ზღვისუფლებამ არ მიიღო სერიოზული ზომები ამ სიმძულეთა მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის.

ხალდელებმა არ იცოდნენ თუ რისი განზრახვა ჰქონდა რაზმს; ეშინოდათ მათი და თხოვდნენ გრინევსკის რაზმის თანხლების გარეშე მისულიყო მათთან. ცხადია აქ იყო გაუგებრობა, რისი აცილებაც ძნელი არ იყო.

მე არ შევეხები იმ წვრილმანებს და არ გამოვუღებები იმას, თუ პირველად ვინ მიაყენა

ჭრილობა, მე საერთოდ არა მაქვს ჩვეულებად ვისარგებლო სადავო ფაქტებით, მანამდე ამ ფაქტებს გაარკვევ და ამტკიცებ — შორს მიდინარე, საკითხი აირვე-დაირვეა და წვრილმანებით იჩრდილება.

ჩემთვის საკმარისია მხოლოდ ის, რომ ზღვისუფლების მოთხოვნა მიმართული იყო მთელი საზოგადოებისადმი. ამ არაკანონიერმა მოთხოვნამ შეაკავშირა მთელი სოფელი და მისი მცხოვრებლები სოლიდარული გახდა გურმაჩთან და ჩერგაზთან. ჩემთვის საკმარისია ისიც, რომ დახოცეს გიერგი და გიორგი კასტლიანები.

ჩემში ცოტაოდენ ეჭვსაც კი არ იწვევს ის, რომ ყველა ეს ძალმომრეობითი მოქმედება.

რა უნდა ეფიქრა დანარჩენ მოსახლეობას, როდესაც მათ დაინახეს ხიშტებზე აგებული გვამები? — მათ სროლა დაიწყეს.

მე მიძინებდა ვთქვა თუ პირველად ვინ მიაყენა ჭრილობა. ამის გარჩევა თვით სვანებმაც ვერ შეძლეს კოშკიდან. მათ დაინახეს მოკლულები და ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მათი მოთმინების ფაილა ავსებულიყო.

დასასრულს დამცველთა სახელით ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა გამოვთქვა იმ ყურადღებისა და მოთმინისათვის, რაც გამოიჩინა სასამართლომ დაწვრილებით ამ საქმის გამორკვევისას და რომელ წვრილმანებსაც არ შემეძლო არ შევხებოდი ჩემს სიტყვაში. სასამართლოს ყურადღება ამ საქმისადმი იმის საწინდარია, რომ ყველა ეს მიღებული იქნება მხედველობაში განაჩენის გამოტანის დროს.

ამით მე ვამთავრებ ჩემს სიტყვას და იმედი მაქვს, რომ სასამართლო მოწყალების თვალთ მოეკიდება უცილობისა და ცდომილების მსხვერპლთ და შეუნარჩუნებს მათ სიცოცხლეს.

იუსუ სინაჰი

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ოთხი წლის წინათ მოულოდნელმა და უდროო სიკვდილმა ქართველ ადვოკატთა რიგებს გამოაკლო ჯერ კიდევ ჯან-ღონით აღსავსე, ხალასი ნიჭით უხვად დაჯილდოებული, შესანიშნავი იურისტი და სასამართლო ორატორი, იუსუფ ხუსეინის ძე ცივაძე. უანგარო გულთბილობა, ჰუმანურობა, გულწრფელი მეგობრობის მაღალი გრძნობა და კაცთმოყვარეობა ამშვენებდა ამ ადამიანის ცხოვრებას, მის მთელ არსებას, ადამიანებთან მის წრფელ ურთიერთობას. „ჩვენი იუსუფი ალბათ, ერთად-ერთი კაცია ქვეყანაზე, რომელსაც არასოდეს, არავისთვის უწყენინებია და არც აუცი სიტყვა უთქვამსო“, — იტყოდნენ ამხანაგები და სწორედ ასეთი იყო იგი, ყოველთვის კეთილგონიერი და მომთმენი, ყურადღებანი და გამგები, ჭკუის მასწავლებელი და გონიერი მრჩეველი, გაჭირვებაში უანგარო დამხმარე, ლხინში კი გულწრფელად მხლობელი და უსაყვარლესი.

შავი ზღვის პირას, ნაძვანარით შემოფარულ ყვავილნარში დაუდეს მას საფლავი მახლობლებმა და ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთ დღესაც არ გაუვლია, ვინმე რომ არ მივიდეს და მადლიერების გრძნობის ნიშნად ყვავილებით არ შეამკოს მისი სამუდამო სამყოფელი.

შარშან, დეკემბრის მიწურულს, ქობულეთიდან ბათუმს რომ ებრუნდებოდი, ჩვეულებისამებრ შეეჩერდი სასაფლაოსთან, რომ ამით პატივი მეცა მეგობრის ხსოვნისათვის. თოვლნარევიად წვიმდა, ზღვიდან სუსხიანი ქარი ქროდა, საშინლად ციოდა. საფლავთან სანშიშესული კაცი შევნიშნე, რაღაცას საქმიანობდა. მივუახლოვდი და მივესალმე. მან თავაზიანად მიპასუხა და საქმე განაგრძო. იგი საგულდაგულოდ ამბობდა საფლავის ქვაზე თეთრ მარმარი-

ლოს ფიცარს, რომელზედაც ამოკვეთილი იყო წარწერა:

„ხალხი არ დაივიწყებს შენს ამაგს!“ მოხუც ვინაობა ვკითხე. „გლეხი ვარ, ზემო აჭარიდან,“ მიპასუხა. მარმარილოზე წარწერა საგანგებოდ გაკვეთებინა და ამ დღეგმა წვიმაში ჩამოეტანა სასაფლაოზე. საქმეს რომ მორჩა, მანქანაში მივიპატიე. მთელი გზა ჩუხად იყო საკუთარ ფიქრებს მიცემული. ბათუმს რომ მივეუახლოვდით, ფრთხილად შევეკითხე: მაინც რა ამაგი დავლო იუსუფმა?

სიტყვაძუნწი აღმოჩნდა ჩემი თანამგზავრი, მოკლედ მიპასუხა:

— უმართებულოდ ვიყავ დაჭერილი, მამეზღარა ცილისმწვამებლის ბოროტმა ენამ ჩამაგდო, იუსუფს რომ არ დავეხსენე, ვინ იცის რა მომელოდა.

ცნობისმოყვარეობამ წამძლია და შევეცადე დაწვრილებით გამომეკითხა ყველაფერი, მან ისევ მოკლედ მომიჭრა:

— იუსუფს თუ იცნობდი, ისიც გეცოდინებდა რა კაცი იყო ცხოვებული... ჩემი ამბავი რა საინტერესოა, ჩემისთანა მას ბევრი უხსნია. მართალი ვიყავ და სიმართლე არ დამიკარგა, აი რა ამაგი დავლო, განა ცოტაა?...

მეტი აღარა ვკითხე რა. ძართლაც და, განა ცოტაა უდანაშაულოს პატიოსანი კაცის სახელის აღდგენაში დაეხმარა?!

გულთბილად გამოვთხოვე მოხუც აჭარელს, რომელმაც თავისი მადლიერების გრძნობა ქვაზე ამოკვეთილ ხუთ სიტყვაში გამოხატა და დეკემბრის სუსხიან დღეს გათოშილი ხელებით, მაგრამ თბილი გულით მიიტანა იმ კაცის საფლავთან, რომელსაც თავის ქომაგად და მხსნელად თვლიდა, კაცისა, რომელმაც ოცდათხუთმეტი წელი იმუშავა ადვოკატურაში და რომელიც თავი-

სი საქმიანობის ძირითად აზრს იმაში ხედავდა, რომ დაეცვა ადამიანი უსამართლო ეჭვებისა და უსაფუძვლო ბრალდებისაგან.

ვერ ვიტყვი, რომ იგი სრულიად თავისუფალი იყო პროფესიული ცალმხრივობისაგან, ამიტომ მისი შრომა ყოველთვის წარმატებით როდი გვირგვინდებოდა, მაგრამ ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვაში იგი ყოველთვის იყო გაბედული, სანაქებოდ ენერგიული მებრძოლი და არასოდეს არ შემდრკალა იმ სიძნელეთა წინაშე, რაც ამ კეთილშობილური საქმიანობის გზაზე შეხვედრია.

ადრე დაობლებულმა, ქობულეთელა გლეხკაცის შვილმა, იუსუფ ცივაძემ ჯერ კიდევ ბავშვობაში იწვინა რევოლუციამდე მშრომელთა მიმე ხვედრი. ცამეტი წლის ასაკში იგი იძულებულია დამოუკიდებლად იშოვოს ლუკმა პური და დამხმარე მუშად იწყებს მუშაობას რკინიგზაზე. აქ, რევოლუციურად განწყობილმა მუშებმა შვილივით შეიყვარეს მკვირცხლი, დაულალავი, ცნობისმოყვარე ჭაბუკი. სულ მალე ქართული ანბანიც შეასწავლეს და თანდაყოლილმა მადლიანმა ნიჭმა თავისი გაიტანა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით იუსუფი 1916 წელს ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე გახდა. როგორც ნიჭიერსა და ყოველმხრივ წარჩინებულ მოსწავლეს — იუსუფს უნიშნავენ ზუბალაშვილის სახელობის სტიპენდიას. შემდეგ იგი სწავლობს ბათუმის პანსიონში, რომელიც საქველმოქმედო საზოგადოებას — „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ ეკუთვნოდა.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაისახა მოსახლეობაში სწავლა-განათლებისა და კულტურის შეტანის ფართო პროგრამა. უპირველესი და გადაუდებელი ამოცანა იყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და სოციალური უსამართლობით დაჩაგრულ და რელიგიური ცრურწმენით დაბრმავებულ ხალხში სოციალიზმის ნათელი იდეების შეტანა.

პარტიის მოწოდების პასუხად ამ დღის

კულტურული რევოლუციის განხორციელებაში ჩაება მოწინავე ინტელიგენცია და უფროსი ასაკის მოსწავლეები. ამ დონის ძიებათა აქტიური მონაწილე ხდება გიმნაზისტი იუსუფ ცივაძეც.

ამ პერიოდს მიეკუთვნება ჭაბუკი იუსუფ ცივაძის ურთიერთობა ცნობილ საზოგადო მოღვაწე ზაქარია ეგნატეს ძე ჭიჭინაძესთან, რომელიც დაწყებული გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულიდან ე. ი. თურქეთის მიერ მიტაცებული აჭარის დედა — სამშობლო საქართველოსათვის დაბრუნების დღიდან მრავალი წლის მანძილზე ეწეოდა უანგარო და ნაყოფიერ შრომას აჭარაში თურქ დამპყრობთა პოლიტიკის შედეგად მივიწყებას მიცემული ქართული ენის, ქართული ანბანისა და ქართული წიგნის დანერგვისა და აღორძინებისათვის.

ზაქარია ჭიჭინაძე, რომელსაც მშობლიურმა ერმა ქართული წიგნის რაინდი უწოდა, გაზეთ „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში გამოთქვამდა იმ დიდ სიხარულს, რაც ქართველმა ხალხმა განიცადა თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების გამო.

„ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ — ხოცოცა, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი საქართველო, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევინ, ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კედეც სამუდამოდ“.

დაწყებული 1889 წლიდან ზაქარია ხშირად მოგზაურობდა აჭარაში და სოფელადან სოფელამდე, კარდაკარ, საკუთარი შურგით დაჰქონდა და უსასყიდლოდ ავრცელებდა ქართულ წიგნებს, რითაც საფუძველს უყრიდა მშობლიური ენის აღდგენის საქმეს.

ზაქარია ჭიჭინაძეს ახლო მეგობრობა ჰქონდა იმდროინდელი აჭარის პროგრესულ მოღვაწეებთან და კერძოდ გულო კაციკაციშვილთან, რომელმაც, როგორც ზაქა-

რია წერდა გაზეთ ივერიაში: „პირველმა აღიმაღლა მაშინ ხმა, პირველმა წარმო-
თქვა საჯაროდ ქართველ მაჰმადიანებში
შემდეგი სიტყვები: „ჩვენ ტომით და ეხით
ქართველები ვართ, ჩვენ გვაქვს სჯული
ისლამისა, ხოლო ჩვენ არც თათრები ვართ
და არც ქურთები. ჩვენი დედა-ენა არის
ქართული, ჩვენი ისტორიაც არის საქართ-
ველოს ისტორია, ჩვენი სამშობლო გახ-
ლავთ საქართველო და არა ოსმალეთი და
თურქეთი“.

როგორც უ. ჭიჭინაძე აღნიშნავს ეს სიტყ-
ვები გულო კაიკაციშვილს წარმოუთქვამს
აჭარის სხვადასხვა სოფლებში 1860
წელს, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა აჭარე-
ლი ხალხი თურქეთის ბატონობის მძიმე
უღლის ქვეშ იმყოფებოდა. 1923 წლის
17 იანვრის ნომერში გაზეთი „ტრიბუნა“
აქვეყნებს მოსწავლე იუსუფ ცივაძის სტა-
ტიას მიძღვნილს გულო კაიკაციშვილის
ხსოვნისადმი. იუსუფი წერს: „8 იანვარს
ქობულეთში გარდაიცვალა ცნობილი სა-
ზოგადო მოღვაწე, სახელოვანი გულო კაი-
კაციშვილი, რომელმაც პირველმა აღიმა-
ღლა ხმა 1870 წელს ფაშებისა და ბეგე-
ბის წინააღმდეგ. მან პირველმა გაილაშ-
ქრა თურქთა აგიტაციის წინააღმდეგ,
მან პირველმა აღმოფხვრა შუღლი და
მტრობა ძმებს შორის, პირველმა გასწია
მძიმე შრომა აჭარაში სწავლა-განათლე-
ბის შემოსატანად. ეს ის პიროვნება იყო,
რომელმაც აჭარის ახალგაზრდობა მრავ-
ლად წარგზავნა სასწავლებლად თბილი-
სის, ქუთაისისა და ბათუმის გიმნაზიებში.
მისი მოღვაწეობა ენით, კალმით, მოქმე-
დებით, დიდა, ღრმა და დაუფასებელი.
ამიტომაც, რომ დღეს მას დასტირის ყვე-
ლა ქართველი, განურჩევლად სარწმუნოე-
ბისა. მას იგონებენ ჭანები, აჭარლები, ქა-
ლნი, ბავშვნი, მოხუცნი, მწყაზარნი და
სხვა. მისი ჩივილი ჩვენი მრავალტანჯული
ხალხის გულის კვნესა იყო, ამიტომაც
ფასდაუდებელია მისი შრომა და იგი დაუ-
ვიწყარი დარჩება ყველა მამერალთა და
ტვირთმძიმეთა ხსოვნაში“.

1922 წლის მაისში ქართველმა ხალხ-

მა ზაქარია ჭიჭინაძეს მოღვაწეობის 50
წლისთავი გადაუხადა. ამასთან დაკავში-
რებით სრულიად საქართველოს მწერალთა
კავშირის საბჭოს მოწოდებაში ნათქვამი
იყო: „იყვნენ და არიან საქართველოში მწი-
გნობრობის რაინდები, ისინი უანგაროდ
ემსახურებიან მისი აყვავების და აღორ-
ძინების საქმეს. მათ შორის ყველაზე უფრო
თავდადებული არის ზაქარია ჭიჭინაძე“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის პატივისა-
ცემად გამართულ ზეიმს გამოეხმაურა ბა-
თუმის ვაჟთა გიმნაზიის მეექვსე კლასის
მოსწავლე იუსუფ ცივაძე, რომელმაც გაზეთ
„ტრიბუნას“ 1922 წლის 214 ნომერში გა-
მოაქვეყნა სტატია სათაურით „მისალმება
ჩვენს ზაქარიას“. ამ საკმაოდ ვრცელი სტა-
ტიის ბოლოში არის რედაქციის შენიშვნა,
რომ „მისალმება იბეჭდება სრულიად უც-
ვლელად“.

სტატიაში, რომლის სათაურია „მისალმე-
ბა ჩვენს ზაქარიას“, არის ასეთი ადგილე-
ბი: „აჭარა-ქობულეთი და სხვა ადგილე-
ბის მცხოვრები მშრომელი ხალხი შენ გი-
ხსენიებს, როგორც მათი მომავლისადმი ნუ-
გემის მიმცემს, მათთვის გულშემმატიყვარს,
მძიმე ტვირთის შემამსუბუქებელს, რო-
გორც უფროს, კეთილ დამრიგებელ ძმას.
თქვენ ხართ საბაბი იმისა, რომ ცოტად აუ-
ბევრად ქართველი მუსულმანობა გონებრი-
ვით გახვითარების გზას დაადგა. თქვენ ხართ
ის პიროვნება, რომელმაც შივიწყებული
აკვანი, ცდელი და აზროვნება ჩვენ თვალ-
წინ დაგვიყენეთ, გაიზიარეთ მისი ჭირვა-
რამი და მძიმე ხვედრი, გასწიეთ დიდი
შრომა აუტანელ პირობებში... შენი ნაწე-
რები გვიპყრია ჩვენ და ერთმანეთში ხელი-
დან — ხელში გადადის“...

სტატია მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„ვამ წრფელი, მხურვალე სალამი ძვირ-
ფასო ზაქარია. იყავ ცოცხალი მარად-
ჟამს და კვლავ ქართველი ხალხის საკე-
თილდღეოდ გასწირე უკანასკნელი ენერ-
გია. დიდება და გამარჯვება შენ, ცალი
შენი თვალი კი ჩვენ“.

ინავე გაზეთ „ტრიბუნას“ 1922 წლის
ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ წერილ-

ში რომლის სათაურია „ქართველ მაჰმადიანთა აწინდელი მოზარდი თაობის შესახებ ბათუმში“, — ზაქარია ჭიჭინაძე წერდა:

„აქ ჩვენ დავასახლებთ ერთ-ერთი კლასიკური გიმნაზიის მხოლოდ მე-7 და მე-8 კლასის მოწაფეებს, რომელთა გაცნობის შემთხვევა მქონდა და, მადლობა ღმერთს, მათი გაცნობით სიცოცხლე მომემატა.“

დღევანდელი ქართველი მაჰმადიანი შვილები ის აღარ არიან, რაც წინათ იყვნენ. დღეს ამ მოწაფეებში გახლავან ისეთი გონიერი და სამაგალითოდ კულტურის მიმდევარნი, როგორც არის იუსუფ ცივაძე და ხუსეინ ნაკაიძე. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ორი მოწაფის პირადი გაცნობა იყო ჩემთვის ისეთი მოვლენა, რომ თითქოს ქართველი მაჰმადიანები თავიანთი გინაობის შედეგებით მკვდრეთით აღმდგარი იყვნენ.“

შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ „იუსუფ ცივაძე არის საუკეთესო მიმდევარი ევროპულის კულტურის და ქართული განათლებისა და თვითგამორკვევისა, ხუსეინ ნაკაიძე. ეს გახლავთ შვილიშვილი გულო კაიკაციშვილისა და უნდა ითქვას, რომ რაც ეს მოსუცი გონიერი გულო კაიკაციშვილი ბრძანდებდა, ის მისი შვილიშვილი არის.“

1923 წელს აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს გამოაქვს დადგენილება იუსუფ ცივაძის, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად ვაზნაგის და მისთვის პერსონალური სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

იყო რა უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილების სტუდენტი, იუსუფი კავშირს არ წყვეტდა მშობლიურ კუთხესთან და შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1927 წელს მშრომელებმა სტუდენტი იუსუფ ცივაძე აჭარისტანის ცაკის წევრად აირჩიეს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იუსუფი ინიშნება აჭარის უზენაესი სასამა-


რთლოს თავმჯდომარედ, შემდეგ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო 1930 წელს კვლავ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა.

აჭარაში სოციალიზმის მშენებლობის ეს პერიოდი ხასიათდება მწვავე კლასობრივი ბრძოლით. ერთის მხრივ მშრომელ მოსახლეობასა და მეორე მხრივ თურქი-ექსტრემისტებისა და ადგილობრივი კულაკების გავლენით მოტყუებულ ელემენტებს შორის. რომლებიც ცდილობდნენ ტერორით, კონტრაბანდისტული საქმიანობითა და სხვა მაქინაციებით ხელი შეეშალათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციისათვის.

კლასობრივი მტერი გაბოროტებით ცდილობდა მოესპო რევოლუციური კადრები, შეესუსტებინა ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება.

ასეთ ისტორიულ პერიოდში ახალგაზრდა იურისტი იუსუფ ცივაძე დიდ ენერჯიასა და თავდადებას ამჟღავნებს სახელმწიფო — საგეგმო კომისიისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტებზე. მას კარგად ესმოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გარდამავალ პერიოდში საბჭოთა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, მის პოპულარიზაციას მოსახლეობის ფართო ფენებში და რაც მთავარია საბჭოთა ხელისუფლების კანონებისადმი და მართლმსაჯულებისადმი პატივისცემის გრძნობის ამადლებას. ამ მხრივ უსათუოდ დადებითი როლი შეასრულა იუსუფის წერილებმა სოციალისტური კანონიერებისა და საბჭოთა მართლმსაჯულების შესახებ, რომლებიც ხშირად ქვეყნდებოდა მაშინდელ პრესაში. ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ფუნარას“ 1926 წლის 29 ოქტომბრის ნომერში, იუსუფ ცივაძე წერდა:

„საბჭოთა მართლმსაჯულება ემსახურება გლეხებისა და მუშების არსებით ინტერესებს, მაგრამ კანონიერების უზრუნველყოფისათვის საკმარისი არ არის მართოცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობა“



ნელობა. ვერავითარი კონტროლი, ვერავითარი დაწესებულება ვერ დაიცავს სახელმწიფო კანონიერებას, თუ თვით შოქალაქე, ყოველი ჩვენგანი მტკიცე დარაჯად არ უდგას ამ კანონიერებას“...

მიუხედავად იმისა, რომ იუსუფმა სანაქებო ნიჭი გამოავლინა ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმიანობაში, მისი მოწოდება მაინც ადვოკატურა იყო. მისი ბუნება, ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულება, მისი ხასიათი, სწორედ ადვოკატურისაკენ უხმობდა მას და აი, 1931 წლიდან იგი ხელს ჰკიდებს საადვოკატო მუშაობას და სიცოცხლის ბოლომდე სახელისუფლო და ნაყოფიერად ემსახურება ამ საქმეს. მართალია საადვოკატო საქმიანობასთან ერთად იგი მრავალი წლის განმავლობაში პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ბათუმის სუბტროპიკულ, სავაჭრო და საფინანსო ტექნიკუმებში, საბუღალტრო კურსებზე და სხვაგან, მაგრამ მისი საყვარელი საქმე მაინც ადვოკატობა იყო. სწორედ აქ მიაღწია იუსუფმა თავისი მაღლიანი ნიჭის გაფურჩქვნას, სწორედ აქ მოიპოვა ფართო საზოგადოების პატივისცემა და დაფასება.

ი. ცივაძის მიერ სასამართლოში წარმოთქმული დაცვითი სიტყვა გამოირჩეოდა არა მარტო აზრის დასაბუთებულობით, ქართული ენის დახვეწილობითა და მუსიკალობით, არამედ განსახილველი საქმის შესანიშნავი ცოდნით, დამამტკიცებელი საბუთების ზუსტი ანალიზით და მათი იურიდიული შეფასების სიღრმით. იუსუფი დაცვით სიტყვაში მოხერხებულად იყენებდა არა მარტო საფუძვლიან ცოდნას ისტორიაში, ლიტერატურასა, სასამართლო მედიცინასა და სხვა დარგებში, არამედ აგრეთვე მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. გარდა ამისა იგი ხშირად სარგებლობდა ლამაზი შედარებებით, ქართული ხალხური სიბრძნის შედეგებით, ანდაზებითა და აფორიზმებით. ამის შედეგად მისი სიტყვის აზრი ყოველთვის ნათელი და გასაგები იყო როგორც სასამართლოსათვის, ასევე დამსწრეთათვისაც, რო-

მელნიც ალტაცებაში მოდიოდნენ ორატორის სტილის სიმსუბუქით, რაც შერწყმული იყო საქმიან მახვილგონიერებასთან და ფორმის უმწიკვლობასთან. ეს სრულიად არ უშლიდა მას ხელს, რომ სიტყვა ყოფილიყო ენერგიული, შინაარსით მდიდარი და დამაჯერებელი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ყოველი მისი სამოსამართლო სიტყვა წარმოადგენდა არა მარტო სამართალში მიცემულის დაცვას, არამედ საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური მართლმსაჯულების უაღრესად მაღალი ჰუმანური პრინციპების საქმიან პრობანდას.

საადვოკატო საქმიანობაში იუსუფ ცივაძე საესებით სამართლიანად ხედავდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ სერიოზულ საშუალებას. ამიტომ იყო, რომ იგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამამტკიცებელი საბუთების ღრმა ანალიზსა და მოწინააღმდეგის დასკვნების თანმიმდევრულ განხილვასა და კრიტიკას, რაც ხელს უწყობდა სასამართლოს ჭეშმარიტების დადგენაში და, როგორც თვით იუსუფი იტყოდა „სამართლის ქმნაში“.

ი. ცივაძის, როგორც სასამართლო ორატორის წარმატების მიზეზი ბუნებრივ ნიჭთან ერთად საკუთარი პროფესიის სიყვარული და უდიდესი შრომისმოყვარეობა იყო. იგი ყოველთვის გულდასმით სწავლობდა განსახილველ საქმეს და საფუძვლიანად ემზადებოდა სასამართლო პროცესისათვის. იგი იყო ადამიანი, რომელმაც თავისი ბედი საბჭოთა მართლმსაჯულებას დაუკავშირა და მრავალი წლის განმავლობაში ნიჭიერად ემსახურა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეს.

აღსანიშნავია, რომ მისი ბიოგრაფია არ შემოფარგლულა მარტოდენ შრომითი მადწიევებით. იუსუფის კეთილშობილური, რაინდული ბუნება გამოვლინდა აგრეთვე მის განსაკუთრებულ გულწრფელობაში, სიტბოსა და ყურადღებაში ამხანაგების, მეგობრებისა და ოჯახის მიმართ. ექსპე-

შველი გაზარდეს იუსუფმა და მისმა მეუღლემ ფერიდემ. ექვსივე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია. უფროსმა ვაჟმა, ჯემალმა, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მან ახლახან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, არჩეულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და ეწევა მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას. საშუალო ვაჟი — რევაზი მაღალმთიანი რაიონის — შუახევის პროკურორის თანამდებობაზე მუშაობს, უმცროსი — ასლანი კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის ასპირანტია. ორი ქალიშვილი — გულნარა და ნანული ექიმები არიან, ხოლო მესამე — ეთერი ფილოლოგია. ადრე იგი კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივნად მუშაობდა, ამჟამად კი პარტიული მუშაკია.

სოციალისტური მორალისა და მაღალი ზნეობის მქადაგებელი იყო იუსუფ ცივაძე და შვილებიც ამ იდეებს აზიარა.

1964 წლის 29 ივლისს, 59 წლის ასაკში სანუდამოდ წავიდა ჩვენგან ყველასაგან პატივცემული, დაფასებული და საყვარელი ადამიანი. კაცი, რომელიც უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა თავის პროფესიულ და ადამიანურ მოვალეობას და ყოველთვის იყო მაქსიმალურად პრინციპული და უკიდურესად თავდადებული ქომაგი ყველასი, ვისაც მისი, როგორც ადამიანისა და ადვოკატის დახმარება ესაჭიროებოდა.

ამიტომ იყო, რომ ქართული მჭევრმეტყველების ბრწყინვალე ოსტატი და მკვლევარი პროფესორი ნიკოლოზ კანდელაკი, რომელიც ჩვენდა სავალალოდ ასევე უდროოდ დაგვეკარგა, იუსუფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა:

„დასანანია, რომ იუსუფ ცივაძის სახით დაგვარგეთ საუკეთესო მოქალაქე და ღირსეული მამულიშვილი“.

ა. ლომინაძე

ე. თ. შ. ი. ნ. ა. უ. თ. ა. პ. რ. შ. კ. ე. შ. ა. შ. ა. შ. ა.

პროკურორი ხირსელი



ექტორ ამბროსის ძე ხირსელის შრომის წიგნაკში ოთხი ჩანაწერია:

გორის სარაიონთაშორისო პროკურატურის გამომძიებელი;

გორის სარაიონთაშორისო პროკურორის თანაშემწე;

ქ. გორის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე;

დაბოლოს — ქალაქ გორის პროკურორი.

ოთხი თანამდებობა-გავლილია პრაქტიკული საქმიანობის ყველა ძირითადი საფეხური. ამ დროის მანძილზე სიძნელეებიც ხვდებოდა, მაგრამ იგი ძლევდა მათ და შეუპოვრად განაგრძობდა ბრძოლას დანაშაულობის წინააღმდეგ. ჭეშმარიტების დაუცხრომელმა ძიებამ, ნებისყოფის, გონების დაძაბვამ ახალგაზრდა

იურისტს საკმაო გამოცდილება და ავტორიტეტი შესძინა.

ახლა იგი ქალაქის პროკურორია... მისი საპროკურორო საქმიანობა — იქნება ეს საერთო ზედამხედველობის განხორციელება საბჭოთა კანონების ზუსტ და განუხრელ შესრულებაზე საწარმო-დაწესებულებათა, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ, თუ სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობა, გამოძიებისადმი ხელმძღვანელობა თუ ახალგაზრდა კადრებისადმი დახმარების გაწევა, საჩივართა განხილვა თუ მოქალაქეთა მიღება, საბრალდებო სიტყვით გამოსვლა სასამართლოში თუ ლექცია-მოსხენებების წაკითხვა და იურიდიული კონსულტაციების გაწევა მოსახლეობისათვის, პროკურატურის ყოველდღიურ საქმიანობაში საზოგადოებრიობის ჩაბმის ორგანიზაცია თუ სხვა პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება დანაშაულობის თავიდან აცილებისათვის, — მის საოცარ შრომისმოყვარეობასა და ოპერატიულობაზე ლაპარაკობს. ამის მაჩვენებელია მადლობები და ჯილდოები მის პირად საქმეში; ამაზე მეტყველებს ქალაქის მცხოვრებთა მაღლიერი სიტყვები.

— და ყველაფერი ეს ალბათ დიდ შრომას მოითხოვს? — ვკითხუბი ხირსელს.

— რასაკვირველია, მაგრამ ეს ხომ თვით ცხოვრებაა. ცხოვრებას კი ფეხდაფეხ და შეუპოვრად უნდა მივყვეთ.

იმის გადმოცემა რაზედაც ჩვენ ვისაუბ-



რეთ, არ არის ძნელი. უფრო ძნელია იმ პირდაპირობისა და ადამიანებისადმი თანდაყოლილი სიყვარულის გადმოცემა, რომელსაც შთაგავონებს მისი მშვიდი, დამაჯერებელი ხმა, მოსმენისა და გაგების საოცარი უნარი.

ეს კი ალბათ პროფესიის გავლენაა, მოწოდების ძალაა, რაც ასე ძლიერია მასში.

— ბევრჯერ თქმულა, — ამბობს ვიქტორი, — იურისტის საქმიანობა, გამომძიებელი იქნება ის, პროკურორი თუ მოსამართლე, მეტად რთულია და მრავალფეროვანი. თითოეული საქმე ადამიანთა ცხოვრების ერთი ეპიზოდთაგანია. სწორედ კონკრეტულ ცხოვრებისეულ მდგომარეობაში, ადამიანებში, მათი ყოველდღიური ყოფის ათასობით თანმსლემ წვრილმანებში გარკვევა არის ჩვენი საქმიანობის საფუძველი.

— ჩვენი მუშაობა, ეს არის უცნობ ამოცანათა განუწყვეტელი ამოხსნა. ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს სწრაფად, ოპერატიულად და, რაც მთავარია, შეუცდომლად, რადგანაც მასზე ადამიანის ბედია დამოკიდებული. ადამიანის ბედთან კი არ შეიძლება თამაში!

— ჩვენ თან გვდევს დაზარალებულთა, მათ ნათესავთა და მეგობართა ცრემლიანი თვალები და ნატკენი გული, ცხოვრებიდან წასული ადამიანები, მოქალაქეთა აკანკალებული ხელით ნაწერი წერილები და განცხადებები. ჩვენ თან გვდევს და გვაწვალებს აზრი: დამნაშავე ჯერ კიდევ თავისუფალია, საზოგადოებისათვის დანაშაული ჯერ კიდევ აცდენილი არ არის. ჩვენ დაყოვნების უფლება არა გვაქვს...

უსმენ და ფიქრობ, რა კარგია როდესაც ადამიანი თავისი შინაგანი მოწოდების ხმას მიჰყვება და ცხოვრებაში ადვილს პოულობს ამის გამო.

უსმენ და პატივს სცემ მის ნათქვამს, რად-

გან იგი საქმეში გეხმარება, გამხნევებს და გაიმედებს, გაყვარებს იურისპრუდენციას — ძნელსა და პასუხსაგებ პროფესიას.

უსმენ და კიდევ გინდა რომ ისაუბროს, ისაუბროს არა მარტო თავის სპეციალობაზე, არამედ „არაოფიციალურ“ თემებზეც.

— ვინ არის ჩემი საყვარელი მწერალი? — ამბობს იგი და წამიერად ჩერდება, — ჩემი კერპია ილია ჭავჭავაძე თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით. მუდმივი საკითხავი წიგნი — კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“. მიყვარს ვალაქტიონის მრავალმხრივი და ინტიმურად ღრმა პოეზია, ტიცაიან ტაბიძის, მაიაკოვსკის ძლიერი სტრიქონები. კითხულობ მათ და გრძნობ, რომ იგი სიხარულს, ძალას განიჭებს, გამდიდრებს სულიერად და ცხოვრებას საინტერესოს ხდის...

დიდხანს ლაპარაკობს ტოლსტოიზე, დოსტოევსკიზე, მერე შეუმჩნევლად აგრძელებს სიტყვას მუსიკაზე, (თვით იგი ხომ მშვენიერად უკრავს), მუსიკიდან ფერწერაზე, ისტორიაზე და ისევ თავის პროფესიაზე.

— პროკურორის მუშაობა, — განაგრძობს ვიქტორი, — დიდ სულიერ სილამაზესა და ადამიანურობას მოითხოვს. პროკურორი, ადამიანის ცხოვრებაში ჩარევის დროს ბრალმდებელიც არის და უპირველესად კანონის, ჭეშმარიტების, სიმართლის დამცველი. მთავარი რაც განსაზღვრავს ჩვენი საქმიანობის კულტურას, ეს არის მოვალეობის შესრულებისას კანონიერების უსუსტი დაცვა, რომ არც ერთი დამნაშავე არ დარჩეს დაუსჯელი და არც ერთი არაბრალეული პირი არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ქალაქ გორის პროკურორი ხირსელი — საქმის მცოდნე და ერთგული, განათლებული და კარგი მუშაკი, მეგობრობაში გულწრფელი, ალაღი და ბუნებით ძლიერი ადამიანი.

ლამარა ისაკაძე

"სულ" შოკებს კვარს



მ ო თ ხ რ ო ბ ა *

— პროფესორ ლუკავას ხელნაწერები აქ იყო შენახული?

მერკვილაძემ თვალი ჩაუკრა ვასაძეს და თავ-ზედღურად იკითხა:

— თქვენ გინდოდათ გეთქვათ „მოწამლული პროფესორისა“, არა?

— ერთი ეს მითხარით, რატომ ამბობთ „მოწამლულისაო“?

მერკვილაძე შეცბა და ნაძალადევად გაიღიმა:

— რა ვიცი, ქვეყანა ასე ამბობს. მისმა ქვრივმა მთელ ქალაქს მოსდო ეს ამბავი. ისე რომ, ახლა სულაც არ გაგვიკვირდება, რომ გვეითხრათ დაპატიმრებულები ხართ, როგორც ექვმიტანილები.

იმნაძემ მხრები აიჩეჩა.

— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პროფესორი ლუკავა გარდაიცვალა გულის სიღამბლისაგან. ეს უკვე დადასტურებულია. თქვენგან კი პირველად მესმის ვერსია მოწამვლის შესახებ. უცნაური ლაპარაკია, ჩვენ მხოლოდ საბუთები გვაინტერესებს.

— გასაგებია, მაგრამ თუ ქალბატონი ლუკავა თუეს არ დაანებებს ასეთ ლაყბობას, მაშინ გვიჯობს ქალაქიდან გავიქცეთ, მუშაობაზე გული აღარ მიგვდის. რა ჯანდაბად გვინდა ის საბუთები? მე ყოველთვის ვამბობდი, რომ პროფესორ ლუკავას არაფერი გამოუვა, რომ ის არასწორ გზას ადგია და ტყუილბურთოდ ხარჯავს დიდხალ სახელმწიფო სახსრებს. მაგრამ ვინ დაგიჯერა. ასე არ იყო? — მიუბრუნდა იგი კოლეგებს.

სელიხანოვამ აღშფოთებისაგან ხელიდან წაიძრო რეზინის ხელთათმანი.

— როგორ არ გრცხვენიათ, ეს ცილისწამებაა და მეტი არაფერი. ჩვენი პროფესორი უდიდესი მეცნიერი იყო და ეს თქვენ კარგად იცით. რატომ არაფერს ამბობთ უკანასკნელი ცდის შესახებ?

— რა უნდა ვთქვა, არც მე და არც ვასაძე მას არ დავსწრებოვართ. თქვენი გენიოსი წმინდანივით მოქმედებდა.

— თქვენ რაღას იტყვით? — მიმართა იმნაძემ ვასაძეს.

იგი გაწითლდა, შეცბა.

— რა მეთქმის! კაცი მოულოდნელად გარდაიცვალა, გარდაიცვალა მაშინვე, როგორც კი საბოლოო ცდა ჩატარდა, საბუთები კი უგზო-უკვლოდ გაქრა. აქ ყოველგვარი ეჭვი კანონზომიერია... მაგრამ ის, რასაც ჩემი კოლეგა განსვენებული პროფესორის მიმართ ამბობს, სწორი არაა. იგი ნამდვილად გენიალური კაცი იყო და მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მუშაობდა. თქვენ იკითხეთ — ამ სეიფში ინახებოდლო საბუთები? დიახ, აქ ინახებოდა სქელი საქალაქე პირვანდელი ჩანაწერებით და მანქანაზე გადაბეჭდილი ხელნაწერის ერთი ეგზემპლარი. როცა სეიფი გააღეს, მასში აღარაფერი იყო. პროფესორს წაეღო ყველაფერი. მე, პირადად, ამ აზრისა ვარ.

ემამ გამომცდელად შეხედა ორივე ასისტენტს.

— იცით რას გეტყვით? ეს უსინდისობაა. ერთ-ერთი თქვენგანი საბოლოო ცდას ესწრებოდა.

ვასაძე რბილად ჩაერთა.

— ემოჩეა, მე ხომ ვითხარით, რომ არ ვყოფილვარ-მეთქი. ეგებ კოლია იყო.


მერკვილაძემ სწრაფად შეაბრუნა ხელში პაპიროსი, მოსრისა, პირში ჩაიდო და ასანთს ნერვიულად მოუკიდა:

— თქვენი გენიოსი პროფესორი გადამწვეტ შემთხვევაში არავის არ იწვევდა დასახმარებლად. ჩემთვის მას არ უთქვამს...

სელიხანოვას თვალები აენთო.

— იცით რა... თორმეტ საათზე მე დავრეკე

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1968 წელი, № 3.



ლაბორატორიაში. მინტერესებდა, გაამართლა თუ არა ჩემმა რჩევამ. პროფესორმა მიბასუხა: ემოჩკა, ხელებს გიოცნიო. ყველაფერი წესრიგშია. კოლია აქ არისო, ასე რომ ერთ-ერთი თქვენგანი იქ იყო.

ვასაძემ მღუშარედ გაშალა ხელები. მერკვილაძემ გადააფურთხა და პაპირის გადაავლო.

— ქალური ჭორია. აი, ასე ვრცელდება ხმები ქალაქში. ჩემი ნება რომ იყოს...

— დამშვიდდით, — მშვიდად მიმართა მათ მაიორმა — საბუთები აუცილებლად უნდა ვიპოვოთ. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. თუ დავირეკეთ, არ გაგივირდეთ.

მაიორი ჩაფიქრებული სახით გამოვიდა ინსტიტუტიდან.

— ქვრივმა მთელ ქალაქს მოსდო ეს ამბავი. არ ვარგა. რაც შეეხება ასისტენტებს, კარგად უნდა შევისწავლოთ ყოველი მათგანი.

— იცით, მერკვილაძეს ფეხზე კალოში — პლიმსოლები უცვა.

— მართლა? — გაკვირვებით გაიმეორა კითხვა იმნაძემ, საინტერესოა.

8.

მისამართების მარშრუტი უკვე შედგენილი მქონდა და მეც დაუყოვნებლივ გავეშურე იმ ავადმყოფებისაკენ, რომელთაც აფთიაქებიდან მიიღეს ახალი პრეპარატი. ბედი მწყალობდა. თითქმის ყველანი შინ მხვდებოდნენ და წერილობით მიდასტურებდნენ ეს პრეპარატი ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ აფთიაქიდან, ამა და ამ ექიმის რეცეპტით, ამ რაოდენობით მივიღეო.

პირველად მხოლოდ მეთერთმეტე მისამართზე შეეფერხდი. ჭონქაძის ქუჩა მოკლე აღმოჩნდა და სახლი № 109 მასზე სულ არ იყო. „სერგუნოვის“ გვართან კითხვის ნიშანი დავსვი და წავედი მეთორმეტე მისამართზე... მეთუთმეტემ ისევ მიმტყუნა, 9 იანვრის პროსპექტზე № 13 სახლში ევდოკია სტეფანეს ასული ბოსოვია, პასპორტის № 609061, არ ცხოვრობდა.

უკანასკნელი სამი ავადმყოფი ადგილზე აღმოჩნდა. მე მათ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაკად მიმიჩინეს და თანამედროვე ფარმაკოლოგიის მისამართით უთვალავი მადლობა მომაყარეს.

დავალბა რომ მთლიანად შემსრულებია სამისამართო ბუროში წავედი. საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ მომცეს ცნობა: „სერგუნოვი ქრისტეფორე იაკობის ძე და ბოსოვია ევდოკია სტეფანეს ასული ქალაქში არც ცხოვრობენ და არც არასდროს უცხოვრიათ“. აქ რატომღაც მომაგონდა პროფ. ყლენტიის სიტყვები,

ლუკავას მკვლელობა მედიკის მონაწილეობის გარეშე არ მოხერხდებოა...

მაიორმა მშვიდად მოისმინა ჩემი მოხსენება.

— ეს მოსალოდნელი იყო. საჭიროა დაუყოვნებლივ ჩამოვართვათ აფთიაქებს ყალბ გვარებზე გაცემული რეცეპტები, მოამზადეთ უწყებებში სელიხანოვასზე, ვასაძეზე და მერკვილაძეზე, თუმცა... მოითმინეთ! უწყებები საჭირო არაა, სელიხანოვას მე თვითონ გამოვიძახებ. დანარჩენ ორზე კი მოვიფიქროთ.

სელიხანოვა განსვენებული პროფესორის მხურვალე თაყვანისმცემელი აღმოჩნდა.

— ხუთი თვე ვიმუშავე მასთან, მაგრამ როგორც კი საქმე დამავიკრავინებელ მომენტამდე მივიღოდა, ცდა არ გამოდიოდა. მე მეგონა პროფესორი ცდებოდა ტემპერატურის რეჟიმში ამიტომაც ოცდაათში შევთავაზე, მასის განხურება კრიტიკულ წერტილამდე აეყვანა და მაშინვე, მკვეთრად ჩამოეყვანა ას გრადუსამდე. მან გაიღიმა და მითხრა, რომ ასეც მოვიქცევიო. ჩვენს ამ საუბარს, სხვათა შორის, ორივე ნიკოლოზი ესწრებოდა. ვასაძემ მოიწონა ეს აზრი, მერკვილაძემ კი თქვა — სისულელეა, ხელსაწყობები ვერ გაუძლებენ. შეიძლება აფეთქება მოხდესო. მეორე დღეს, ე. ი. ოცდათერთმეტე დღის ჩატარება იყო დანიშნული. გვიან საღამოთი, ველარ მოვითმინე და დავრეკე ლაბორატორიაში. რომელი კოლია ესწრებოდა ცდას, არ ვიცო, მაგრამ ერთი მათგანი აუცილებლად იყო. ლუკავამ ორთავე მიიწვია და ორივემ აღუთქვა მოვალთო.

...სელიხანოვას წასვლისთანავე მოვიდნენ აფთიაქების დირექტორები ჩვენთვის საინტერესო რეცეპტებით. მაიორი განსაკუთრებით დანეტერესდა ერთ-ერთი რეცეპტით, რომელიც წითელი ფანქრით იყო გადასწორებული. ამაზე № 7 აფთიაქის დირექტორმა თქვა:

— კრიტიკული დოზა იყო, როგორც სჩანს, ექიმი გამოუცდელიობის გამო დოზირებაში შეცდა. ჩემმა თანამშრომელმა ამას ყურადღება მიაქცია და ჩემი თანხმობით შეასწორა. მაგრამ როცა მომხმარებელი მოვიდა, იგი გაანჩხლდა და მოითხოვა, რეცეპტის დოზის თანახმად მომეცით წამალი. სამწუხაროდ, ამ მოქალაქის გარეგნობა აფთიაქის დირექტორმა ვერ მოიგონა. როცა მარტონი დავრჩით, მაიორი მომიბრუნდა.

— ნახე კოტე, მეშვიდე აფთიაქმა თხუთმეტეში არ ვასცა წამლის ის რაოდენობა, რაც რეცეპტში იყო აღნიშნული, თექვსმეტეში კი უკვე მეთორმეტე აფთიაქში წარადგინეს ახალი ყალბი რეცეპტი. აქ ღიღი სიბრძნე არაა საჭირო, რომ გაერკვე ყველაფერში. მეორე რეცეპტმა შეაფხოს ის, რაც პირველს დააკლდა. პირ-

ველაღვე რომ მივლით მოსაწამლავი დოზის მიღება აფთიაქიდან, მაშინ ბოროტმოქმედი მეორე სიყალბეს აღარ გააკეთებდნენ, მაშ ასე: მკვლელებს დაეხმარნენ მედიკები მეცამეტე და მეთხუთმეტე პოლიკლინიკებიდან. ხოლო თუ დავუჯერებთ იმას, რომ აფთიაქებში პასპორტებს ითხოვდნენ, მაშინ საფიქრალია, რომ ბოროტმოქმედთა ბრბო საქმოდ დიდია. აა, რას იტყვი?

— პასპორტებზე მეექვსეა. ალბათ პასპორტის ნომერს და სერიას სიტყვიერად იწერდნენ. ისიც საკითხავია, ექიმები ვის სახელზე წერდნენ რეცეპტებს.

— კოტე! მცირე ხნის დუმილის შემდეგ წარმოთქვა მაიორმა, — ო, რომ იცოდე როგორ მეჩქარება დავამტყიცო ყველაფერი და ლუკავას მოწამლვაში ბრალდება წარვუდგინო, იცი ვის?

— მერკვილაძეს!

— ჰმ... იმის საფუძველზე, რომ მას კალოშები — პლიმსოლები იცევა?

— არა, პლიმსოლები — პლიმსოლებია, მაგრამ ხწორედ მან მოითხოვა გვამის ფორმალინიზირება, პირადად მან გაზეთა კარის ანჯამები, დაწვრილებით ჩამოთვალა საბუთები, ინსტიტუტის სეიდანი რომ დიკარგა... და სხვათა შორის, როცა ჩვენ გველაპარაკებოდა, ის „ბელომორკანალს“ აბოლებდა.

იმნაქემ საბუთები მაგიდის უჯრაში ჩაღო და წამოღდა.

— ეს, რა თქმა უნდა, სერიოზული სამხილია, მაგრამ კაპიტანი მილორავა რაღას ამბობს?

— ფურცლები ახლახან არის ამოჭრილი, სამართებლით მეტის დადგენა არ მოხერხდაო.

9.

მეცამეტე პოლიკლინიკის დირექტორი დიდხანს ატრიალებდა ხელში ბოსოვას სახელზე გამოწერილ რეცეპტს.

მოთმინება დამეკარგა.

— პირდაპირ თქვით: თქვენია თუ არა რეცეპტი?

— ნუ დელავთ ყმაწვილო, რეცეპტი ფორმის მიხედვითაა გამოწერილი, პოლიკლინიკის ბეჭედი — მაგიდის დაკეტილ უჯრაში ინახება, მაგრამ ვერ გამოვიდა რა საერთო აქვს დიზენტერიასთან ექიმ-ვენეროლოგს?

— აი, ასე გავარკვიოთ...

— მოითმინეთ — ჩაერია ახლა დირექტორი, — ახლავე გამოვუძახებთ ვენეროლოგ თამარ ჯანაშვილს, რომელსაც გამოუწერია რეცეპტი. ოთახში შემოვიდა თეთრ ხალათიანი ჭადარა

ქალი. მან ყურადღებით მოუსმინა თვალთვალს, მერე რეცეპტს დააკვირდა და თქვა:

— პირველად ვხედავ არც ჩანაწერებია ჩემი და არც ხელმოწერა. ვერც თქვენ ხელმოწერას ვცნობ, რაღაც არ ჰგავს.

— სწორია, სწორი, — დადასტურა მთავარმა ექიმმა, ხელმოწერა მართლაც არაა ჩემი, მე კი ყურადღებაც არ მივაქციე.

გამოიძახეს დირექტორის მოადგილე. მანაც უარი თქვა ხელმოწერაზე. ჩვენც გავუკეთეთ სათანადო ფიქსირება: რეცეპტი ყალბია.

მეთხუთმეტე პოლიკლინიკაში კიდევ უფრო ცუდად წავიდა საქმე.

— ექიმი სირბილაძე, — გამოვიცხადა დირექტორმა, — რომლის მიერაცაა გამოწერილი რეცეპტი სერგუნოვის სახელზე, ჩვენთან არ მუშაობს და არც არასოდეს უმუშავებია. ჩემი ხელმოწერაც ყალბია, რაც შეეხება ბეჭედს იგე ჩვენია. ბეჭედი მაგიდის უჯრაში მაქვს და დღეში ასჯერ ამოვიღებ ხოლმე. შეიძლება გამომეპარა. მაგრამ კრიმინალს ვერ ვხედავ. რეცეპტში დოზა თერაპევტულია, არაფერი საშიში არ მოხდებოდა. ამას გარდა, ყმაწვილო, რეცეპტის გამოწერის თარიღი თექვსმეტი რიცხვია, თექვსმეტი კი კვირა იყო, და არ ვმუშაობდით, ყალბი რეცეპტის შემდგენს ეს ვერ გაუთვალისწინებია.

მაიორს მოკლედ ვუამბე ყველაფერი, მაგრამ მან არც კი დახედა ჩემს მიერ მოტანილ საბუთებს, ისე მითხრა:

— თქვენ რაგეგონათ რომ როგორც კი პოლიკლინიკებში მიხვიდოდით იმ წუთში ყველა მონაცემებს მოგცემდნენ დამნაშავეებზე? ჩვენ ვიცით, რომ მედიკამენტებით, რომლებიც მიღებულია ორ რეცეპტზე, მოწამლულია ერთი კაცი. ე. ი. ორივე ამ რეცეპტმა ერთ ხელში გაიარა, აი, სწორედ ეს ხელი უნდა მოვძებნოთ. ვენეროლოგს არ გამოუწერია? თერაპევტი მითლური პიროვნებაა? და თქვენი აზრით დამთავრდა ყველაფერი. არა კოტე, ახლა იწყება, რაც იწყება, საჭიროა დავრახნოთ ექსპერტიზა...

ტელეფონმა დარეკა. მაიორმა ყურმილი აიღო:

— დიახ, დიახ, მაიორი იმნაქე... გამარჯობათ... გმადლობთ... ასე სასწრაფოა? საინტერესოა, კეთილი...

მაიორმა ყურმილი დაღო და მომიბრუნდა:

— ლუკავას ქვრივს რაღაც სასწრაფო საქმე აქვს. გვევდრება, სასწრაფოდ მოდიეთო... წავიდეთ. საინტერესოა, რა ფიზიკური საჩუქარი მიაართვეს ქვრივს უსხეულო სულელებმა?



10.

მეორე სართულზე ავედით და ლუკაგების ბინასთან შეეჩერდით. კარები სულ ღია დაგვიხვდა. შავ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა „სულიკოს“ მოტივზე სტვენდა და ბრუნენტის ჩანთაში რაღაცას ეძებდა. ჩავახველეთ. მან თავი ასწია, სტვენა შეწყვიტა და მოგვმართა:

- მობრძანდით, დიასახლისი შინაა.
- მის ხმაზე წინა ოთახში ქვრივი გამოვიდა.
- როგორ გამახარეთ რომ მოდიო!
- რას აკეთებთ, ყმაწვილო? — იკითხა მაიორმა.

— გასაღებებს ვუცვლით კარებს.
— დიახ, დიახ, დაუდასტურა ქვრივმა — თან დამატებით საეკეტებს ვუკეთებთ, მობრძანდით, როგორ გელოდდით...

— რა მოხდა ასეთი — უთხრა მაიორმა, როცა სასტუმრო ოთახში შევედით.

ქვრივმა კარები მიხურა და ჩუმად გვითხრა:

- პორტფელი ვიპოვნეთ.
- მართლა? საინტერესოა... — გაიკვირვა მაიორმა.

— ძალიან, ძალიან საინტერესოა — დაეთანხმა ქალი. — დღეს სასაფლაოდან გვიან დაგბრუნდით. შევედი თუ არა ხელჩანთა ზანდუკზე დავდე. უცებ იგი დაცოცდა და ძირს ჩავარდა. მარო დეიდას დავუძახე. ძლივს მივწყვიეთ ეს ვეებერთელა ზანდუკი და იქ, რას ვხედავთ, პორტფელი არ აგდია? შიგ ელაგა რვეულები და დაბეჭდილი შრომის ორი ეგზემპლარი, აგრეთვე შავად ჩანიშნული შენიშვნები საქალაქულში. ერთი სიტყვით, ყველაფერი. აი, თავად ნახეთ... გახარებული ქალი სწრაფად გავიდა კაბინეტში. მაიორმა გადმოხვდა.

— როგორ მოგწონს ეს ამბავი?

პასუხი ვერ მოვასწარი, რომ ქალი დაბრუნდა გაბერილი ყავისფერი პორტფელით ხელში, იგი მაგიდაზე დადო და სწრაფად ამოლაგა ყველაფერი.

— აბა, დატკბით. თავს ვიმტვრევთ პორტფელის ძებნაში და ის კი ზანდუკს იქით ვდიათურმე — ქვრივს თვალები ცრემლით აეცსო. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— მაიორმა ყურადღებით გადაათვალიერა ყველაფერი.

- ე. ი. როდის იპოვნეთ პორტფელი?
- თერთმეტ საათზე. ახლა კი დაახლოებით სამია.

- პორტფელი ზანდუკს იქეთ ეგდო?
- დიახ.
- პირველმა ვინ შენიშნა პორტფელი?

— ორთავემ, მე და მარო დეიდამ ერთდროულად.

— იქნებ პორტფელი სულაც არ დაკარგულა და თავიდანვე აქ ეგდო? — ვიკითხე მე.

— არა, არა, ყმაწვილო. პორტფელი წუხანდელი შემოგდებულა. ჩემს ბინაში მკვლელუბი დადიან. მომიკლეს ქმარი, მოიტაცეს სასურველებს ჩემზე ძიონ შური — ლოგინში დამკლავენ, ან მომწამლავენ, როგორც ვიქტორი მოწამლეს. ამიტომ, გადაწყვიტეთ, დღესვე შევცვალო ყველა გასაღები.

— კარგადაც ვიქნიათ. ჯერ კიდევ იმ დღეს უნდა გაგვეკეთებიათ ეს, როცა პირველად გავიგონეთ „სულის“ ჩახველება და ფეხის ხმა. მაგრამ დაეუბრუნდეთ ისევ პორტფელს. ამხანაგი ჯაფარიძე მართალია. იქნებ პორტფელი არ დაკარგულა და აქ იყო?

— არა, არა — თქვა მარო დეიდა — ზანდუკი გამვლელს უშლიდა ხელს და, როგორც კი ვიქტორის ნეშტი საავადმყოფოდან მოიტანეს, იგი, ე. ი. ზანდუკი ჩემს ოთახში გავათრიეთ, დასაფლავების შემდეგ კი ისევ ძველ ადგილზე დავაბრუნეთო. აი, თვითონვე ჰკითხეთ.

— აბა, თხოვეთ. მოსამსახურემ თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ის, რაც დიასახლისმა თქვა.

— ზანდუკს ყოველ დღე გამოვწვივ ხოლმე. მტვერს ვაცლი, მის ქვეშ იატაკსაც ვწმენდ. გუშინ კი მასტიკაც მოვუსვი და იქ არაფერი იყო.

როცა ეს ახალი ჩვენება ჩავიწყრეთ, მაიორმა მითხრა, საბუთების ნუსხაც შემედგინა.

— ეს პორტფელიც უნდა წავილით.

ქვრივმა კითხვის ნიშნით გადახედა მაიორს.

— რად გინდათ, არ აჯობებს, ახლავე პროფესორ კომახიძეს ვადავცეთ? ის ხომ გულნაწყენი წავიდა ჩემგან.

— ამას მოვასწრებთ. პროფესორი ყველაფერს მიიღებს. ჯერ დაწვრილებით გავეცნობ ხელნაწერებს. ვინ იცის პორტფელის გამოჩენის შესახებ?

— მე, მარო დეიდამ და თქვენ...

— ძალიან ვთხოვთ, არავისთან, თქვენს მეგობართანაც კი, არაფერი წამოგცდეთ. გახსოვდეთ: ჩვენ კიდევ ვეძებთ პორტფელს.

— კი ბატონო, კი ბატონო.

11.

მაიორმა იმნაქემ წინ დაილაგა პორტფელიდან ამოღებული საბუთები და რვეულები. მერე ერთ-ერთი მათგანის კითხვას შეუღდა. მეხუ-

თე ფურცელი რომ გადაშალა, რვეული გვერ-
დზე გადადო და მითხრა:

— არა, არა, მარტო თავს ვერ გავართმევ,
აიღეთ დედანი და ხმამაღლა იკითხეთ. ამო-
ხეულ ფურცლებამდე რომ მიხვიდეთ — მი-
ხარით.

კითხვა მივირდა, ტექსტში უხვად იყო სპე-
ციალური ქიმიური ტერმინები. მეფერამეტე
გვერდზე გაჩერდი:

— ამოჭრილია ათი ფურცელი.

— ტყუილად ვიმტერვთ თავს. არაფერი გა-
მოვიგებ. ისევ პროფესორს უნდა ვთხოვოთ.
აბა, ერთი წალი ინსტიტუტში და თხოვე პრო-
ფესორ კომახიძეს მოვიდეს, თუ არ შეწუხდება.
პორტფელის შესახებ სიტყვა არ წამოგვცდეთ.

როგორც ჩანდა იმ დღეს ნეკრისისეული ტი-
ვილი აღარ ტანჯავდა პროფესორ კომახიძეს. იგი
მხიარულ გუნებაზე იყო და ბევრი ხეყნა-მუ-
ღარა არ დამჭირვებია, სიამოვნებით წამოვიდი.

პროფესორმა ცნობისმოყვარეობით დაათვა-
ლიერა ჩვენი კაბინეტი.

— წარმომიდგენია, სისხლის სამართლის სამ-
ქებრო ოთახებზე მე სულ სხვანაირი წარმოდ-
გენა მქონდა. თქვენთან კი ყველაფერი ჩვეუ-
ლებრივია...

მაიორმა იმნაძემ მოხუცი პროფესორი სავარ-
ძელში ჩასვა.

— პატივცემულო შოთა, პროფესორ ლუკა-
ვას ხელნაწერები ნაპოვნია! ამის გავიგებზე
პროფესორს ჭაღარა წარბები შეუთამაშდა, —
მაგრამ ვინაიდან ხელნაწერების ტექსტიდან
ამოჭრილია მთელი თავები, ასე ვთქვათ, „კვან-
ძები“, ჩვენ ევვი გვეპარება: ხომ არაა ეს გა-
კეთებული რაიმე გარკვეული მიზნით?

— კი მაგრამ, ჩემგან რა ვინდა?

— მხოლოდ ერთი რამ. ამ ნაშრომის მანქა-
ნაზე დაბეჭდილი ტექსტი გულდასმით წაიკით-
ხეთ და გვითხარით აქვს თუ არა რაიმე ღირე-
ბულება ხელნაწერს ამ სახით?

— ე. ი. ტექსტის ზოგიერთი ნაწილის შეც-
ვლით დაეკარგა თუ არა ნაშრომს ღირებულებ-
ა, არა?

— დიახ, დიახ.

— კი მაგრამ, ამისათვის მომიყვანეთ აქ? მო-
გეტანათ ჩემთან და იმ წამსვე დავავალბდი
მიცვალბულის ასისტენტებს. ისინი ხომ ამ საქ-
მის კურსში არიან...

— ო, ჩვენ სწორედ ამას ვერიდებით. მხო-
ლოდ თქვენი დასკვნა გვინდა. თუ საწინააღ-
მდეგო არ გეჭნებათ, აქ შეგაქმნით ყოველგვარ
პირობებს და...

— მაპატიმრებთ? — გაელიმა კომახიძეს.

— როგორ გეკადრებათ?

— გეხუმრებით, გეხუმრებით. უარს ვერ გეტ-
ტყვით. მზად ვარ გემსახუროთ.

— ძალიან კარგი.

მაიორმა იმნაძემ მაგიდიდან აიღო ხელნა-
წერის ერთი ვგზემპლარი, პროფესორს მკლავ-
ში ხელი გაუყარა და ოთახიდან გაიყვანა.

— წითელ კუთხეში დავაბინავე, თქვა როცა
დაბრუნდა და განავრძო: რთული საქმეა. ამ
ხელნაწერების გულისათვის კაცი მოკლეს და
ხელუხლებლად, როგორ დააბრუნებდნენ. რაც
უნდოდა, ალბათ, წაიღეს კიდეც. ვნახოთ, რას
იტყვის.

— რეცეპტების საქმე როგორაა, რა თქვა
ექსპერტმა?

— ხელნაწერი სხვადასხვააო. ასე რომ პო-
ლიკლინიკის დირექტორები და ვენეროლოგი
ეჭვის გარეშე რჩებიან.

— აი, ხელაფ? სხვებს დაუწერიათ. მოამზა-
დეთ უწყებები ვასაქსა და მერკვილაძეზე,
ორივენი ერთდროულად გამოიძახეთ, თუ თა-
ნამონაწილენი არიან, მაშინ ყველაფერზე მოი-
ლაპარაკებდნენ. ასე რომ არ უნდა მივცეთ სა-
შუალება დაკითხვის ამბები ერთმანეთს მოუთ-
ხრონ.

12.

— სისულელეა! — თქვა პროფესორმა კო-
მახიძემ და ხელნაწერები მაგიდაზე დაყარა —
ლუკავა რომ ცოცხალი იყოს, დღესვე მოვიწი-
ვემიდ სამეცნიერო საბჭოს სხდომას და პირდა-
პირ ვეტყვი, რომ ეს წყლის ნაყვანა და მეტი
არაფერი, ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ჩემი ბრა-
ლია, რამდენჯერ არ დააყენა ეს საკითხი... მის-
მა ასისტენტმა... მხედველობაში მყავს მერკვი-
ლაძე და არა „ლუკავას რუპორი“ — ვასაქე. აი,
მაშინვე უნდა მიგვექცია ყურადღება.

მაიორი ჯერ ყურადღებით უსმენდა ადელვე-
ბულ პროფესორს. მერე მოთმინებით მიუგო:


— პატივცემულო პროფესორო, ნუ იქნებით
ესოდენ მკაცრი ლუკავას მიმართ. იცით, თქვენ
რომ გეტყვათ „ბრწყინვალე ნაშრომიო“, მა-
შინ მე სრული სერიოზულობით უნდა მეკითხა:
„მაშ, რატომღა მოჰკლეს პროფესორი ლუ-
კავა?“.

— რაო? რა თქვით? — მოხუცი ადგილზე
შებტა, — ლუკავა მოკლესო? აკი თვითონ არ
მითხარით ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვა-
ლაო?

— სამწუხაროა, მაგრამ ასეა. მოკლულია! იმ
დღეს მე სხვაგვარად არ შემეძლო — ახლა კი
აქ ყველანი შინაურები ვართ და გეუბნებით:
პროფესორი ლუკავა მოწამლეს მისი აღმოჩენის
მიტაცების მიზნით, იმედია ეს ამბავი ჩვენს
შორის დარჩება.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

— ცხალია, ჯერჯერობით ყველამ იცის, რომ



იგი გულის დამბლისაგან გარდაიცვალა. მკვლელებიც დაწმუნდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ დოკუმენტებს ვეძებთ, ამიტომაც აიღეს და უკან მოგვიგდეს იგი, მაგრამ საკმაოდ „შეასწორეს“, ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილები.

— აპოიდეს ნამდვილი ტექსტი და მის ნაცვლად შეიტანეს არასწორი დებულებანი, არა? — დაუმტკა კომახიძემ.

— დიახ, დიახ.

— კი მაგრამ, ახლა რა ვქნათ?

— ამას დრო გვიჩვენებს.

პროფესორი ადგა, გულზე ხელი მიიღვა და გულწრფელად განაცხადა:

— მამატიეთ, ამხანაგო იმნაძე, ყველაფერი გასაგებია. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ვითომ თქვენთან არც ვყოფილვარ, არც ათაფერი ვიცი... თუ დაგპირდეთ, ნუ მოგერიდებთ, დამირეკეთ და მყისვე გეახლებით.

პროფესორი გამოგვიშვიდობა, მაგრამ ისევ შეჩერდა და შემობრუნდა:

— სხვათა შორის, ლუკავას ჯგუფში უწესრიგობაა. სელიხანოვამ განცხადება შემოიტანა, შევბუღებას ითხოვს. ესაძე მთხოვა სამსახურიდან გამანთავისუფლო. მერკვილაძეზე კი გუშინ ხარკოვიდან მოვიდა შეკითხვა, მას თურმე განცხადება შეუტანია ხარკოვის ინსტიტუტში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად და იქედან თხოულობენ მის დახასიათებას. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

— როგორ ვითხრობ: შევბუღებებს ადმინისტრაცია გეგმავს, და თუ თანამშრომელი შევბუღებას მოითხოვს გეგმის გარეშე... თქვენი საქმეა. ამას გარდა, თქვენ უფლება გაქვთ ორი კვირის განმავლობაში არ გაუშვათ თანამშრომელი, რომელმაც სამუშაოდან წასვლა გადაწყვიტა. ხოლო რაც შეეხება დახასიათებას — ეს იმის სინდისის საქმეა, ვინც მას ხელს აწერს.

13.

სამუშაოზე ადრე გამოცხადდი, მაიორი იმნაძე უკვე ადგილზე დამიხვდა. დაღლილი სახე ჰქონდა.

— მთელი ღამე იმუშავეთ?

— თითქმის! — მიპასუხა მან და შუბლზე ხელი მოისვა. — დაჯექით, ვისაუბროთ. წუხელ მართალია ჩემი ცოდნა ქიმიკში დიდად არ გაზრდილა, მაგრამ ორიოდე სპეციალური ფორმულა მაინც ავითვისე. რაც მთავარია, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ადამიანები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან, ყველაფერს კადრულობენ. აი შეხედეთ, მან ხელნაწერი ჩემსკენ მოსწია, — პროფესორმა კომახიძემ წითელი ფანქრით აღნიშნა ის, რაც მას „სისულელედ“ მიაჩნია. და ყველა ეს აღნიშვნა იმ გვერ-

დებზეა, რომლებიც ამოკრილი ფურცლები მაგივრად დაბეჭდილი. ე. ი. ბოროტმოქმედებმა ხელნაწერიდან ამოკრეს რაც ძვირუფასი იყო, შეცვალეს „სისულელეთი“ და უკან მოვიგდეს იგი. მათი ვარაუდი ნამდვილად ასეთია. ქერიგი, მიიღებს თუ არა საბუთებს, დამშვიდება, გამოძიებაც შეწყდება, ინსტიტუტი კი ლუკავას შრომებს უაზრობად ჩათვლის და დროთა განმავლობაში მივიწყებს კიდევ... ბოროტმოქმედნი კი შემდეგ შორეული ომსიდან თუ ხარკოვიდან ქვეყანას მოუვლენენ გენიალურ აღმოჩენას. თუ ეს ხელნაწერი ფალსიფიცირებული არაა მაშინ, იგი მთლიანად ერთი მანქანითა და ერთნაირ ქალაღზე უნდა იყოს დაბეჭდილი. ამაზე გავთენე მთელი ღამე.

— შერე, შედეგი?

— ამას ახლა ჩვენს გრძელ ექსპერტიზას ვკითხავთ. თუმცა მე მაქვს უკვე ჩემი აზრი: ახალი ტექსტი ქვერანის მანქანაზე არაა დაბეჭდილი, სტილი და შრიფტი სხვაა. 101-დან 102 გვერდამდე „ო“ და „ს“ ასობებს ქვემოთ პაწაწინა ხაზი გასდევს. ასევეა 163-დან 170 გვერდამდე. ლუკავას მანქანის შრიფტი აქა გვაქვს, გუშინ მოიტანა. იქ „ო“ და „ს“ ნორმალურია. ე. ი. ხელნაწერის ცალკეული „კვანძები“ მთელი ტექსტისაგან დამოუკიდებლად არის დაბეჭდილი, მაგრამ არა ლუკავას, არამედ სხვის მიერ. ამრიგად, ბოროტმოქმედნი უნდა ვეძიოთ მათი ხელის შემწყობების საშუალებით, რეცეპტებით, მედიკთა სამყაროში, ხოლო მანქანის ტექსტები მბეჭდავ-მემანქანეთა სამყაროში. აიღეთ ხელნაწერის ეგზემპლარი და ეძიეთ. შეიძლება მბეჭდავი მემანქანე, პირდაპირი თანამონაწილეა, რომელიმე დაწესებულებაში მუშაობს და იქ დაბეჭდა. თუ ეს არ გამოართლდა, მაშინ შინ მომუშავე მბეჭდავ-მემანქანეთა შორის ეძიეთ, თავდაპირველად კი საბეჭდი მანქანების შემკეთებელი სახელოსნოები მოინახულოთ...

კარები ოდნე გაიღო.

— შემოდით — მიძახა მაიორმა.

№ 43 ოთახში მორიდებით შემოვიდა ნიკოლოზ მერკვილაძე.

მან ქუდი ჩამოკიდა, თმაზე ხელი გადაისვა და იკითხა:

— ვინ არის ჩემით დაინტერესებული?

— დაბრძანდით.

შემოსული დაჯდა.

— მოქალაქე მერკვილაძე, ჩვენ გვინტერესებს...

მერკვილაძემ არ აცალა:

— მიცვალებულ ლუკავას ჩანაწერების დაკარგვის საკითხი? ვაივით, ბატონო, ეს ჩვენც გვინტერესებს, ინსტიტუტს, მთელ ქალაქს, ფართო საზოგადოებრიობას. მაგრამ მე რა შეუ-

ში ვარ. ყველაფერი საიდუმლოებითაა მოკუ-
ლი: საბუთების დაკარგვა, პროფესორის სიკე-
დილი... ჰმ... მომწყინდა ეს იდუმალი ატმოს-
ფერო.

— კი მაგრამ, პროფესორ ლუკავას აღმო-
ჩენა...

14.

— მოქალაქე გამოძიებელი, მოგეხსენებათ,
რომ აღმოჩენად ითვლება ის, რაც აღმოჩენი-
ლი, დამტკიცებული და დადასტურებულია,
ასეთი რამ კი ლუკავას არ გააჩნდა. მე მასთან
მთელი სამი წელი ვიმუშავე და, დიდი უაია-
მოვნების მეტი ლუკავას ჩვენთვის არაფერი
დაუტოვებია. რამდენჯერ არ გავაკრიტიკე და...

— და მაინც განაგრძობდით მასთან მუშაო-
ბას, — ვესლიანად ჩაურთო იმნაქემ.

— აბა ყამირზე ხომ ვერ წავიდოდი კომბაი-
ნერად. მე ქიმიკოსი ვარ. ახლა კი მთელი ქალა-
ქი ლაპარაკობს პროფესორი ლუკავა თანამ-
შრომლებმა მოკლეს მისი აღმოჩენის დაუფლე-
ბის მიზნითო. ჰმ, რა აღმოჩენა, რისი აღმოჩენა.
თუ იგი მართლა მოკლა ვინმე ყოველ შემთხ-
ვევაში არა მერკვილაქემ არამედ იმან, ვისაც
სჯეროდა მისი. ასე რომ მკვლელი პროფესორ
ლუკავას მიმდევრებში ეძიეთ.

— მაინც ვის გულისხმობთ?

— არავის... მაგრამ, აი, თუნდაც ჩემი კოლე-
გა ვასაქე. რატომ მას არ იძახებთ? იგი ადრე
ნასამართლებია მკვლელობისათვის, ეს ხომ საი-
დუმლოება არაა, ამას გარდა, ის მეტად ახლოს
იყო ლუკავას ოჯახთან. ახლა კი საეჭვოდ იქ-
ცევა, წასვლას აპირებს სამსახურიდან.

— თქვენ?

— მე რა?

— თქვენ არ ვარბიხართ? აკი ხარკოვის ინს-
ტიტუტში შეიტანეთ განცხადება?

მერკვილაქე შეცბა, გაწითლდა.

— აჰ, ესეც იცით? მაგრამ განცხადება ჯერ
კიდეც შარშან შევიტანე, მაშინვე მიხდოდა გავ-
ცლოდი „გენიოსს“.

— ვინ ესწრებოდა ლუკავას უკანასკნელ
ცდას?

— არ ვიცი.

— ესწრებოდა კოლია, თქვენ ხომ კოლია
ხართ?

— კოლია ვასაძესაც ქვიბა.

— კი მაგრამ თქვენც ხომ უნდა დასწრებო-
დით?

— მართალია, მაგრამ მოხდა ისე, რომ ვერ
დავესწარი.

— რატომ?

— რატომ არ მივედი?

— დიახ, დიახ, — იმნაქემ ნერვიულად ტუნ-
ზე იკბინა: — რატომ არ მიხვედით?

— ნება მიბოძეთ ამაზე არ გიპასუხოთ. მგო-
ნი, უნდა მქონდეს ამის უფლება.

— უფლება-უფლებად დარჩეს, მაგრამ თქვენ-
თვის უმჯობესია გულახდილად ილაპარაკოთ.

— მართალი ხართ, მაგრამ აქ ინტიმური სა-
კითხია...

იმნაქემ თითქოს და თანაუგრძნობსო, უბა-
სუხა:

— არა უშავს, ჩვენ ინტიმურ საკითხებთანაც
გვაქვს ხოლმე საქმე.

მერკვილაქემ პაპიროსი გააბოლა, მარცხენა
თვალი მოჭუტა, ჩაფიქრდა:

— ოცდათერთმეტში დილით ტვლეფონზე
გამომიძახეს. ვილაც უტენობმა მამაკაცმა მითხ-
რა: დღეს, სწორედ მაშინ, როცა თქვენ ინს-
ტიტუტში იქნებით, თქვენი ცოლი ერთ თქვენ
ნაცნობ მამაკაცს დაუმშვენებს გვერდს ცირკში.
ცირკის შემდეგ კი რა ცირკიც იქნება, თვითონ
მიხვედებითო... თქვა ეს და ყურმილი დადო.

ლაბორატორიაში რვა საათზე უნდა მიესუ-
ლიყავი. ცირკში კი წარმოდგენა რვის ნახევარ-
ზე იწყებოდა. მე ცოლთან საკმაოდ დაძაბული
ურთიერთობა მაქვს, განქორწინების მიზეზს
ვეძებ. ცდისა მაინც არ მჯეროდა, ჩავიქნეი ხე-
ლი და წავედი ცირკში.

მაიორმა იმნაქემ წერა შეწყვიტა, გამოძე-
დელი თვალი შეხედა მოლაპარაკეს.

— მერე?

— ცოლი ცირკში არ აღმოჩნდა, მაგრამ მაინც
დავრჩი პროგრამის დამთავრებამდე.

— ეს ოცდათერთმეტში იყო?

— დიახ.

— ვის შეუძლია დაადასტუროს, რომ თქვენ
ნამდვილად იყავით ცირკში?

— მოწმეები არ მყავს. თუ გნებავთ, პროგ-
რამას მოგიყვებით. შეგიძლიათ ცოლსაც ჰკით-
ხოთ. ის სახლში ღამის პირველ საათზე მობრ-
ძანდა და დილი ჩხუბიც გვექნდა. ამჟამად მივ-
ლინებამოა, მაგრამ მალე ჩამოვა.

— ღვარძლიანი სუბიექტია, — დაასკვნა მაი-
ორმა იმნაქემ და თვალი გააყოლა კარებიდან
გასულ მერკვილაქეს.

15.

ვასაძე გაუბედავად შემოვიდა, მოგვესალმა
და დაჯდა. იგი უფრო გულნატკენი ჩანდა, არა-
ფერი არ უარყო, კერძოდ, რომ დაესწრო გავ-
ვეთას.

მაიორმა მას ბლოკნოტის ფურცელი გაუ-
წოდა:

— ეს ფორმულა თქვენთვის ცნობილია?

ვასაძემ თვალები მოჭუტა, დააკვირდა:

— რაღაც ახალი და რთული.



— როგორც ვხედავ, თქვენ ამ ქიმიურ შენაერთის ფორმულას არ უნდა იცნობდეთ.

— სამწუხაროდ, ასეა.

— რატომ არ იყავით ინსტიტუტში ოცდათერთმეტში? პროფესორი ხომ გელოდდათ.

ვასაძემ უნუგემოდ გამოლა ხელები:
— ო, ეს ჩემი დანაშაულია... ვიტანჯები, დიახ, უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ვერ მივედი. იცით, დილით ტელეფონზე ერთმა უცნობმა მამაკაცმა გამომიძახა...

მაიორმა აღარ აცალა:

— და ვითხრათ: მაშინ როცა თქვენ ცდას მოახდენთ, თქვენი ცოლი კი ცირკში...

— მაპატიეთ, მაპატიეთ, თქვენ საიდან იცით?

— ვიცით, ვიცით, ძველი ნომერია.

— რა ჰქვია, ძველი ნომერია. მე გულწრფელად გეუბნებით, რომ უცნობმა ხმამ მითხრა — თქვენი ცოლი ამ დროს მუსკოვდიაში იქნება და მოვილოცავთო.

— მერე, თქვენ რა ჰქენით?

— რა უნდა შექნა? მივედი სახლში და ცოლს ვუთხარი: დღეს რვა საათზე ვმუშაობთქო. მან მიპასუხა: კარგო, მეც რვა საათისათვის მეგობართან მივდივარო. გული შემეკუმშა, გადავწყვიტე, მაინც აჯობებს შევამოწმო-მეთქი. რვის ნახევარზე მართლაც ჩაიცვა და წავიდა. გადავწყვიტე, ჯანდაბას, ცდას უჩემოდაც ჩაატარებენ, დილით კი ყველაფერს ვუამბობ პროფესორს და იმედია გამიგებს და მაპატიებს-მეთქი, რაც უნდა იყო საკითხი ეხება ოჯახს; წავედი მუსკოვდიაში. ჩემი ცოლი მართლაც აქ იყო მეგობარ ქალთან ერთად. მეორე მოქმედების დამთავრების შემდეგ, ვეღარ მოვიტოვინე, მივედი და ვუთხარი — აქ რას აკეთებ მეთქი? მან იმავე კითხვით მიპასუხა: შენ რას აკეთებ, ასე ატარებ ცდებსო? მაშინ ვუამბე რაც ტელეფონით მითხრეს. მან კი მიჩვენა ანონიმური წერილი, თქვენი ქმარი ლაბორატორიულ ცდებს იმიტნებებს, სინამდვილეში კი ოპერეტებზე დადისო. ცხადი იყო ვილაცამ გაგვათამაშა. ჯერ გადავწყვიტეთ ბოლომდე დავჩენილიყავით სპექტაკლზე. მერე ცოლი წამოხტა და მეუბნება: ნამდვილად ბანდიტებმა გამოგვიტყუეს ბინიდან რათა გავგქურდონო, საბედნიეროდ, ჩვენი შიში ამაო გამოდგა. გვიან იყო და ინსტიტუტში წასვლა უაზრობა იქნებოდა. დილით კი შევიტყვეთ ლუკავას სიკვდილი. და აი, ახლა სულ იმაზე ვფიქრობ, ხომ არაა ყოველივე ეს დაკავშირებული ლუკავას სიკვდილთან? შეიძლება მაშინ მე უბრალოდ მომამორეს სა-

შუაოს.

მაიორმა იმაზე ხელი გადაისვა:

— ხომ არ შემოგინახავთ ის წერილი?

— არა.

— სამწუხაროა.

მაიორმა ფურცელზე ორიოდ სიტყვა დაწერა და მომაწოდა: კოტე! საჩქაროთ მოიყვანე ვასაძის ცოლი. გზაში არაფერი უთხრა.

მე წავეკითხე და წასასვლელად მოვემზადე, მან ვასაძეს ქალაღი მიაწოდა და უთხრა:

— გთხოვთ დაწეროთ, რა იცით, რას ფიქრობთ ლუკავას სიკვდილისა და საბუთების დაკარგვანზე? თქვენი აზრი მის ნაშრომზე.

...ვასაძის ცოლი მაშინვე წამომყვა. ქმარი უკვე წასული იყო.

— პატივცემულო ნატო! გვინტერესებს ერთი რამ. სად გაატარეთ სადამო გასული თვის ოცდათერთმეტში? ვის შეხვდით? რაზე ისაუბრეთ?

ახლაგაზრდა ქალი ცოტა შემფოთდა, შემდეგ ხელჩანთიდან ცისფერი კონვერტი ამოიღო.

— დილით აი, ეს წერილი მივიღე.

— კი მაგრამ, თქვენმა ქმარმა გვითხრა, წერილი დავხეიეთო.

— როგორ, თქვენ უკვე ნახეთ იგი?

— დიახ, დიახ, სწორედ მან გვითხრა წერილი დავხეიეთო.

— არ მოუტყუებია. ეს მე ვუთხარი დავხეიე მეთქი, რადგან მინდოდა დამემშვიდებინა. სინამდვილეში კი დავმალე. ხელი ისე მეცნაურა, რომ რატომღაც მგონია, აუცილებლად გამოვსახავ ავტორს.

— რად ვიხილათ?

— რად? ამ წერილის თარიღი ბევრ რამეს ეჩიხვევა.

— ძიხიც?

— ვის რად დასჭირდა, რომ სახლიდან გავეტყუებინეთ სწორედ ოცდათერთმეტში? იმ დღეს... პირველად მართლა მინდოდა დამეხია...

იმსახემ კონვერტიდან ამოიღო ისამინისფერი ფურცელი: „პატივცემულო ნატო! მე თქვენ დიდად ვაფასებთ, ამიტომაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვაგაფრთხილოთ: თქვენი ქმარი უხეშად გვალატობთ, მიგატოვით. მან უკვე მეორე ოჯახი შექმნა, თუ გსურთ შევამოწმო, წადით დღეს მუსკოვდიის თეატრში და თქვენ ქმარს იქ ნახავთ. მას რვა საათზე იქ პაემანი აქვს. თქვენი კეთილის მსურველი“.

— გთხოვთ, ეს წერილი დავგიტოვოთ, იმედია მის ავტორს აღმოვაჩენთ. მაინც ვინ უნდა იყო ის იგი?

— ვილაც ახლობელი, რომელიც მეც მიცნობს და ჩემს ქმარსაც...

16.

— პირველი ეპატი დამთავრდა — დაიწყო მაიორმა. თუ ვასაძესა და მერკვილაძეს დანაშაული არ მიუძღვით, მაშინ შეიძლება ასეთი სურათი წარმოვიდგინოთ: იქით თვალყურს აღვინებს ლუკავას საქმიანობას, სჯერა მისი აღმო-

ჩენისა და იმისაც, რომ შეიძლება მისი ხელში ჩაგდება. ამით კი, როგორც კომანხიმე თქვა, შეიძლება გააკეთო „დიდი ბიზნესი“. იქი ქიმიკოსი, კავშირი აქვს მედიკებთან, იცის საშინელი შხამს არსებობის შესახებ, ეშოვნის მას და... ორი კვირის განმავლობაში ექნება მზად. სამი წლის მუშაობის დამავვირგვინებელი ცდა დანიშნულია ოცდათერთმეტში. ვასაქეს და მერკვილაძეს შეუძლიათ ხელის შეშლა. საქიროა მათი თავიდან მოშორება, მაგრამ როგორ? მივდივს და უთხრას „ცდაზე არ მოხვდითო“, არ შეიძლება. და აი, ტელეფონის ორი ზარი და ერთიც ანონიმური წერილი. მკვლელი და მისი მსხვერპლი პირისპირ რჩებიან. მომწამვლელი შხამს ჰყრის წყალში ან ჩაიში და აწვდის ლუკავას. შემდეგ? შემდეგ ლუკავა შინ მიემგზავრება. იქსი ხსნის ინსტიტუტში სეიფს, მიაქვს ხელნაწერი, შემდეგ მიდის ლუკავას ბინაზე და იტაცებს პორტფელს. დიახ, ასეა. სხვანიარად არ გამოდის. ამრიგად, ჩანაწერები დამნაშავეს ხელთაა. მაგრამ ეს არაა ყველაფერი. სახლში, ლუკავას სეიფში შავი ჩანაწერებია, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ხელნაწერის აღდგენა. დამნაშავემ მოახერხა შეპარულიყო სახლში და რვეულებიდან ამოკრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფრაგმენტები. ლუკავა დაასაფლავებს. ატყდა მზაური მის ხელნაწერთა გარშემო. დამნაშავეს შეიძლება საქმე ჩაეშალოს. იქსმა ყველაფერი აწონ-დაწონა, ყველაფერი გაითვალისწინა, სასწრაფოდ გამოაცალა ძირითადი არსი შრომის და პორტფელთან ერთად მიაგლო ადგილზე. აჰა, წაიდეთ, დამშვიდდითო. სინამდვილეში ეს უკვე გენიალური კაცის ნაშრომი ან აღარაა, არამედ პასკვილია მასზე. დამნაშავეს ვარაუდი ნათელია: გვაკ ერთი-ორი წელი და იგი აკეთებს „დიდ ბიზნესს“. კიდევ კარგი თუ ჩვენთან, მაგრამ თუ იქ გააკეთებს, სადაც „ბიზნესი“ უცხო სიტყვა არაა?

მაიორი უცებ შედგა:
— სწორი ვარ?
— დიახ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ბევრი „მაგრამ“ არის.

— მართალია, ბევრია... პირველი „მაგრამი“ კი რეცეპტებია...

— ო, რეცეპტებში მართლაც ბევრი რამ იმალება. ისინი ორმა კაცმა დაწერა. პირველის დამწერი არის არა ექიმი, არამედ ადამიანი, რომელსაც რაღაც ურთიერთობა აქვს რეცეპტების გამოწერასთან. პრეპარატის სახელი ორ ადგილზე ასოებშია შეშლილი. მეორე რეცეპტი პირველიდანაა გადაწერილი. ნაწერი სხვადასხვაა. რაც მთავარია, მეორეშიც იგივე ასოებშია შეცდომა. საქიროა ლუკავას ახლობელთა შორის მოინახოს ის პირი, რომელსაც კავშირი აქვს მედიკთა სამყაროსთან. როცა ამას გავაკე-

თებთ, იქვე აღმოჩნდება ვასაქის ცოლისათვის გაგზავნილი ანონიმური წერილის ავტორი, რომლის მიერაცაა დაწერილი „ექიმ სირბილაძის“ სახელით გაცემული რეცეპტი და ბოლოს, ვნახავთ თვით მომწამვლელსაც.

— მაშ ასე, რეცეპტებთან დაკავშირებულ საკითხებს მე გავარკვევ, თქვენ კი „სალაშქროდ“ წახვალთ. მოქმედეთ მანქანა, რომელზეც გადაბეჭდილია ლუკავას ჩანაწერთა ნაწყვეტები. მე გავივლი ინსტიტუტში, პოლიკლინიკებში. საქირო იქნება ისევ გავესაუბროთ ჯერივს. უნდა დაზუსტდეს მისი ოჯახის ახლობელთა წრე. უბრველეს ყოვლისა, ახლა უნდა გავიცნოთ მისი მეგობარი, რომელთანაც იგი თავის წინასწარმეტყველურ სიზმრებზე მსჯელობს.

17.

საბეჭდ მანქანებს ქალაქში სამი ორგანიზაცია აკეთებდა. ესენია—სამხედრო ვაჭრობის განყოფილება, „ქალაქმრეწველობა“, სარეწაო არტელ „ხელსაწყობა შეკეთება“. მე არტელიდან დავიწყე. აქ მუშაობა ძირითადად ხელშეკრულებით წარმოებდა. განსაზღვრულ დღეებში, მიმაგრებული ოსტატი ჩამოვივლიდა დაწესებულებებს და გასინჯავდა მანქანებს. საქიროების შემთხვევაში — შეაკეთებდა. შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება ხდებოდა ვადარიცხვით.

— ეთქვათ, სახლში მაქვს მანქანა შესაკეთებელი? — შეეკითხებ მე.

-- კი ბატონო, მაშინ დატოვებთ მისამართს და გამოვგზავნით ოსტატს.

ასეთი გამოძახების რეგისტრაცია არ ტარდებოდა, მაგრამ აქ სულ ორი მოხუცი ოსტატი იყო. ისინი ძმებავით გავდნენ ერთმანეთს. ორივე ადგილზე აღმოჩნდა. მათთან საუბარში დავადგინე შემდეგი: რვა რიცხვში ერთ ამ ოსტატთაგანს, კალინინის ქუჩა № 9/3-ში მცხოვრებ ესფირ სტარობუხის გამოძახებით შეუკეთებია მანქანა „კონტინენტის“ შრიფტი, კერძოდ, ხელახლა დაუბრუნავეს ასოები „ო“ და „ს“. ეს ჩემთვის საკმარისი იყო. თხუთმეტი წუთის შემდეგ მოცემულ მისამართზე ვიყავი. კარები თმამეღებოდა ქაღალა გამოიღო. ჩემს პორტფელს, რომ მოკრა თვალი, გამოიღმა და მოთხრა: — დასაბეჭდი გაქვთ, მობრძანდით.

მე პორტფელიდან ამოვიღე ლუკავას ხელნაწერი და ყოველგვარი შესავლის გარეშე ვუთხარი:

— თქვენი ნაშუქეარია?

მან არაფერი მიპასუხა. მაშინ ვაჩვენე ჩემი პირადობის მოწმობა. ქალი გაფითრდა, სათვალეები გაიკეთა და ნერვიულად გადაფურცლა ხელნაწერი.

ხალხთა რესპუბლიკა

ალ. ი. პერგამენცი სწავრალ ქორწინალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციაში

ჩვენნი იურიდიული საზოგადოებისთვის ცარგად არის ცნობილი საბჭოთა საოჯახო სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ალექსანდრა იოსების ასულ პერგამენტის სახელი.

იგი დიდ საქმიანობას ეწეოდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლებს შემუშავებაში და მისი დაუღალავი პრობაგანდისტია. და აი, ალ. ი. პერგამენცი ამ კანონმდებლობის საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდში ჩვენს რედაქციას ესტუმრა. რედაქციის თანამშრომელი ლ. ისაკაძე ესაუბრა სტუმარს და, ბუნებრივია, საუბარიც „საფუძვლების“ ვარშემო გაიმართა.

რით არის გამოწვეული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საფუძვლების გამოცემის აუცილებლობა?

დღევანდლამდე ამგვარი აქტი არ გამოცემულა, თუმცა საოჯახო და საქორწინო კანონმდებლობის ზოგიერთი საკითხი რეგულირდებოდა ცალკეული კანონებით. აღნიშნულზე საერთო-საკავშირო კანონის არარსებობა მოკავშირე რესპუბლიკებს არ აძლევდა შესაძლებლობას გადაემუშავებინათ მათს ტერიტორიაზე მოქმედი საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსები, რომელნიც გამოსულია 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იანი წლების დასაწყისში. მართალია, კოდექსის ძირითადი დებულებანი არ საჭიროებენ გადასინჯვას, მაგრამ მას შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებანი მოხდა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, რომელმაც თავისი ასახვა უნდა პპოვოს კანონში. ამავე დროს უკანასკნელ წლებში ამ კოდექსების პრაქტიკულმა გამოყენებამ მოითხოვა კოდექსში არსებულ ზოგიერთ ნორმათა დაუსუსტებისა და აგრეთვე ზოგიერთ ნორმათა დამატების აუცილებლობაც.

ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის რომელ ძირითად საკითხებს შეეხებიან „საფუძვლების“?

თვით ამ აქტის სახელწოდება გვიჩვენებს, რომ მასში ჩამოყალიბებულია ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის ყველა ძირითადი პრინციპიალური დებულებანი. „საფუძვლები“ აშუქებს აგრეთვე ყველა იმ საკითხს, რომელიც ერთნაირ გადაწყვეტას მოითხოვს ყველა რესპუბლიკაში. ასეთებია, მაგალითად ქორწინების ფორმა, განქორწინების წესი და პირობები და ზოგიერთი სხვა საკითხი. ამ საერთო დებულებათა და ნორმათა საფუძვლზე რესპუბლიკური კოდექსები შესძლებენ ზუსტი რეგლამენტირება გაუკეთონ საოჯახო-საქორწინო ურთიერთობათა წრეს ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

„საფუძვლები“ ასახავს ლენინურ დებულებებს ოჯახისა და ქორწინების შესახებ, სკკპ პროგრამის მითითებებს ოჯახისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ახალი აღმშენის ფორმირების საქმეში. გამომდინარე აქედან მასში ჩამოყალიბებულია საოჯახო კანონმდებლობის ამოცანები, რომელთაგან ძირითადია სოციალისტური ოჯახის შემდგომი განმტკიცება, დაფუძნებული მის წევრთა ურთიერთსიყვარულზე, მეგობრობასა და პატივისცემაზე; ბავშვთა აღზრდის საკითხები ოჯახისა და საზოგადოების ინტერესების შეთანაწყობით; დედათა და ბავშვთა დაცვის კეთილშობილური იდეით.

რა არსებითი ცვლილებებია შეტანილი „საფუძვლებში“ მოქმედკანონმდებლობასთან შედარებით?

საბჭოთა კანონმდებლობაში პირველად არის გათვალისწინებული ქორწინების გაბათილება, როცა იგი ოჯახის შექმნის მიზანს არ ისახავს, ესე იგი ფიქტიური ქორწინების დროს. გაბათილებულ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს იგივე უფლებები აქვთ, რაც რეგისტრაციის ქორწინების დროს დაბადებულთ.

არსებითი ცვლილებები შეეხო იმ ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას, რომლებიც ქორწინების გარეშე დაიბადნენ, როგორც ცნობილია, მოქმედმა კანონმდებლობამ (1944 წლის 8 ივ-

ლისის ბრძანებულება „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძღვების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების“, „გმირი დედის“ საპატრიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“) დედას წაართვა უფლება არარეგისტრირებულ ქორწინებისას სასამართლოსადმი სარჩულით მიმართვის, მამად ცნობისა და ბავშვის სარჩენად ალიმენტის მოთხოვნის შესახებ. უფრო მეტიც, თვით მამას არა აქვს უფლება ცნოს თავისი მამობა, თუ მშობლები ქორწინებაში არ არიან. აღნიშნული კანონი ამ შემთხვევაში ფაქტურ მამა-შვილს განიხილავს, როგორც სხვადასხვა პირებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან არავითარი უფლება-მოვალეობით. ამისგან განსხვავებით „საფუძვლები“ ითვალისწინებს, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამას შეუძლია აღიაროს შვილი თავისად მამის-ორგანოში ბავშვის დედასთან ერთად განცხადების შეტანის გზით. მამობის ნებაყოფლობითი აღიარება არ ითვალისწინებს მამის ვალდებულებას აუცილებლად დაქორწინდეს ბავშვის დედაზე. თუ პირი ნებაყოფლობით უარს ამბობს მამობაზე, „საფუძვლებით“ დადგენილია ერთი შემთხვევა, როდესაც შესაძლოა სასამართლოს წესით იძულებითი გზით დავადგინოთ მამობა: ეს მაშინ, როდესაც ბავშვის დაბადებამდე ბავშვის დედა და მოპასუხე ერთად ცხოვრობდნენ და ერთ მუხურზეობას ეწეოდნენ, ანდა შემდეგ ერთად ზრდიდნენ ან არჩენდნენ ბავშვს.

რა იწერება დაბადების მოწმობის გრაფაში მამის შესახებ. როდესაც ბავშვი ქორწინების გარეშეა გაჩენილი?

თუ მამობის საკითხი დადგინდება ნებაყოფლობით ან სასამართლოთი, მაშინ დაბადების მოწმობის გრაფაში ჩაიწერება ბავშვის ფაქტური მამის სახელი. თუ მამობის საკითხი ვადაუწყვეტელია, აქ მამის ვინაობის შესახებ შემდეგი ჩაიწერება: გვარი — დედის, ხოლო მამის სახელი ჩაიწერება დედის განცხადების თანახმად.

თუ გავრცელდება ეს წესები იმ ბავშვებზე, რომლებიც დაიბადებიან „საფუძვლების“ კანონიერ ძალაში შესვლამდე?

მამას უფლება აქვს აღიაროს ნებაყოფლობითი მამობა იმ ბავშვის მიმართ, რომლებიც დაიბადებიან „საფუძვლების“ ძალაში შესვლამდე, მაგრამ სასამართლოს წესით მამობის დადგენის საკითხი ამ პერიოდში არ დაიშვება. მამის სახე-

ლის ჩაწერისათვის აუცილებელია დედის თანხმობაც.

კიდევ რა არსებითი ცვლილებებია გათვალისწინებული?

„საფუძვლები“ იძლევა მთელი კავშირისათვის საერთო საკითხის გადაწყვეტას მეუღლეთა ურთიერთ რჩენის ვალდებულებაზე განქორწინების შემდეგ, თუ რომელიმე მათგანი შრომისუუნარო გახდა განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში. თუ მეუღლენი დიდხანს იყვნენ ქორწინებაში, სასამართლოს უფლება აქვს ალიმენტი გადაახდების განქორწინებული მეუღლის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მეუღლემ საპენსიო ასაკს მიაღწია არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების მომენტიდან. ეს ვალდებულება დროით არ განისაზღვრება. სხვათა შორის, ამჟამად, ეს საკითხი მოკავშირე რესპუბლიკებში ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი. ზოგჯერ ასეთი მოვალეობა განსაზღვრულია სამი წლით, ზოგჯერ — ერთი წლით, ზოგჯერ კი, ისევე როგორც „საფუძვლებშია“ გათვალისწინებული — სამი დღემშორდ. ამავე დროს „საფუძვლები“ ითვალისწინებს მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებებს დაადგინონ თავიანთ კანონმდებლობით პირობები, რომლის არსებობის დროსაც სასამართლოს შეეძლება ცალკეულ შემთხვევაში ერთი მეუღლე გაათავისუფლოს მეორე მეუღლის რჩენის ვალდებულებისაგან ან შეზღუდოს ამ ვალდებულების ვადა.

ამის გარდა საფუძვლებით გათვალისწინებულია ქმრის მოვალეობა არჩინოს მეუღლე ორსულობის დროს და ბავშვის დაბადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში განქორწინების შემდეგაც.

„საფუძვლები“ მიმართულია მშობელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ბავშვთა აღზრდის საქმეში. ამასთან დაკავშირებით დადგენილია ისეთი წესები, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს მიერ მშობლებისათვის უარის თქმა შვილებისაგან ალიმენტის მიღებაზე, თუ ისინი თავის დროზე თავს არიდებდნენ შვილების შენახვას. შესაძლოა მშობლის უფლების ჩამორთმევა იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მშობლები მონაწილეობას არ იღებენ შვილების აღზრდასა და რჩენაში ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებებს, მავნე ზეგავლენას ახდენენ შვილებზე თავიანთი ამორალური, ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევით, აგრეთვე თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლიკები ან ნარკომანები არიან.

გათვალისწინებულია თუ არა შვილების სასარგებლოდ ალიმენტის ოდენობის არსებული წესის შეცვლა?

არა, ალიმენტის ოდენობის წესი არ შეცვ-

ლილა. მაგრამ „საფუძვლები“ ითვალისწინებს ამ წილის შემცირებას, თუ მშობელს, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ალიმენტი, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ ალიმენტის გადახდისას მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილნი, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ. აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობელი, რომელსაც ალიმენტს ასდევინებენ, პირველი ან მეორე წაუფის ინვალიდია ან თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი ხელფასი აქვთ.

თუ შეიცვლება განქორწინების წესი?

„საფუძვლები“ ითვალისწინებს განქორწინების წესის შეცვლას, რაც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 10 დეკემბრის ბრძანებულებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ, მაგრამ ამავე დროს ფრიად არსებით წესს — ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

როგორ ხდება ქონების განაწილება განქორწინების დროს?

„საფუძვლები“, ისევე როგორც მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მეუღლეთა მიერ დაქორწინებამდე კუთვნილი, აგრეთვე ქორწინების დროს საჩუქრად, ან მემკვიდრეობით მიღებული ქონება თითოეული მათგანის საკუთრებაა. ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება კი მეუღლეთა ერთობლივი საკუთრებაა. მეუღლეებს ქონებაზე თანაბარი უფლება აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ერთი მათგანი ეწეო-

და საოჯახო მეურნეობას, უვლიდა შვილებს, ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არ მუშაობდა. საერთო ერთობლივი ქონების გაყოფის შემთხვევაში მეუღლეებს ეძლევათ თანაბარი წილი, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს გადაუხვიოს ამ წესს და გაითვალისწინოს შვილების ინტერესი ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესი.

როგორ გადაწყდება შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხები?

ეს საკითხები ძირითადად უნდა მოწესრიგდეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობებით. „საფუძვლები“ ლაპარაკობს მხოლოდ მეურვეობისა და მზრუნველობის მიზნებსა და ამოცანებზე და მიუთითებს იმ ორგანოებზე, რომლებიც ადგენენ მეურვეობასა და მზრუნველობას.

შვილად აყვანის საკითხში რამდენიმე ახალი დებულებანია. როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება აქვთ დაადგინონ პირობები, რომლის არსებობის დროსაც არ არის აუცილებელი მშობლის თანხმობა ვაშვილებსათვის. შვილობილები და მათი შთამომავლობა მშვილებელთა და მათ ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მათი ნათესავები შვილობილთა და მათი შთამომავლობის მიმართ უთანასწორდებიან პირადი და ქონებრივი უფლებებით და მოვალეობებით შთამომავლობის ნათესავებს.

შვილობილები კარგავენ პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდებიან მოვალეობისაგან თავისი მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ.

შერნალი „საბჭოთა სამართლის“ 15 წლისა

გაიმართა შერნალი „საბჭოთა სამართლის“ 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენება შერნალის მუშაობის შესახებ გააკეთა მისმა რედაქტორმა **ო. კაციტაძემ**.

შერნალის რედაქციის კოლექტივის იუბილე მიულოცეს რესპუბლიკის პროკურორმა **პ. ბერძენიშვილმა**, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ვ. მაისურაძემ**, შერნალ „სოციალისტიკისათვის“ ზაქონოსტის“ მთა-

ვარმა რედაქტორმა **ნ. კონდრაშოვმა**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **ვ. აბაშაძემ**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **გ. ჟვანია**, სახელმწიფო არბიტრაჟის თანამშრომელმა **ლ. ჩორგოლაშვილმა**. (საქდესი).

პროკურატურის მუშაობა თათბირი

მიმდინარე წლის 3 ივლისს გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების მუშაობა თათბირი.

თათბირზე მოხსენებით — „პროკურორ — გამომძიებელთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შესახებ“ გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორი **პ. ბერძენიშვილი**. მან აღნიშნა, რომ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს.

საქართველოს სსრ პროკურატურამ ვარაუდქმნა რა თავისი მუშაობა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1965 და 1966 წლების ბრძანებების შესაბამისად, დასახე მთელი რიგი ღონისძიებები კადრებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, პროკურორ — გამომძიებელთა ორგანოებში მუშაობისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროკურატურის ორგანოებში სტუდენტთა პრაქტიკის გავლას. იურიდიული ფაკულტეტის უფროსი კურსელები საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ პროკურატურის თანამშრომლებად და გამომძიებლებად. ახალგაზრდა სპეციალისტების სწორად შერჩევის მიზნით, სახელმწიფო კომისიის სხდომაზე, როგორც წესი, მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკის პროკურატურის კადრების განყოფილების მუშაკები, ხოლო სახელმწიფო გამოცდებს კი ესწრება რესპუბლიკის პროკურორი.

პროკურატურის ორგანოთა მუშაობის უმრავლესობა კეთილსინდისიერად ეკიდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, იჩენენ

შემოქმედებით ინიციატივას, მაღალ დონეზე ატარებენ გამოძიებას, დროულად ამთავრებენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებას.

პროკურატურის მუშაკები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას.

რესპუბლიკის პროკურორი შეეხო პროკურატურის ორგანოების მუშაობის ნაკლოვან მხარეებსაც.

თათბირზე მოსმენილ იქნა თანამოხსენებანი: საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის **ვ. პრავდინისა** — „გამომძიებლის მუშაობის ორგანიზაცია“ და რესპუბლიკის პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის **ლ. ზაჩიკისა** — „სახელმწიფო ბრალდების დაცვის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ქ. თბილისის პროკურორმა **ა. ტაკიძემ** აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხი მეტად აქტუალურია. ქ. თბილისის პროკურატურის ოპერატიული მუშაკები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საბჭოთა კანონიერების დაცვისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი უხარისხოდ გამოძიებული საქმეების სასამართლოში წარმართვისა და უსაფუძვლოდ საქმეთა გაჭინურებას, საგამომძიებლო და საპატიმრო ვადის გაუგებრებლობის შემთხვევებს.

აფხაზეთის ასსრ პროკურორმა **მ. არგუნმა** ილაპარაკა თუ როგორ სრულდება აფხაზეთის

პროკურატურის ორგანოებში კადრების შერჩევა, აგრეთვე დანაშაულობათა აღსაკვეთად მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

პარტიულ ორგანოებთან ერთად, — აღნიშნა მ. არგუნიძე, — დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი პროკურატურის ორგანოების მუშაეთა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

ადგილი აქვს ცალკეული მუშაკების მიერ კანონიერების უხეშ დარღვევებსაც, არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას სამსახურებრივი მოვალეობისადმი, რის გამოც ჩატარდა დისციპლინარული ღონისძიებანი, გალისა და გულრიფშის რაიონის გამომძიებლები კი განთავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან.

აფხაზეთის ასსრ პროკურატურის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გააუმჯობესონ საპროკურორო-საგამომძიებლო ორგანოთა საქმიანობა, აამაღლონ პროკურორთა და გამომძიებელთა პასუხისმგებლობა, აამაღლონ შრომის დისციპლინა და მიადწიონ მათ წინაშე დაყენებული რთული ამოცანების შესრულებას.

კამათში მონაწილეობა მიიღო ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა **ო. კაციტაძემ**.

თავიანთ მუშაობასა და მომავალ ამოცანებზე ილაპარაკეს პროკურორმა **ჯ. ბაჭელიძემ**, ქ. რუსთავის პროკურორმა **ს. იმედაშვილმა**, ზუგდიდის რაიონის პროკურორმა **გ. ვვასალიამ**, ახალქალაქის რაიონის პროკურორმა **ი. აბრამიანმა**, გურჯაანის რაიონის პროკურორმა **ო. უღენტმა**, მარნეულის რაიონის პროკურორმა **გ. ჯაფარიძემ** და სხვ.

სიტყვაში გამოსულებმა ხაზი გაუსვეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1965 წლის 30 დეკემბრის № 125 და 1966 წლის 30 ივლისის № 75 ბრძანებების ღირ მნიშვნელობას, რის საფუძველზედაც პროკურატურის ორგანოები ატარებენ მთელ რიგ ღონისძიებებს საგამომძიებლო აპარატის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და დამანაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

თათბირის მუშაობა შეაჯამა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ **ა. პანკრატოვმა**.

თათბირმა დასაზა ღონისძიებანი პროკურო-

ტურის ორგანოების შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად, სოციალისტური კანონიერების განუხრებლად დასაცავად.

ასეთივე თათბირები ჩატარდა 22 აპრილს აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურებში, სადაც დღის წესრიგში იყო საპროკურორო-საგამომძიებლო კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში ჩატარებული მუშაობისა და დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ მოქალაქეთა დაკავების კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების შემოწმების შედეგები.

თათბირებზე მოხსენებებით გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ პროკურორი **მ. არგუნი**, აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი **ჩ. წულიაი**, აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილე **გ. მეგრელიძე**, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორი **ზ. ბასიშვილი**.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ **გ. როინიშვილმა** და საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწემ კადრების დარგში **ნ. გოჩაშვილმა**.

სიტყვებით გამოვიდნენ: ბათუმის პროკურორი **დ. თამაზაშვილი**, ქობულეთის რაიონის პროკურორი **ს. ცაგარეიშვილი**, ხულოს რაიონის პროკურორი **მ. ცეცხლაძე**, ქ. ცხინვალის პროკურორი **ი. ენაღიძე**, ჯავის რაიონის პროკურორი **ფ. კულუმბეგოვი**, სამხრეთ ოსეთის ოლქის პროკურორის თანაშემწეები **გ. ჯავახიშვილი**, **კ. მარგივი** და სხვ.

მოხსენებებით და სიტყვებით გამოსულებმა ილაპარაკეს საპროკურორო-საგამომძიებლო კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში ჩატარებული მუშაობის შესახებ, მათი სწორად შერჩევის პრინციპზე და აღნიშნეს, რომ ამ რაიონებში პროკურატურის ორგანოები დაკომპლექტებულია პოლიტიკურად მომზადებული იურიდიული განათლების მქონე კადრებით.

თათბირის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს მათი მუშაობის ნაკლოვან მხარეებსაც და დასახეს ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად.

იურიდიული სამსახურის მუშაობა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი

რამდენიმე ხნის წინათ გაიმართა საქართველოს სსრ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა იურიდიული სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სსრ პროფსაბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა.

თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, კიევის და ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა.

შესავალი სიტყვით თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ანხ. შ. კიკნაძემ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო არბიტრაჟთან არსებულ იურისკონსულტთა საზოგადოებრივი საბჭოს საანგარიშო მოხსენება გააკეთა აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოც. ნ. წერეთელმა.

მოხსენებელმა ფართოდ გააშუქა საწარმოთა და ორგანიზაციათა იურიდიული სამსახურის მუშაკთა წინაშე დასმული ამოცანები ახალ სამეურნეო რეფორმის პირობებში. ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები გაატარა იურისკონსულტთა საზოგადოებრივმა საბჭომ ამ ორი წლის განმავლობაში ადგილებზე, სამინისტროებსა და უწყებებში იურიდიული სამსახურის სრულყოფის საქმეში. ამასთანავე აღნიშნა ის ნაკლოვანებებიც, რომელიც საბჭოს მუშაობას გააჩნდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ზოგიერთი საწარმოს და ორგანიზაციის იურისკონსულტი თავისი მუშაობით ჯერ კიდევ ვერ პასუხობს ახალ ამოცანებს, თითქმის არაფერი გაკეთებულია სოფლის მეურნეობაში (კოლმეურ-

ნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში), იურიდიული მომსახურების თავის დონეზე დაყენებისათვის, სუსტია კავშირი ყველა საწარმოთა და დაწესებულებათა იურიდიული სამსახურის მუშაკებთან; უმაღლესი სასწავლებლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მრეწველობის და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო — სამართლებრივი კადრების მომზადების საკითხებს და სხვ.

მოსხენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის დოცენტმა ე. ნეიძემ, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ი. პოზირჩენკომ, ა/კ რკინიგზის სამმართველოს იურიდიული სექტორის უფროსმა კ. კალანტაროვმა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. დავითაიამ, სახელმწიფო არბიტრაჟის უფროსმა კონსულტანტმა თ. დადიანმა, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს იურიდიული ბიუროს გამგემ ვ. შარაშენიძემ, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს უფროსმა იურისკონსულტმა მ. კაკაურიძემ და სხვ.

არჩეულ იქნა იურისკონსულტთა რესპუბლიკური საზოგადოებრივი საბჭოს ახალი შემადგენლობა. საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ანხ. ნ. წერეთელი.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა ს. კარინსკიმ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. სნეგირიოვამ, მოსკოვის პროფსაბჭოს კონსულტანტმა ზ. ბარბარაშმა და სხვ. რომელთაც წაიკითხეს ლექციები შრომის კანონმდებლობის საკითხებზე.

რაიონული საბჭოს სესიონი

გაიმართა მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის რაიონის მეთერთმეტე მოწვევის მეშვიდე სესია. მოხსენებით — „სამტრედიის რაიონში კანონიერების დაცვის და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ — გამოვიდა რაიონის, პროკურორი შ. მერაბიშვილი.

პარტიამ; — განაცხადა მომხსენებელმა, — ჰეშმარტად ისტორიული ამოცანა დასახა: აღმოიფხვრას ქვეყანაში დანაშაულობანი. საბჭო-

თა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ივლისის დადგენილება ითვალისწინებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ხელიგნობისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

უკანასკნელ ხანს რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების, პარტიული და საბჭოთა ორ-



განობის ხელმძღვანელობით გაუმჯობესდა მუშაობა. წინა წლებთან შედარებით საგრძობლად შემცირდა დანაშაულობათა რიცხვი. საბჭოთა კანონიერების დაცვისათვის ბრძოლის საქმეში ახლა უფრო ფართოდ ებმებიან პარტიული, კომკავშირული, პროკავშირული ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლები.

მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ადმინისტრაციული ორგანოები დანაშაულობასთან და მართლწესრიგის ყოველგვარ დარღვევასთან ბრძოლას კამპანიურად არ უნდა მიუდგნენ. საჭიროა ბრძოლა განუწყვეტლივ, გადაჭრით და ამასთანავე მოთმინებით; თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეთ საჭირო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

გვხვდება ახალგაზრდათა შორის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის და დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. დაბალ ღონეზეა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, საბჭოთა კანონის პროპაგანდის საქმე. სათანადო ზეგავლენას არ ახდენენ იმ მშობლების მიმართ, რომლებიც სათანადო ზრუნვას არ იჩენენ შვილების აღზრდისადმი.

მომხსენებელი ლაპარაკობს მილიციის სახელმწიფო ავტონისპექციის, რაიონის საეკონომიკური ორგანიზაციების მ. შაობის ნაკლოვანებებზე.

მოხსენებაში იქნა აღვილი დაეთმო უსაფუძვლოდ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრისა და მოქალაქეთა დაპატიმრების შემთხვევებს, საქმეთა უხარისხოდ გამოძიებას, ვაჭიანურებას, სასამართლოზე საქმეების გადაცემას, ვადების დარღვევის ფაქტების განხილვას.

თვითკრიტიკით უნდა აღინიშნოს, — ამბობს

მომხსენებელი, — რომ ჯერ კიდევ სუსტია საპროკურორო ზედამხედველობა რაიონში კანონიერების დაცვაზე. იშვიათად იწერება წარდგინებები წარმოება — დაწესებულებების, კოლმეურნობის გამგეობისა და კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ გამოტანილ კანონსაწინააღმდეგო ბრძანებებისა და დადგენილებების გაუქმების შესახებ. სისტემატურად არ მოწოდება მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება.

რაიონის საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამხანაგური სასამართლოები უმოქმედობას იჩენენ. ზოგჯერ ისინი იხილვენ მათზე დაქვემდებარებულ საქმეებს, გამოაქვთ კანონსაწინააღმდეგო დადგენილებები.

სუსტად მუშაობენ სახალხო რაზმეულები. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არარეგულარულად იხილვენ კანონიერების დაცვის საკითხებს, არ იცავენ მოქალაქეთა მიღების დაწესებულ დღეებს, ზოგჯერ შემოსულ განცხადებებზე იძლევიან არასწორ პასუხს და არ აუქმებენ კოლმეურნეობის გამგეობის, კოლმეურნეობის კრებისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ მიღებულ ზოგიერთ კანონსაწინააღმდეგო დადგენილებებს.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: **ი. ხახიამ, რ. ტორონჯაძემ, რ. მეიშვილმა, შ. ქურდიანმა, ს. ჩხიძემ, ბ. ფოცხვერაშვილმა, ა. გაგუამ, ლ. ცხვარაძემ, ბ. წულაიამ, ა. მანგალაძემ.**

განხილულ საკითხზე სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

ლ. ი.

სასპრემიუმო შეხვედრა

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილებამ მოაწყო ორ დღიანი სასწავლო-პრაქტიკული სემინარი.

სემინარს დაესწრნენ: აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენლები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის მუშაკები, ზოგიერთი რაიონის პროკურორი და მისი თანაშემწეები.

მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე გ. როინიშვილი, საქართველოს სსრ სსრ მინისტრის მოად-

გილე პ. კოვალჩუკი, რესპუბლიკის პროკურატურის თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საზედამხედველო განყოფილების უფროსი ნ. მიქაძე. მათ ილაპარაკეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე და სხვა ობიექტებზე საპროკურორო ზედამხედველობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ. ამავე განყოფილების პროკურორი გ. ძაგანია თავის გამოსვლაში შეჩერდა საგამომძიებლო იზოლიატორზე და ზონაში პროკურორის ზედამხედველობის ზოგიერთ საკითხზე. საქართველოს სსრ პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტიკა ე. სიმონიშვილმა ილაპარაკა თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე კრიმინალისტიკის საშუალებების გამაჩვენე-

ბით დანაშაულობათა ევექტურად გახსნის მე-
თოდებზე.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე საპრო-
კურორო ზედამხედველობის საკითხებს შეეხენ
თავის გამოსვლებში პროკურორები გ. ხურცი-
ლავა, კ. შამათავა, პროკურორის თანაშემწე
ა. თორია. თავისუფლების აღკვეთის ადგილებ-
ში საბჭოთა კანონიერების დარღვევის, მისი გა-
მომწვევი მიზეზების გამოვლინების ფორმებსა
და მეთოდებზე შეჩერდა თავის სიტყვაში პრო-
კურორის თანაშემწე რ. მეტრეველი. შრომა-
გასწორების კოლონიებში პატიმართა აღზრდა-
გამოსწორების საკითხებზე გამოვიდა პროკურო-
რის თანაშემწე ვ. სხულუხია.

შეკრებილთ თავიანთი გამოცდილება შრომა-
გასწორების დაწესებულებებზე საპროკურორო

ზედამხედველობის გატარების შესახებ გაუზი-
არეს პროკურორის მოადგილემ გ. მეგრელიძემ,
პროკურორის თანაშემწემა ბ. ჩეჩელაშვილმა,
გ. ხვადაიანმა, გ. ლასურაშვილმა, ა. გოგოლა-
ძემ და გ. შონიამ.

სასწავლო-მეთოდური და პრაქტიკული სემი-
ნარის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს
ის ღიდი სარგებლობა, რაც მათ ამ სემინარმა
მოუტანა და გამოთქვეს სურვილი, რომ ასეთი
სემინარის ჩატარება ტრადიციად იქცეს.

შ. მგელაძე,

თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე
საზედამხედველო განყოფილების პროკუ-
რორი, პირველი კლასის იურისტი.

სამეცნიერო საზოგადოების სხდომა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სხდომათა დარბაზში ჩატარდა ისტორიის, არ-
ქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის სა-
ქართველოს სამეცნიერო საზოგადოების პრეზი-
დიუმის საჯარო სხდომა.

სხდომაზე მოხსენებით—ზემო სვანეთის სა-
ზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის
ზოგიერთი საკითხი (ადიშის და მესტიის სახა-
რებების XIII-XVI საუკუნის მინაწერთა მი-
ხედვით)—გამოვიდა იურიდიულ მეცნიერება-
თა კანდიდატი მ. კეკელია.

როგორც ცნობილია ადიშისა და მესტიის
სახარებების აშეზე XIII-XVI საუკუნეებში
გაქეთებულია სამართლებრივი ხასიათის მინა-
წერები, რომლებიც დღემდე ქართული სამართ-
ლის ისტორიის სპეციალისტების კვლევის სა-
განი არ გამხდარა.

მომხსენებელმა მინაწერებში მიაკვლია რიგ
იურიდიული ხასიათის ინსტიტუტებსა და აღ-
ნიშნულს საფუძველზე ასკვნის, რომ ჯერ
კიდევ XIII-XVII საუკუნეებში ზემო სვანეთ-
ში (ბალს ზემო სვანეთში) კლასობრივი საზოგა-
დობა იყო და იგი განუვითარებელ ფეოდა-
ლურ ხანაში იმყოფებოდა.

ამავე დროს მომხსენებელი ყურადღებას ამა-
ხვილებს იმაზე, რომ ამ დროს ზემო სვანეთის

იურიდიული აზროვნება ქართული იურიდიული
აზროვნების დონის შესატყვისია.

მოხსენებით—„ნასაყდრალ თეთროსანის ის-
ტორიიდან“ (ლევკოთეას ტაძრის ლოკალიზაციის
საკითხისათვის) გამოვიდა ისტორიის მეცნიე-
რებათა დოქტორი ა. იოსელიანი.

მოხსენებების ირგვლივ გაიმართა აზრთა გა-
ცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მი-
იღეს: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
მიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ, ის-
ტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. მ.
დუმბაძემ, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდა-
ტმა გ. გასვიანმა, პროფ. ივ. სურგულაძემ და
სხვ.

მოყვამათეებმა აღნიშნეს, რომ სახარების მი-
ნაწერები ეთნოგრაფთა მსჯელობის საგანი იყო
სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ქართული
სამართლის მკვლევარი მას არ შეხებია და მო-
მხსენებლის დასაბუთება იმის შესახებ, რომ
საზოგადოებრივი წყობილება და იურიდიული
ინსტიტუტები კლასობრივი ხასიათისაა ამაგრებს
იმ შეხედულებას, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუ-
ნეებში ზემო სვანეთი გამოსული იყო გვარო-
ვნული თემური წყობილებიდან.

კათედრის გამსვლელი სხდომა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის კათედრამ მოაწყო გამსვლელი სხდომა საქართველოს სსრ სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში.

სხდომა გახსნა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგემ პროფ. გ. ინჭკირველმა. სხდომაზე საინტერესო სადიპლომო ნაშრომით — „მმართველობის ორგანიზაცია სამოქალაქო ავიაციის

სფეროში“ — წარსდგა შტურმანი კ. ზუბიაშვილი.

დიპლომანტმა კარგად გადმოსცა იურიდიულ ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი მმართველობის ცალკეული რგოლების აგებულებისა და სამოქალაქო ავიაციის სფეროში მათი უფლებამოსილების შესახებ.

დიპლომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მ. კახელი

სემინარი კარგად მუშაობს

ორგანიზებულად, კარგად მუშაობს თეთრი წყაროს რაიონის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების საუწყებოთაშორისო იურიდიული სემინარი, რომელშიც გაერთიანებულია 28 მსმენელი.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკების გარდა სემინარში ჩაბმულია პროკურორისა და გამომძიებლის ოთხი საზოგადოებრივი თანამშემწე, რომელთა შორის აქტივობით გამოირჩევიან ბ. ბულაშვილი და ბ. პაპუაშვილი.

სემინარზე იხილება ისეთი აქტუალური მოხსენებები, როგორცაა: საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილება „დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და პროკურატურის, სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოების ამოცანები, საბჭოთა პროკურატურის ორგანიზაციის და საქმიანობის ლენინური პრინციპები, დამნაშავეობის წინააღმდეგ საზოგადოების და ადმინისტრაციული ორგანოების კოორდინაციის როლი, გამოძიების ტაქტიკისა და კრიმინალისტიკური ტექნი-

კის, საქმეთა მოკვლევის, წინასწარი გამოძიების წარმოების ორგანიზაციის, არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის პრაქტიკა და სხვ.

ამ თემაზე სემინარზე მოხსენებით გამოვიდნენ რაიონის პროკურორი ბ. ნაღარკიშვილი, პროკურორის თანამშემწე პ. შირიზია, პროკურატურის გამომძიებელი პ. ძუბაშვილი, სახალხო მოსამართლე პ. დაღუშვილიანი, მილიციის განყოფილების უფროსი ლ. ჯანაშვილი და სხვ.

სემინარის მონაწილენი დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამსვლელ სხდომას და დიდი ყურადღებით მოისმინეს ლექციების ციკლი მიძღვნილი კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი. კერძოდ, ლექციები პროფ. ბ. ინჭაბერძენისა — კ. მარქსი სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ვ. შარქიანი — მარქსიზმი ფედერაციის შესახებ, ვ. ლორიანი — მარქსიზმი სახელმწიფო აპარატის შესახებ და სხვა.

პროკურორის ინიციატივა

ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურატურა (პროკურორი ბ. პირმემლიძე) მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 29 აგვისტოს დადგენილების „წერილების განხილვისა და მშრომელთა მიღების ორგანიზაციისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ შესასრულებლად.

პროკურატურის მუშაკებმა პარტიული და საბჭოთა აქტივის დახმარებით, ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა შეამოწმეს რაიონის 20 წარმოება-დაწესებულებაში.

შემოწმების მასალების საფუძველზე პროკურორი სათანადო წარდგინებით შევიდა შესაბამის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების წინაშე.


ამასთანავე ერთად რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ განიხილა პროკურორის მოხსენება და მიიღო გადაწყვეტილება ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

რესპუბლიკის პროკურორმა გაითვალისწინა რა წარმოება-დაწესებულებებში საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის და მოქალაქეთა მიღების კანონიერების საქმეში საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერება, ინიციატივის გამოჩენისათვის ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორს ბ. პირმემლიძეს გამოუცხადა მადლობა.

გ. გოგუაძე,

საქართველოს სსრ პროკურორის თანამშემწე აღსრულებაზე კონტროლის დარგში, იუსტიციის მრჩეველი.

გელა ბარდუხაიის სკოლისათვის



ქართველ იურისტთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მოქალაქე და ბრწყინვალე იურისტი გელა გარდაფხაძე, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოავრების (1935 წ.) შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი პირნათლად ემსახურა კანონიერებისა და სამართლის საქმეს. პროკურატურის გამომძიებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი სისხლის სამართლის საქმეებზე, იურისკონსულტი თუ სხვადასხვა დიდი დაწესებულებების იურიდიული განყოფილებების ხელმძღვანელი — ასეთი იყო მისი პროფესიული საქმიანობის გზა და არ შეეცდებოდა თუ ვიტყვი, რომ იშვიათად თუ შეუძლია ვინმეს დაიმსახუროს კოლეგებისა, ამხანაგებისა და საზოგადოების ისეთი სიყვარული და პატივისცემა, როგორც ეს მან შესძლო. დიხგი, ენერგიული, უაღრესად გულწრფელი, ყველასათვის თავდადებული — ასე იცნობდა ყველა, ვისაც კი პირადი ან საქმიანი ურთიერთობა ჰქონია მასთან. მის ბუნებაში უხვად იყო ადამიანის ღირსების ყველა ძვირფასი თვისება — მალა-

ლი ზნეობა, ობიექტურობა, პრინციპულობა, უანგარობა და ყველაფერი ეს ერთად აღებული მას სამართლიანობისა და კანონიერების ნამდვილ ქომაგად ხდიდა. ჩვენ ყველანი, რომლებიც ვხედავდით მის ყოველდღიურ საქმიანობას, უანგარო ბრძოლას სამართლის დადგენისათვის, უაღრესად დიდ პატივს ვცემდით მას და გვიხაროდა მასთან შეხვედრა, მასთან საქმიანი ურთიერთობა.

გელა ყველა ღირსებაშელახულის და დაბეჩავებული დაშხმარე იყო და ცხოვრების უმეტესი დრო სწორედ სხვისი კეთილდღეობის ზრუნვაში გაატარა. რამდენი სიკეთე დაუთესია, რამდენი სულიერი ენერგია დაუხარჯია სხვისა დახმარებისათვის და სწორედ ეს იყო მისი მოქალაქეობრივი მოწოდება, ეს იყო მისი უმაღლესი ჯილდო, ეს აძლევდა მას დიდ მორალურ კმაყოფილებას.

გელა ხასიათით ნამდვილი მთის კაცი იყო. ის მართლაც ხომ მთაში დაიბადა, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — სვანეთში გაატარა ყრმობა და ამიტომ თან სდევდა მთის კაცის სულიერი სისხეტაკე, ზნეობრივი კრისტალობა. მასში რაღაც პატრიარქალურიც იყო, მაგრამ არა ისტორიული მნიშვნელობით, არამედ ამ სიტყვის იდეალური აზრით: ვაჟკაციური, გულადი, პირდაპირი, რომელმაც არასოდეს უკანდახევა არ იცოდა, უკეთუ თავის სიმართლეს გრძნობდა.

უდროო იყო მისი სიკვდილი, მაგრამ მძიმე და განუკურნავმა სენმა დასცა ეს ნამდვილი ვაჟკაცი, მოსწყვიტა ოჯახს, ამხანაგებს, მეგობრებს, რომლებიც მას მთელი გულწრფელობით უყვარდა, მაგრამ სამაგალითოდ დარჩა მისი კაცური ცხოვრების მოგონება, რაც მისაბაძი იქნება ყველასათვის, ვინც ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

ბ. სარატიშვილი

3360 50 333

6 25/196
ИНДЕКС 76185



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР